

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ნასყიდობა	
ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა	4
2. ქირავნობა	
სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება	50
3. სესხი	
სესხის ხელშეკრულების დადება	76
სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა	85
4. ნარდობა	
ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება	102
საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის	119
5. დავალება	
დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა	132
6. დაზღვევა	
სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება	140
7. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)	
ამხანაგობის წევრები	151
მესამე პირისთვის წილის გადაცემის დაუშვებლობა	163
საქმეების ერთობლივად გაძღოლის ვალდებულება	176

1. ნასყიდობა

ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-174-2021

14 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ლ. მიქაბარიძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მე-
საკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. ნ-ე-ბ-ემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში ლ. ჭ-ის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა, ბათი-
ლად იქნეს ცნობილი მხარეთა შორის 2018 წლის 1 ოქტომბერს გა-
ფორმებული მოჩვენებითი და თვალთმაქცური უძრავი ქონების ნას-
ყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელე ცნობილ იქნეს სადავო
ნივთის $\frac{3}{4}$ წილის მესაკუთრედ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, სადავო უძრავი ნივთის $\frac{3}{4}$ წილი
მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა. 2018 წლის სექტემბერ-
ში მან გადაწყვიტა 1 908 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილის გაყიდვა.
მოპასუხემ სურვილი გამოთქვა, ეყიდა 1 200 კვ.მ. მხარეები შეთან-
ხმდნენ ნასყიდობის ფასზე, რომელიც წარმოადგენდა 1 კვ.მ – 5
აშშ დოლარად.

3. 2018 წლის 17 სექტემბერს მხარეებმა მიწის ნაკვეთის გასა-
მიჯნად მიმართეს საჯარო რეესტრს, მაგრამ გამიჯვნაზე რეეს-
ტრმა უარი განუცხადათ, რადგან თანამესაკუთრის (მოსარჩელის
და) თანხმობა იყო საჭირო. მოსარჩელე თანამესაკუთრის თანხმო-
ბის მოპოვებას ვერ შეძლებდა, რის შესახებ განუცხადა კიდევაც
მოპასუხეს, ამიტომ მოპასუხეს 3 000 აშშ დოლარის სესხად გადა-
ცემა სთხოვა რამდენიმე თვით (თბილისის ბინის გაყიდვამდე). მო-
პასუხე დასთანხმდა თანხის სესხებას, თუმცა გარანტიის სახით
უძრავი ქონების გადაფორმება მოითხოვა, თანხის დაბრუნების

შემდგომ კი ქონებას ისევ მოსარჩელეს დაუბრუნებდა. ვინაიდან მოსარჩელეს თანხა ძალიან სჭირდებოდა, დასთანხმდა მოპასუხეს იმ პირობით, რომ 2 700 აშშ დოლარის დაბრუნებისთანავე გადაუფორმებდა ქონებას. მიწის გაყიდვის პირობა კი ძალაში რჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე თავად შეძლებდა თანამესაკუთრის თანხმობის მოპოვებას.

4. 2018 წლის 1 ოქტომბერს მხარეებმა ფორმალურად გააფორმეს $\frac{3}{4}$ წილზე ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგნის ფასი ხელშეკრულებაში სიმბოლურად 2 000 ლარი მიუთითეს. მოპასუხემ სესხად 2 700 აშშ დოლარი გადასცა.

5. მოსარჩელე უძრავი ნივთით სარგებლობას ჩვეულებრივ აგრძელებდა, იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, უვლიდა ეზოს და ა.შ. 2019 წლის მარტის მიწურულს მოპასუხეს 2 700 აშშ დოლარის დაბრუნებისა და ქონების უკან გადაფორმების ან მიწის ნაკვეთის გამიჯვნის და დარჩენილი თანხის გადახდის საკითხის მოგვარება მოსთხოვა. მოპასუხემ განუცხადა, რომ ქონება უკვე მას ეკუთვნოდა და მოსარჩელეს საცხოვრებელი სახლის დაცლა მოსთხოვა. მოსარჩელისაგან უარის მიღების და არაკეთილსინდისიერებაში მხილების შემგომ კი, მოპასუხემ პატრული გამოიძახა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეს პრეტენზია არ ჰქონია იმ მიწაზე, რომელზეც სახლი დგას.

6. მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის დადებულია სსკ-ის 56-ე მუხლით გათვალისწინებული მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება. (იხ: სასარჩელო მოთხოვნა)

მოპასუხის პოზიცია:

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მხარეთა შორის არანაირი სესხის ხელშეკრულება არ დადებულა. 2018 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით მოსარჩელისაგან შეიძინა უძრავი ქონება. ნასყიდობა არ იყო არც ფორმალური და არც დროებითი. არანაირი ვალდებულება თანხის დაბრუნების სანაცვლოდ, უკან დაებრუნებინა შეძენილი უძრავი ქონება არ უკისრია. ხელშეკრულების დადების შემდგომ მოსარჩელეს უძრავი ქონებით არ უსარგებლია. მას არც კომუნალური გადასახადები გადაუხდია, რადგან ქონება თანასაკუთრებას წარმოადგენს და აბონენტად მეორე თანამესაკუთრეა რეგისტრირებული. (იხ. შესაგებელი).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-

ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე ირიცხებოდა 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე 147 კვ.მ შენობა-ნაგებობის $\frac{3}{4}$ წილი.

11. 2018 წლის 17 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 908 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაყოფა მოითხოვა.

12. საჯარო რეესტრის 2018 წლის 21 სექტემბრის გადანყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძველით, რომ დაყოფის რეგისტრაციისთვის უძრავი ნივთის თანამესაკუთრის თანხმობა იყო საჭირო.

13. საჯარო რეესტრის 2018 წლის 2 ოქტომბრის გადანყვეტილებით მოსარჩელის განცხადებაზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება დაინტერესებული პირის მოთხოვნით შეწყდა.

14. 2018 წლის 1 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ უძრავი ნივთის $\frac{3}{4}$ წილი შეიძინა და აღირიცხა მის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

15. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების განხორციელებულად მიჩნევის შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავ ნივთზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობის შესახებ შეიძლება დაეფუძნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 56-ე მუხლს.

16. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოჩვენებითი გარიგების (სსკ-ის 56.1. მუხლი) არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის.

17. სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება), ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი,

ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება (სუსგ №ას-789-754-2015 6.11.2015 წელი).

18. რაც შეეხება თვალთმაქცურ გარიგებას (სსკ-ის 56.2. მუხლი), საკასაციო სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა

ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“ (სუსგ №ას-487-461-2015, 17.06.2015წ., ასევე, შდრ. №ას-743-704-2015, 28.09.2015წ.; №ას-1212-1138-2015, 06.06.2016წ.).

19. ამდენად, სსკ-ის 56-ე მუხლის ფარგლებში გარიგების მოჩვენებითობის/თვალთმაქცურობის ელემენტების მითითება-დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (სსსკ-ის 102-ე მუხლი), რომელიც მან სარწმუნო, განკუთვნიანი მტკიცებულებების წარდგენის გზით უნდა დაასაბუთოს.

20. საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, ასევე თვალთმაქცურ გარიგებას, რომლითაც დაიფარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

21. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

22. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება, უმეტესწილად, დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

23. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგე-

ნილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

24. სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯობრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

25. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

26. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელი-

საგან (მოთხოვნისაგან).

27. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან (იხ. სუსგ, №ას-1298-2018, 22.03.2019წ.).

28. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი – მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

29. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ.,

2003, გვ. 64).

30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, §30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, §24; k.s. v. finland § 1; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

31. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, საკასაციო პალატამ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადა-

ცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (შდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20.05.2016წ.). სხვა საქმეშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას ანუ, იგი დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ, საქმეზე №ას-361-343-2015, 14.12.2015).

32. მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა, სადავოობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებაც ფაქტობრივი გარემოებაც.

33. საგულისხმოა, რომ საკითხი იმის შესახებ თუ დავის მონაწილე რომელმა მხარემ უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის ანუ, ხელშეკრულების დადების შესახებ გარემოება, არ რეგულირდება მატერიალური სამართლის ნორმით. სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის ზოგადი ნორმა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისთვის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], რომლის თანახმად თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.

34. სსკ-ის 624-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებულ თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერი-

ლობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (სუსგ №ას-398-371-2017, 06 ივნისი, 2017 წელი).

35. ამდენად, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. სწორედ მას უნდა წარედგინა სასამართლოსთვის იურიდიულად სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც მხარეთა შორის სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობას დაადასტურებდა.

36. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ არა თუ დაადასტურა მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები იმის შესახებ, რომ რეალურად, მოდავე მხარეთა შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, არამედ მეტიც, მან მის მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებებით გამოორიცხა აღნიშნული ფაქტის არსებობის გარემოება.

37. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარე სადავო გარემოებას აფუძნებდა მის ახსნა-განმარტებაზე, მისი ინიციატივით დაკითხული მონმის ჩვენებაზე და გასაუბრების ოქმებზე.

38. ც. ხ-ას ჩვენების თანახმად, მიმდინარე წლის სექტემბერში მ-მ დაურეკა და უთხრა, რომ კუთვნილი მინის ნაკვეთის გაყიდვა უნდოდა. მისი განზრახვა თავიდან არ მოეწონა, მაგრამ მ-მ აუხსნა ოჯახური სიტუაცია და ის, თუ რა პრობლემის წინაშე იდგა. შემდგომ კვლავ დაურეკა მ-მ და უთხრა, რომ მინის ნაკვეთის გაყიდვა საბოლოოდ და მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი, გასაყიდად და გადასაფორმებლად საჯარო რეესტრში გაყოლა სთხოვა. თავიდან გაყოლაზე უარი უთხრა, რადგან არ ეცალა, მოგვიანებით კი თავად დაურეკა მ-ს, რომელმაც უთხრა, რომ უძრავი ქონება უკვე გაუფორმა მყიდველს და საჯარო რეესტრში მის მისვლას აზრი არ ჰქონდა, თუმცა თუ უნდოდა, მისულიყო. იუსტიციის სახლში როცა მივიდა, მ. შენობიდან უცნობ ქალთან ერთად გამოვიდა, რა დროსაც მოისმინა მათი საუბარი რომ ფული, რომელიც მინის ნაკვეთის სასაყიდვოდ მისცა, უნდა გაეკეთებინა გამიჯვნა, და თუ გამიჯვნა არ მოხდებოდა, მაშინ მ-ს ფული უნდა დაებრუნებინა, ხოლო მინას ისევ თავის სახელზე გაიფორმებდა. მოწმემ შემდგომ განმარტა, რომ მ-მ თავად ვერ გააკეთა გამიჯვნა, რადგან თანამესაკუთრთან აქვს პრობლემები და მ-ს სახლის გაყიდვა არასდროს უფიქრია, რადგან ეს მშობლების დანატოვარია და უფროთხილდებოდა. ამავე დროს წარმოდგენილი იყო ქონება ასეთ მიზერულ ფასად გაეყიდა; მ-ს იმ დროს სჭირდებოდა თანხა და მხოლოდ მცირე ნაკვეთის გაყიდვას აპირებდა (იხ. სასამართლოს 18.12.2019 წლის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი). ამდენად, მონმის ჩვენებით დას-

ტურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების განზრახვა. მონ-
მის ჩვენება არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ თან-
ხა მოსარჩელეს სესხად გადასცა და ქონების გაფორმება მხოლოდ
მყარი გარანტიის მიზნით მოხდა.

39. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ნასყიდობის ხელშეკ-
რულების დადების განზრახვის არსებობა ასევე დასტურდება თა-
ვად მოსარჩელე მხარის განმარტებით. კერძოდ, მოსარჩელე სარ-
ჩელში აღნიშნავს, რომ მას კუთვნილი ქონების გაყიდვა სურდა და
მოპასუხეს ქონების ყიდვაზე შეუთანხმდა. სწორედ ამ განზრახ-
ვით მივიდნენ საჯარო რეესტრში, სადაც ჯერ ქონების გამიჯვნა
და შემდგომ ნასყიდობის დადება უნდა მომხდარიყო, თუმცა გა-
მიჯვნა ვერ მოხერხდა თანამესაკუთრისაგან თანხმობის არარსე-
ბობის გამო.

40. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ეს
განმარტება მიუთითებს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების
სურვილზე, რომლის საბოლოო განხორციელება პირველ ეტაპზე,
გამიჯვნის შეუძლებლობის გამო, ვერ მოხერხდა, ხოლო საბოლო-
ოდ შეთანხმდნენ სადავო უძრავი ქონების $\frac{3}{4}$ წილის ნასყიდობაზე.

41. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე
მხარეთა ნამდვილი განზრახვა მიმართული იყო ნასყიდობის ხელ-
შეკრულების და არა სესხის ხელშეკრულების დადებაში. აღნიშნუ-
ლის დასტურად სასამართლო მიუთითებს მოპასუხე მხარის შუამ-
დგომლობის საფუძველზე დაკითხული მონმეთა (ნ. ბ-ი, ა. ი-ი, ა. ბ-
ი, ნ. ხ-ი) განმარტებებზე, რომლებსაც არ დაუდასტურებიათ, რომ
მოპასუხემ თანხა მოსარჩელეს სესხად გადასცა და ქონების გა-
ფორმება მხოლოდ მყარი გარანტიის მიზნით მოხდა. ყველა მონმის
ჩვენება მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელის სურვილი – ქონების
გასხვისება, ხოლო, მოპასუხის სურვილი მისი შეძენა იყო (მონმე ნ.
ხ-ის განმარტებით, მოსარჩელეს კუთვნილი ქონების გაყიდვა უნ-
დოდა. იგი ქონებას 2 700 აშშ დოლარად ყიდდა. რადგან თავად დი-
დი მიწის ნაკვეთი აქვს, ამიტომ მოსარჩელის მიწის შეძენის ინტე-
რესი არ ჰქონდა. მისთვის ცნობილია, რომ მოსარჩელე ხშირად აკით-
ხავდა ლ-ს და სთხოვდა, რომ როგორმე შეეძინათ მისი ქონება. სა-
ბოლოოდ შეთანხმდნენ კიდევ მაგრამ აღმოჩნდა, რომ უძრავი ქო-
ნება თანასაკუთრებაშია და ლ. ქონებას ვერ იფორმებდა, რაზეც
ის და მისი ოჯახი ნერვიულობდა, თუმცა შემდგომ მაინც შეთან-
ხმდნენ. მეზობლებმა იციან, რომ ლ-მ მ-ს ქონება შეიძინა და დაა-
მუშავეს კიდევ მიწის ნაკვეთი. გარკვეული დროის შემდეგ მ. ჩავი-
და ყვარელში და უკანონოდ შევიდა უძრავ ქონებაში. როდესაც მე-
ზობლებმა ჰკითხე თუ რატომ მოიქცა ასე უპასუხა, რომ, მართა-
ლია, გაყიდა ქონება მაგრამ მისი დაბრუნება სურდა. მონმე ნ. ბ-ის

განმარტებით, ლ. ჭ-თან ახლო ურთიერთობა აქვს. მ. ხშირად ურეკავდა ლ-ს მეუღლეს, რომ მიწის გაყიდვა უნდოდა და მათ ეყიდათ. ქონებას მ. 2 700 აშშ დოლარად ყიდდა. ლ-ს მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და დიალიზზე იმყოფება, ამიტომ სრული თანხა არ ჰქონდა. ნაწილი თანხა ლ-ს მშობლებმა მისცეს, 600 აშშ დოლარი კი თავად ასესხა. როდესაც იუსტიციის სახლში მივიდნენ აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ვერ მოხდებოდა, რადგან თანამესაკუთრე ჰყავდა. ლ-ს 800 აშშ დოლარი ბეს სახით წინასწარ ჰქონდა მიცემული და რადგან მიწას ვერ იფორმებდა ამიტომ მ-ს თანხის დაბრუნება მოსთხოვა. მ-მ უთხრა, რომ თანხას ვერ დაუბრუნებდა და, სანაცვლოდ, კუთვნილი წილის ყიდვა შესთავაზა. საბოლოოდ ნასყიდობის ხელშეკრულება წილზე დაიდო. მოწმემ განმარტა, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდგომ ლ-ს ოჯახმა დაასუფთავა მიწის ნაკვეთი და მოხნა. მოწმე ა. ი-ის განმარტებით, მის მეუღლეს (ნ. ბ-ი) ახლო ურთიერთობა აქვს ლ. ჭ-ის ოჯახთან. მეუღლემ უთხრა, რომ ლ. მიწას ყიდულობდა და თანხა სჭირდებოდა. 2018 წლის სექტემბერში ლ-ს 600 აშშ დოლარი ასესხეს, რომელიც შემდგომ 2019 წლის თებერვალში დაუბრუნა. მეუღლისგანვე იცის, რომ ლ-მ იყიდა მიწა. მოწმე ა. ბ-ის განმარტებით, ლ. ჭ-ის მეუღლის თხოვნით დაამუშავა მიწის ნაკვეთი – გაასუფთავა, გათიბა, ხის ძირები დაბარა და სასუქი დაუყარა. მიწის დამუშავებაში ლ-ს მეუღლეც ეხმარებოდა. მიწის დამუშავებაში თანხა ლ-ს მეუღლემ გადაუხადა).

42. მოდავე მხარეთა შორის სესხზე შეთანხმების არარსებობის კუთხით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოწმეების მხრიდან იმის დადასტურებაზე, რომ მოპასუხეს 2 700 აშშ დოლარი სრულად არ ჰქონდა და გარკვეული თანხის სესხება მოუწია.

43. რაც შეეხება აპელანტის მითითებას ყვარლის რაიონული სამმართველოს 29.03.2019, 06.04.2019, 07.04.2019 წლებით დათარიღებულ გამოკითხვის (გასაუბრების) ოქმებზე, აღნიშნულით ასევე არ დგინდება მოდავე მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა გასაუბრების ოქმებში თავად მოსარჩელე მხარის მიერ მიცემულ ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებზე, სადაც რიგ შემთხვევაში აღნიშნა, რომ მათ შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა, ხოლო, რიგ შემთხვევაში მიუთითებს მხარეთა შორის მიწის ნაწილზე (1200 კვ.მ. ფართზე) ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის ფაქტზე.

44. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის პირობებში, რომ მოსარჩელე არ უარყოფს განზრახვას 2 700 აშშ დოლარად მოპასუხისათვის 1 200 კვ.მ-ის მი-

ციდვის შესახებ, ამასთან, იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს მოპასუხე მხარისაგან გადაცემული ჰქონდა 2 700 აშშ დოლარი, რომელიც როგორც აღნიშნა, სესხის თანხას არ წარმოადგენდა; გასაუბრების ოქმებში მოპასუხე მხარის განმარტებას, რომ მან 2700 აშშ დოლარად, მხოლოდ 1253 კვ.მ მიწის ნაკვეთი იყიდა, სააპელაციო პალატამ არ მიიჩნია იმის დასტურად, რომ ნასყიდობის საგანი მხოლოდ ამ კვადრატულობის ფართს შეეხებოდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თანასაკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონება გამიჯნული არ არის, შესაბამისად, ნასყიდობის საგნად მხოლოდ 1 200 კვ.მ მიწის ფართი ვერ იქნებოდა მიჩნეული, მითუმეტეს, რომ როგორც მიწა, ასევე, მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომელიც ერთ ობიექტად მოიაზრება, ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ მოქცეულს ქონებას წარმოადგენდა. მოპასუხის განმარტება კი, რომ იგი თანახმა იყო ქონების რაიმე ნაწილი დაებრუნებინა მოსარჩელე მხარისათვის, აღნიშნული გამომდინარეობდა მისი სურვილიდან (შესაძლოა მორიგების კუთხით), რომელსაც რაიმე ვალდებულებით ხასიათს ვერ მივანიჭებთ, ამ გარემოებაზე შეთანხმება მხარეებს ასევე შეეძლოთ მორიგების ფარგლებში, რაზედაც მათ ვერ მიაღწიეს, სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით, კი მოპასუხე მხარემ დაადასტურა სადავო ქონების $\frac{3}{4}$ ნაწილზე, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის ფაქტი.

45. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მხარის აპელირება, რომ მოსარჩელეს განზრახული ჰქონდა მხოლოდ იმ მიწის ფართის ნაწილის გაყიდვა, რომელზეც არ იდგა სახლი. პალატამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შესაძლოა თავდაპირველ ეტაპზე მხარეთა ნება ამ პირობებზე არსებობდა, თუმცა, საბოლოოდ მხარეებმა ნება გამოავლინეს ქონების $\frac{3}{4}$ ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნებოდა მიღწეული თანამესაკუთრის ნებართვის გარეშე. საქმის გარემოებებით კი დასტურდება, რომ მოსარჩელეს სასწრაფოდ სჭირდებოდა ეს თანხა.

46. რაც შეეხება აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ სადავო უძრავი ქონების წილის და ამ უძრავი ქონებიდან მხოლოდ 1200 კვ.მ. მიწის ფართის ნასყიდობის ფასი, ორივე შემთხვევაში ვერ იქნებოდა განსაზღვრული 2 700 აშშ დოლარით, ამ კუთხით პირველ რიგში, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის ფასის შეუსაბამობა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან, ვერ გახდება გარიგების ბათილობის კანონიერი საფუძველი, ვინაიდან, მხარეებმა ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319.1. მუხლის პირველი და მეორე წინადადებების თანახმად, კერძო სა-

მართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას) შეათანხმეს, რაც მხარის უფლებას წარმოადგენს, თავად გადანყვიტოს, რა პირობებით და რა ფასად გაასხვისოს კუთვნილი ქონება.

47. ფასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თავად მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებაზე – უძრავი ქონების შეფასების შესახებ №19/06-03/15 დასკვნაზე, რომლის თანახმად, 1908 კვ.მ და მასზედ მდებარე 147 კვ.მ საცხოვრებელი სახლი შეფასებულია 14 500 ლარად. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შეფასება განხორციელებულია არა ქონების $\frac{3}{4}$ ნილზე, რაც წინამდებარე საქმეში წარმოადგენს სადავო გარემოებას, არამედ, მთელ უძრავ ქონებაზე, რომელიც არის თანასაკუთრებაში. შესაბამისად, ქონების $\frac{3}{4}$ ნაწილზე, ფასი შესამჩნევად ნაკლები იქნება.

48. ფასის გონივრულობის განსაზღვრისას, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელეს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა, რაც მიუთითებს, რომ იგი თანახმა იყო, უძრავი ქონების რეალურ ღირებულებაზე ცოტა ნაკლებად, გაეყიდა მისი კუთვნილი წილი, რაც მის უფლებას წარმოადგენდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ასევე მოწმეთა ჩვენება და მხარეთა განმარტება, რომ მსურველი ამ ფართის ყიდვის არ არსებობდა, გარდა მოპასუხე მხარისა, ვინაიდან, იგი ცხოვრობდა მის მომიჯნავედ.

49. სსკ-ის 50-ე, 477-ე, 183-ე, 311-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2018 წლის 1 ოქტომბერს მხარეთა შორის მარეგისტრირებული ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ სადავო უძრავი ნივთის $\frac{3}{4}$ წილი შეიძინა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და უძრავი ნივთების მესაკუთრედ ლ. ჭი აღირიცხა.

50. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ფორმალური თვალსაზრისით, სადავო ხელშეკრულება აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, რაც უძრავი ქონების ნასყიდობის შემთხვევაშია გათვალისწინებული. რაც შეეხება მოპასუხის მიერ მისი ფლობის ფაქტს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოპასუხე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და-

ეუფლა ქონებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაამუშავა მიწის ნაკვეთი, გათიბა ... რაც დასტურდება მოწმე ა. ლ-ის ჩვენებით, რაშიც მოპასუხის მეუღლემ მას გადაუხადა თანხა.

51. რაც შეეხება სადავო გარემოების ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა რელევანტური მტკიცებულება, რომლითაც გარიგების მოჩვენებითი გარიგებისათვის აუცილებელი კომპონენტი „ურთიერთშეთანხმება“, ანუ ხელშემკვრელ მხარეთა ნების თანხვედრა დადასტურდებოდა. თავის მხრივ, მოპასუხემ სრულიად გააქარწყლა მცირედი ვარაუდიც კი იმისა, რომ გარიგება შეიძლება, მართლაც, მოჩვენებითი ხასიათის ყოფილიყო. მოპასუხის განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა ყველა ის წინაპირობა, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას უძღვოდა წინ, და რომლის მიხედვითაც მოსარჩელის ნამდვილი ნება – უძრავი ნივთის გასხვისება, ხოლო მოპასუხის ნება მისი შეძენა (საკუთრებაში მიღება) იყო.

52. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ასევე ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი და ვერ დაადასტურა, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 1 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება თვალთმაქცური გარიგებაა. საქმის განხილვის შედეგად ვერ დადგინდა, რომ მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის არსებობდა სხვა შინაარსის შეთანხმება, რაც სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობების არსებობას დადასტურებდა. სწორედ ამიტომ, არ არსებობს დადებული ხელშეკრულებების თვალთმაქცურად მიჩნევის და მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

53. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

54. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს და უაპელაციოდ გაიზიარა ფაქტების ტენდეციური შეფასება, დაარღვია სსსკ-ის 233-ე მუხლი, მხარეთა შეჯობებითობის პრინციპი და უპირატესობა მიანიჭა მხოლოდ მოპასუხის პოზიციას. ასევე, გაურკვეველია, რატომ ვერ დააფუძნებდა კასატორი თავის პოზიციას მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მის აღიარებას.

55. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ სადავო გარიგების შეფასებისას არ გამოიყენა სსკ-ის 52-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, საქმეში წარმოდგენილი ვერცერთი მტკიცე-

ბულება ვერ ადასტურებს, რომ კასატორმა მიწასთან ერთად გაას-
ხვისა საცხოვრებელი სახლიც.

56. მხარემ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გა-
მოეყენებინა სსკ-ის 115-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მო-
პასუხემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და სასამართლოს
დაუმალა ხელშეკრულების რეალური შინაარსი. სააპელაციო პალა-
ტას ასევე უნდა გამოეყენებინა სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი
ნაწილი და შესაძლებლობა მიეცა კასატორისათვის, წარედგინა ახა-
ლი მტკიცებულებები, ამავე კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწი-
ლის საფუძველზე დაეზუსტებინა სარჩელში მითითებული გარე-
მოებები.

57. კასატორმა მიიჩნია, რომ სსსკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად,
სასამართლოს საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის
გარეშე მესამე პირად უნდა ჩაება ნ. ნ-ე, რომელსაც სადავო ქონე-
ბასთან დაკავშირებით დავა ჰქონდა პირველი ინსტანციის სასა-
მართლოში და წარადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკი-
ცებულება.

58. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად გა-
მოიყენა სსსკ-ის 105-ე მუხლი, ხოლო 128-ე მუხლის გამოყენების
მიუხედავად, მის მიერ დასმული შეკითხვების პასუხები სათანა-
დოდ არ შეაფასა.

59. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატას უნდა ეხელ-
მძღვანელა სსსკ-ის 131-ე მუხლით და გაეთვალისწინებინა მოპა-
სუხის არაერთი, მათ შორის, წერილობითი აღიარება, რომ მხარეთა
შორის შეთანხმება შეეხებოდა მხოლოდ მიწის ნაკვეთის შექმნას.
აღნიშნული დადასტურეს მოპასუხის მიერ დასახელებულმა მონ-
მეებმაც. სააპელაციო პალატის შინაგან რწმენაზე გავლენა არ იქო-
ნია მოპასუხის მითითებამ, რომ მან შეცვალა პოზიცია ყ-ის პოლი-
ციისათვის მიცემულ განმარტებაში, რადგან იქ არ ჰქონდა დადე-
ბული ფიცი. აღნიშნული კუთხით პალატამ უგულვებლყო სსსკ-ის
133-ე მუხლი.

60. გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა სსსკ-ის 244-ე მუხ-
ლის დარღვევით, მტკიცებულებების ობიექტურად შეფასების გა-
რეშე.

61. მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს ყურად-
ღება არ გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელემ 2018 წლის
17 სექტემბერს საჯარო რეესტრში წარადგინა გასასხვისებლად
მომზადებული 1253 კვ.მ მიწის ნაკვეთი აზომვითი ნახაზი და მო-
ითხოვა 1908 კვ.მ ნაკვეთიდან მისი გამოყოფა. ამ ნახაზზე დატა-
ნილი არ ყოფილა $\frac{3}{4}$ ნილი იმ საცხოვრებელი სახლიდან, რაც 1908
კვ.მ მიწაზე, როგორც თანასაკუთრებაზე იყო დამაგრებული.

62. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას გვერდი აუარა მას.

63. მხარემ მიუთითა სააპელაციო პალატის მიერ მოპასუხისათვის დასმულ კითხვაზე, რომლის მიხედვითაც სასამართლო დაინტერესდა, მოსარჩელის მხრიდან იაფფასიანი ნაკვეთის 2000 აშშ დოლარად მოპასუხისათვის მიყიდვის შემდეგ მოსარჩელემ საცხოვრებელი სახლის სანაცვლოდ 700 აშშ დოლარი როგორ დაუფასა, რაზეც მოპასუხეს პასუხი არ გააჩნდა. თუმცა საბოლოოდ სააპელაციო პალატამ აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეაფასა.

64. კასატორი არ დაეთანხმა გასაჩივრებულ განჩინებას მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილშიც, რადგან მხარე იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

65. კასატორმა იშუამდგომლა საქმეზე ახალი მტკიცებულების დართვისა და მონმეთა დაკითხვის შესახებ.

66. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი იქნა სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

67. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

68. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

69. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე ირიცხებოდა 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე 147 კვ.მ შენობა-ნაგებობის $\frac{3}{4}$ წილი.

70. 2018 წლის 17 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მართა საჯარო რეესტრს და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 908 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაყოფა მოითხოვა.

71. საჯარო რეესტრის 2018 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძველით, რომ დაყოფის რეგისტრაციისთვის უძრავი ნივთის თანამესაკუთრის თანხმობა იყო საჭირო.

72. საჯარო რეესტრის 2018 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის განცხადებაზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება დაინტერესებული პირის მოთხოვნით შეწყდა.

73. 2018 წლის 1 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ უძრავი ნივთის $\frac{3}{4}$ წილი შეიძინა და აღირიცხა მის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

74. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებული პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმ-

გვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

75. საკასაციო სასამართლო შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

76. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიუკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-1). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის სანაღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, საჩივარი no26986/0-). საკასაციო სასამართლო,

როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

77. საკასაციო სასამართლო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიების გაცნობის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც საპროცესო სამართლებრივი, ასევე მატერიალურსამართლებრივი ნორმების არასწორ გამოყენებას (იხ. საკასაციო საჩივარი).

78. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის 2018 წლის 01 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების, როგორც სსკ-ის 56-ე მუხლით გათვალისწინებული მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

79. განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის სარჩელში მითითებული მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომნდებს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

80. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამარ-

თლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტორზე შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტორივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

82. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველბთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.). კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია,

სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებათა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

84. საკასაციო სასამართლო მისთვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ფუნქციიდან და საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხელშეკრულების დადების საკითხზე.

85. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. ხელშეკრულება – ორი ან მეტი პირის შეთანხმებაა, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად ხელშემკვერელი მხარეები მზადყოფნას გამოთქვამენ დათმონ საკუთარი თავისუფლების ან ქონების ნაწილი, ე.ი. ორმხრივად შეიბოჭონ თავი.

86. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის

მე-2 წინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“ (შდრ: ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ, უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. (იხ: სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103).

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისაკენ. სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოიშობა მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იზოჭებთან ნაკისრი ვალდებულებებით. (შდრ: ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019).

88. სსკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი კი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

89. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზეც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების დასადავად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე, არამედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

90. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს ხელშეკრულების არსებითი პირობებისა შესახებ. სსკ-ის 327.1 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რას მოიზრებს ხელშეკრულების არსებითი პირობა (*essentialia negotii*). სსკ-ის 327 II მუხლის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება

ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი იშვიათი გამონაკლისის გარდა, (რადგან თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განწერილი „მინიმალური შინაარსი“, რომლესაც ქმნიან ის პირობები, რომლებზეც შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება), არ განსაზღვრავს. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები, რომელზეც მხარეთა შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება (მდრ: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 327, გვ.90, თბილისი, 2001).

91. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზეც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე, არამედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები შესაბამის პირობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების დასადებად, ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებებით შესაბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა, მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ შორის ხელშეკრულება დაიდო.

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

93. სსკ-ის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება.

94. როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები შესაბამის პირობებზე თუნდაც ზეპირი

მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების დასა-
დებად, ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებებით შესა-
ბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა,
მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ
შორის ხელშეკრულება დაიდო.

95. ამდენად, ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებითაც
მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი.
თუმცა ეს პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვე-
ვებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტი-
პის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარე-
ებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორ-
მა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. კა-
ნონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკრულების ფორმასთან და-
კავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც თავად
სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურო-
ბის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭიროება და ფორმის დანესე-
ბას შესაბამისი მიზანი გააჩნია.

96. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელ-
შეკრულების ტიპებს, რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ
ისინი დაიდოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი
ფორმა იყოფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერი-
ლობით ფორმებად.

97. სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლი-
თაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრე-
ბა გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორ-
მას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის
ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ყველა არსებითი პირობის წე-
რილობითი ფორმით ასახვა და ხელმოწერით დადასტურება მხა-
რეებს წარმოუშობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინა-
რე უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მყიდველს თანხის გა-
დახდის, ხოლო გამყიდველს კი თანხის მიღებისა და ქონების გადა-
ცემის ვალდებულებას.

98. წერილობითი გარიგების საფუძველზე გამოვლენილი ნების
შესაბამისად, გამსხვილებელი ვალდებულება, მიიღოს ნასყიდობის
ფასი და დაარეგისტრიროს უძრავი ქონების შემძენი უძრავი ქონე-
ბის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, რაც გამოიხატება მის ვალ-
დებულებაში, გადასცეს შემძენს უძრავ ქონებასთან დაკავშირე-
ბული საბუთები და გადაიხადოს რეგისტრაციისათვის აუცილებე-
ლი ხარჯები. წერილობითი გარიგების შედეგად გამყიდველის უარი
ნასყიდობის ფასის მიღებასა და უძრავი ქონების საჯარო რეეს-
ტრში შემძენის სახელზე დარეგისტრირებაზე, სხვა არაფერია, თუ

არა უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების დარღვევა და არა ვალდებულების შეუსრულებლობა გარიგების ფორმადაუცველობის საფუძველით.

99. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმების ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა, კერძოდ, სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. იმავე შინაარსისაა 323-ე მუხლი. როგორც ყველა გარიგებისთვის, უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა. (სსკ-ის 59-ე მუხლი).

100. სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებით (მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე), ისე სანივთო (გარიგებით საკუთრების უფლების განკარგვა და გადაცემა ხდება) გარიგების ელემენტებს და იგი, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული.

101. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ ნორმის განმარტება ზოგად ნორმებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, სსკ-ის 323-ე და 183-ე მუხლის დანაწესები ურთიერთთქვერებით უნდა იქნეს განხილული. ამასთან, სსკ-ის 323-ე მუხლი თავისი ბუნებით იმპერატიული ნორმაა, რომლის მიზანი, როგორც ზოგადად ყველა იმპერატიული ნორმების მიზანი კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაშია. კანონის განმარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის ტექსტისა და სამართლის ძირითად პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა – კანონმდებლის მიზანი.

102. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულოობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი. უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულოობა ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

103. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის უცილოდ ბათილი გარიგების დადების ფაქტი არ დასტურდება, კერძოდ, სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობა (გარიგების მხარეთა ნება, არ დადგეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, ასევე, არ დასტურდება მათი სურვილი, ნასყიდობის ხელშეკრულებით დაეფარათ სხვა გარიგება) და მიაჩნია, რომ ამ მხრივ, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკით (სუსგ №ას-457-439-2016), ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი (სსკ-ის 477-ე მუხლი) (რაც ასევე მოდავე მხარეებმა დაადასტურეს საკასაციო სასამართლოში 2021 წლის 18 ივნისის სხდომაზე).

104. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასა-

მართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს აჩვენებს, რომ მათ ნამდვილად მოუსმინეს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – Carmel Saliba v. Malta, № 24221/13, §73, 29 ნოემბერი 2016; §73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ – Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 30, Series A N 303-A; § 30; ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, §28, Series A N 303-B; §28), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – Buzescu v. Romania, N 61302/00, §67, 24 მაისი 2005, §67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – Donadze v. Georgia, №74644/01, § 35, 7 მარტი 2006;). სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტების გამოყენებით ან სხვაგვარად არ წარმოადგინა გადაწყვეტილების დეტალური მიზეზები, უპასუხოს ნამოჭრილი საკითხების არსებით ნაწილს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქვედა ინსტანციის დასაბუთების გაზიარებით (ელე ფინეთის წინააღმდეგ – Helle v. Finland, 19 დეკემბერი 1997, §60, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII).

105. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სა-

სამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

106. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

107. საკითხის სიცხადის მიზნით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამატებით განმარტებას მოითხოვს სარჩელის საგნისა და ფაქტობრივი საფუძვლის ცნება: სარჩელის საგანი არის განმცხადებლის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მონინააღმდეგე მხარისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის ფარგლებშიც უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება), უფრო კონკრეტულად დავის საგანი არის მოთხოვნის შინაარსი და არა მისი მატერიალური ობიექტი; რაც შეეხება სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს, ეს არის გარემოებები, რომელზეც მხარე ამყარებს საკუთარ მოთხოვნებს და რომელთა დადასტურებაც სწორედ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება მიზნად. სარჩელის საგნისა და ფაქტობრივი საფუძვლის შეცვლა მხოლოდ მხარის უფლებას წარმოადგენს და სასამართლო, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს მასში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი (მე-2 და მე-3 ნაწილები) იმის მიხედვით, თუ საქმე განხილვის რა ეტაპზეა, ადგენს მოსარჩელის მიერ სარჩელის საგნისა და/ან საფუძვლის შეცვლის წესს, თუმცა, უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ამ უფლებით არ უსარგებლია, უფრო მეტიც, სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძვლად უთითებდა იმავე გარემოებებზე, რაც სარჩელში იყო მითითებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის

ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

108. მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლებისაგან განსხვავებულია მიდგომა სამართლებრივ საფუძველთან მიმართებით, მართალია, მის სარჩელში მითითების ვალდებულებას ასევე ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, თუმცა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ეს არ არის შემზღუდავი სასამართლოსათვის და არც გავლენას ახდენს დავის შედეგზე, ანუ მოსამართლისათვის საეალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი).

109. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება იმავე ან სხვა შედეგით (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში და-

ტოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადან-ყვეტილებით დაადგინოს იგივე ან სხვა შედეგი (სსსკ-ის 411-ე, 412-ე მუხლები).

110. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატას უნდა ეხელ-მძღვანელა სსსკ-ის 131-ე მუხლით და გაეთვალისწინებინა მოპასუხის არაერთი, მათ შორის, წერილობითი აღიარება, რომ მხარეთა შორის შეთანხმება შეეხებოდა მხოლოდ მიწის ნაკვეთის შექმნას. აღნიშნული დაადასტურეს მოპასუხის მიერ დასახელებულმა მონ-მეებმა. სააპელაციო პალატის შინაგან რწმენაზე გავლენა არ იქონია მოპასუხის მითითებამ, რომ მან შეცვალა პოზიცია ყ-ის პოლი-ციისათვის მიცემულ განმარტებაში, რადგან იქ არ ჰქონდა დადე-ბული ფიცი. აღნიშნული კუთხით პალატამ უგულუბელყო სსსკ-ის 133-ე მუხლი. გასაჩივრებული განჩინება მიღებულ იქნა სსსკ-ის 244-ე მუხლის დარღვევით, მტკიცებულებების ობიექტურად შე-ფასების გარეშე. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამარ-თლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ მოსარჩე-ლემ 2018 წლის 17 სექტემბერს საჯარო რეესტრში წარადგინა გა-სასხვისებლად მომზადებული 1253 კვ.მ მიწის ნაკვეთი აზომვითი ნახაზი და მოითხოვა 1908 კვ.მ ნაკვეთიდან მისი გამოყოფა. ამ ნა-ხაზზე დატანილი არ ყოფილა წილი იმ საცხოვრებელი სახლიდან, რაც 1908 კვ.მ მიწაზე, როგორც თანასაკუთრებაზე იყო დამაგრე-ბული. კასატორმა მიუთითა სააპელაციო პალატის მიერ მოპასუხი-სათვის დასმულ კითხვაზე, რომლის მიხედვეთაც სასამართლო და-ინტერესდა, მოსარჩელის მხრიდან იაფფასიანი ნაკვეთის 2000 აშშ დოლარად მოპასუხისათვის მიყიდვის შემდეგ მოსარჩელემ საც-ხოვრებელი სახლის სანაცვლოდ 700 აშშ დოლარი როგორ დაუფა-სა, რაზეც მოპასუხეს პასუხი არ გააჩნდა, თუმცა საბოლოოდ საა-პელაციო პალატამ აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეაფა-სა.

111. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზარებს კასატორის პრე-ტენზიას და მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებით, ასევე მონშეთა ჩვენებებით დად-გენილია, რომ მხარეებს სურდათ ნასყიდობის ხელშეკრულების და-დება. ც. ხ-ას ჩვენების თანახმად, მიმდინარე წლის სექტემბერში მ-მ დაურეკა და უთხრა, რომ კუთვნილი მიწის ნაკვეთის გაყიდვა უნდოდა. მისი განზრახვა თავიდან არ მოეწონა, მაგრამ მ-მ აუხსნა ოჯახური სიტუაცია და ის, თუ რა პრობლემის წინაშე იდგა. შემ-დგომ კვლავ დაურეკა მ-მ და უთხრა, რომ მიწის ნაკვეთის გაყიდვა საბოლოოდ და მყარად ჰქონდა გადანიშნული, გასაყიდად და გადა-საფორმებლად საჯარო რეესტრში გაყოლა სთხოვა. თავიდან გა-ყოლაზე უარი უთხრა, რადგან არ ეცალა, მოგვიანებით კი თავად

დაურეკა მ-ს, რომელმაც უთხრა, რომ უძრავი ქონება უკვე გაუფორმა მყიდველს და საჯარო რეესტრში მის მისვლას აზრი არ ჰქონდა, თუმცა თუ უნდოდა, მისულიყო. იუსტიციის სახლში როცა მივიდა, მ. შენობიდან უცნობ ქალთან ერთად გამოვიდა, რა დროსაც მოისმინა მათი საუბარი რომ ფული, რომელიც მინის ნაკვეთის სანაცვლოდ მისცა, უნდა გაეკეთებინა გამიჯვნა, და თუ გამიჯვნა არ მოხდებოდა, მაშინ მ-ს ფული უნდა დაებრუნებინა, ხოლო მინას ისევ თავის სახელზე გაიფორმებდა. მოწმემ შემდგომ განმარტა, რომ მ-მ თავად ვერ გააკეთა გამიჯვნა, რადგან თანამესაკუთრესთან აქვს პრობლემები და მ-ს სახლის გაყიდვა არასდროს უფიქრია, რადგან ეს მშობლების დანატოვარია და უფრთხილდებოდა. ამავე დროს წარმოდგენელი იყო ქონება ასეთ მიზერულ ფასად გაეყიდა; მ-ს იმ დროს სჭირდებოდა თანხა და მხოლოდ მცირე ნაკვეთის გაყიდვას აპირებდა (იხ. სასამართლო 18.12.2019 წლის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი).

112. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების განზრახვის არსებობა ასევე დასტურდება თავად მოსარჩელე მხარის განმარტებით. კერძოდ, მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ მას კუთვნილი ქონების გაყიდვა სურდა და მოპასუხეს ქონების ყიდვაზე შეუთანხმდა. სწორედ ამ განზრახვით მივიდნენ საჯარო რეესტრში, სადაც ჯერ ქონების გამიჯვნა და შემდგომ ნასყიდობის დადება უნდა მომხდარიყო, თუმცა გამიჯვნა ვერ მოხერხდა თანამესაკუთრისაგან თანხმობის არარსებობის გამო. მოსარჩელის ეს განმარტება მიუთითებს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სურვილზე. მოდავე მხარეთა ნამდვილი განზრახვა მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების და არა სესხის ხელშეკრულების დადებისაკენ. აღნიშნულის დასტურად საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოპასუხე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხულ მოწმეთა (ნ. ბ-ი, ა. ი-ი, ა. ბ-ი, ნ. ხ-ი) განმარტებებზე, რომლებსაც არ დაუდასტურებიათ, რომ მოპასუხემ თანხა მოსარჩელეს სესხად გადასცა და ქონების გაფორმება მხოლოდ მყარი გარანტიის მიზნით მოხდა. ყველა მოწმის ჩვენება მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელის სურვილი – ქონების გასხვისება, ხოლო, მოპასუხის სურვილი მისი შეძენა იყო (მოწმე ნ. ხ-ის განმარტებით, მოსარჩელეს კუთვნილი ქონების გაყიდვა უნდოდა. იგი ქონებას 2 700 აშშ დოლარად ყიდდა. რადგან თავად დიდი მინის ნაკვეთი აქვს, ამიტომ მოსარჩელის მინის შეძენის ინტერესი არ ჰქონდა. მისთვის ცნობილია, რომ მოსარჩელე ხშირად აკითხავდა ლ-ს და სთხოვდა, რომ როგორმე შეეძინათ მისი ქონება. საბოლოოდ შეთანხმდნენ კიდევ მაგრამ აღმოჩნდა, რომ უძრავი ქონება თანასაკუთრებაშია და ლ. ქონებას ვერ იფორმებდა, რაზეც ის და მისი ოჯახი ნერვიულობდა,

თუმცა შემდგომ მაინც შეთანხმდნენ. მეზობლებმა იცინან, რომ ლ-მ მ-ს ქონება შეიძინა და დაამუშავეს კიდევ მიწის ნაკვეთი. გარკვეული დროის შემდეგ მ. ჩავიდა ყ-ში და უკანონოდ შევიდა უძრავ ქონებაში. როდესაც მეზობლებმა ჰკითხე თუ რატომ მოიქცა ასე უპასუხა, რომ, მართალია, გაყიდა ქონება მაგრამ მისი დაბრუნება სურდა. მონმე ნ. ბ-ის განმარტებით, ლ.ჭ-თან ახლო ურთიერთობა აქვს. მ. ხშირად ურეკავდა ლ-ს მეუღლეს, რომ მიწის გაყიდვა უნდოდა და მათ ეყიდათ. ქონებას მ. 2 700 აშშ დოლარად ყიდდა. ლ-ს მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და დიალიზზე იმყოფება, ამიტომ სრული თანხა არ ჰქონდა. ნაწილი თანხა ლ-ს მშობლებმა მისცეს, 600 აშშ დოლარი კი თავად ასესხა. როდესაც იუსტიციის სახლში მივიდნენ აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ვერ მოხდებოდა, რადგან თანამესაკუთრე ჰყავდა. ლ-ს 800 აშშ დოლარი ბეს სახით წინასწარ ჰქონდა მიცემული და რადგან მიწას ვერ იფორმებდა ამიტომ მ-ს თანხის დაბრუნება მოსთხოვა. მ-მ უთხრა, რომ თანხას ვერ დაუბრუნებდა და, სანაცვლოდ, კუთვნილი წილის ყიდვა შესთავაზა. საბოლოოდ ნასყიდობის ხელშეკრულება წილზე დაიდო. მონმემ განმარტა, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდგომ ლ-ს ოჯახმა დაასუფთავა მიწის ნაკვეთი და მოხსნა. მონმე ა. ი-ის განმარტებით, მის მეუღლეს (ნ. ბ-ი) ახლო ურთიერთობა აქვს ლ. ჭ-ის ოჯახთან. მეუღლემ უთხრა, რომ ლ. მიწას ყიდულობდა და თანხა სჭირდებოდა. 2018 წლის სექტემბერში ლ-ს 600 აშშ დოლარი ასესხეს, რომელიც შემდგომ 2019 წლის თებერვალში დაუბრუნა. მეუღლისგანვე იცის, რომ ლ-მ იყიდა მიწა. მონმე ა. ბ-ის განმარტებით, ლ. ჭ-ის მეუღლის თხოვნით დაამუშავა მიწის ნაკვეთი – გაასუფთავა, გათიბა, ხის ძირები დაბარა და სასუქი დაუყარა. მიწის დამუშავებაში ლ-ს მეუღლემც ეხმარებოდა. მიწის დამუშავებაში თანხა ლ-ს მეუღლემ გადაუხადა) (იხ. წინამდებარე განჩინების პ.38-41).

113. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ევროსასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მონმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Ludi v. Switzerland*, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zraggen v. Switzerland* გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მონმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მონმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქ-

ტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

114. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, §30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland §21).

115. საქმის მასალებში განთავსებულია გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2019 წლის განჩინება შსს ყ-ის რაიონული სამმართველოდან ბ. ბ-ის და ლ. ჭ-ის გამოკითხვის ოქმების გამოთხოვის შესახებ, ასევე განთავსებულია 2019 წლის 29 მარტის ლ. ჭ-თან გასაუბრების შესახებ ოქმი; 2019 წლის 06 აპრილის ლ. ჭ-ის გამოკითხვის ოქმი. ორივე გამოკითხვის ოქმში ლ. ჭ-ი მიუთითებს, რომ მოსარჩელისაგან უნდა შეეძინა მინის ნაკვეთის ნაწილი 1253 კვ.მ. სა-

აპელაციო პალატის მიერ ამ მტკიცებულებების შეფასებას (იხ. წინამდებარე განჩინების პ.43-45) კასატორი არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ უგულებელყო სსსკ-ის 133-ე მუხლის დანაწესი (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე განჩინების პ.59).

116. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამომოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

117. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები ინცებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

118. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

119. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებუ-

ლებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

120. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

121. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე,

რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

122. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შესარულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

123. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

124. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

125. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნიანობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

126. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რო-

მელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვნიადობის პრინციპების მოთხოვნა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

127. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

128. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს,

არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

129. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

130. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ. 3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გა-

რემოცია, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2000, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2000, გვ.64).

131. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

132. სსსკ-ის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოხმობილი ნორმები განსაზღვრავენ მხარეთა ტვირთს ფაქტების მითითების თაობაზე. განსხვავებით მტკიცების ტვირთისაგან, რომელსაც მოსამართლე აქტიურად ხელმძღვანელობს და კარ-

ნახობს მხარეებს, თუ ვინ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი, იგი პასიურია ფაქტების მითითებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე ვერ დაეხმარება მხარეს საარჩელის/შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების შედგენაში. მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს.

133. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედაგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედაგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედაგებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

134. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედაგებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი

გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი.

135. საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს მოსარჩელის პოზიცია, კერძოდ, იგი გარიგების ბათილად ცნობასა და ქონების საკუთრებაში დაბრუნებას შეცდომის თუ მოტყუების საფუძველზე მოითხოვს. სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება შეცილების ადრესატის მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის, ასევე, შეცდომის არსებობის (სსკ-ის 73-ე მუხლის ფარგლებში მხარე ხომ არ შეცდა გარიგების ტიპის არჩევაში *error in negotio*) მტკიცების ტვირთი, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ასევე, ხომ არ ამტკიცებს მოსარჩელე გარიგების მოტყუებით დადების ფაქტს (სსკ-ის 81-ე (1) მუხლი) და ამ საფუძველზე ხომ არ ეცილება ხელშეკრულებას, ასევე, უნდა შემომდგეს გარიგების კონკრეტული საფუძველით შეცილების ნამდვილობა, რამეთუ საცილო გარიგების მიმართ არანამდვილი შეცილების განხორციელება ამ გარიგებას იურიდიული ძალმოსილებით აღჭურავს. (შდრ: სუსგ №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017).

136. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილობის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ განსაზღვრული პირობების დარღვევით დადებულ გარიგებებს ბათილად აღიარებს. ამიტომ ბათილობის ცნება და შინაარსი კანონის ნორმებისა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. (შდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 54, ველი 5, თბილისი, 2017). ბათილია გარიგება, თუ ის არ ინვესტს გარიგების მონაწილეების მიერ დასახულ სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგების ბათილობა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგია, ამიტომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები, გარიგების ნაკლის გამოსწორების ჩათვლით, კანონით განისაზღვრება. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილი გარიგების სახეები.

137. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათილი გარიგების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საცილო გარიგება. საცილო გარიგება დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი ხდება ბათილი. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არა-

მედ მისი დადების მომენტიდან. საცილო გარიგების გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები (შდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 54, ველი 12, თბილისი, 2017).

138. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. არსებითი შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოსატყუელი ნება ერთმანეთს არ ემთხვევა. შეცდომა არსებითობის განსჯისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემთხვევის ყველა გარემოება. შეცდომის არსებითობის შეფასება წარმოადგენს სამართლებრივ კატეგორიას. (შდრ. თორნიკე დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 72, ველი 6, თბილისი, 2017). შეცდომა უნდა იყოს ნების გამოვლენის განმსაზღვრელი, ანუ იგი უნდა იმყოფებოდეს მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან (ნების გამოვლენასთან). ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომის შედეგად პირი ავლენს ისეთ ნებას, რომელსაც შეცდომის გარეშე ამ კონკრეტული ფორმით არ გამოავლენდა, ანუ როდესაც შეცდომა შედეგის განმსაზღვრელია. შეცილებაზე უფლებამოსილია დაინტერესებული პირი, ანუ ის, ვინც ნების გამოვლენისას შეცდომას უშვებს და არა ნების გამოვლენის ადრესატი. შეცდომით დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი, შეცილების შემდეგ გამოისატება გარიგების ბათილობაში მისი დადების მომენტიდან (*ex tunc*). არსებითი შეცდომის სახეები გათვალისწინებულია სსკ-ის 73-ე მუხლის დანაწესით.

139. როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძველად დაედო, მაგრამ მათ შორის, არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაქტის კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოსატყუელი ნება ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეცდომა არის მხარის მცდარი წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე.

140. ზოგადი თვალსაზრისით, შეცდომა არსებითად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ასევე მაშინ, როდესაც ზოგადი საბაზრო შეხედულებითა და ნების გამომვლენის გადმოსახედიდან არასასურველ სამართლებრივ ბოჭვაში დარჩენა მიუღებელია. მაშასადამე, ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით, ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებს: თუ „რა ზომებს მიიღებდა მსგავს ვითარებაში გონიერი ადამიანი, რომ სცოდნოდა საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ“. ამდენად, შეცდომის არსებითობის განსჯისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემთხვევის ყველა გარემოება, რომელიც ყოველ შემთხვევაში განსხვავებული წინაპირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნული კი თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეცდომის არსებითობის შეფასება სამართლებრივი კატეგორიაა.

141. შეცილების სამართლებრივი შედეგი არის გარიგების სრული ან ნაწილობრივი ბათილობა. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განხორციელებული აქვთ შესრულებები, მათი უკან დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ან ვინდიკაციით. ის, ვინც იყენებს შეცილების უფლებას, უნდა დაამტკიცოს შეცდომის არსებობა, შეცდომის არსებითობა, და მიზეზობრივი კავშირი შეცდომასა და ნების გამოვლენას შორის.

142. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შესაფასებელია, მხარეთა შორის ურთიერთობა მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა შეცდომით ან მოტყუებით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებად.

143. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ნაწილობრივ დასაბუთებული შედაგება წარმოადგინა, ამასთანავე, დასადგენია რა დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადანყვეტილება მოცემულ საქმეზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის (1) „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც საპროცესო სამართლის წესების დაცვით, საკასაციო პალატის მითითებების ფარგლებში (სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა დაადგინოს სადავო ფაქტები და ამის შემდგომ გადანყვეტოს უფლების საკითხი. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელია, მხარეთა შორის ურთიერთობა მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა შეცდომით

ან მოტყუებით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებად. თუ სააპელაციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს საცილო გარიგებას, ასეთ შემთხვევაში შემონმბებული უნდა იქნეს გარიგების ბათილობის შეცვლების ვადის საკითხიც.

144. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ განსხვავებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადისაგან, შეცვლების ვადა უნდა შემონმდეს სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით (სასამართლო შესაგებელი) (შდრ: სუსგ №1181-2018, 18 თებერვალი, 2021).

145. რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო: საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მონესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი არაა დააკმაყოფილოს კასატორის წინამდებარე განჩინების პ.65-ში მითითებული შუამდგომლობა, ამიტომაც კასატორს უკან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო სასამართლოში 2021 წლის 2 მარტის №ა-967-21 და ამავე წლის 13 მაისის №ა-2309-21 განცხადებებით წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები.

146. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განა-

წილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ნ-ე-ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ქირავნობა

სსპა ხარჯავის ანაზღაურების ვალდებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სასხელით

№ას-1113-1033-2017

24 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების შეწყვეტა, თანხის დაკისრება

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლის გამო უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2008 წლის 1 ივნისს ი. გ-ძეს (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“), ლ. გ-ძესა (შემდგომში – „მესამე მოპასუხე“) და ვ. გ-ს (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „მოიჯარე“) შორის ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება და მოსარჩელეს იჯარით გადაეცა ქ. თბილისში, ... ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“, „უძრავი ქონება“ ან „საიჯარო ობიექტი“).

2. 2010 წლის 17 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესამე მოპასუხემ სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილი მიჰყიდა ვ. ი-ს (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“, „მეიჯარე“, „მოპასუხე“ ან „კასატორი“), ხოლო 2010 წლის 27 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მოპასუხემ აღნიშნული ქონების ნაწილი აჩუქა პირველ მოპასუხეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის 2010 წლის 27 აპრილს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილი დაუბრუნდა მეორე მოპასუხეს და აღირიცხა მის საკუთრებად. გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის გადან-

ყვეტილებით შევიდა კანონიერ ძალაში.

4. მოსარჩელემ იჯარით აღებულ სადავო უძრავ ქონებას სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო ჩაუტარა, რასაც მოპასუხე მხარე არ უარყოფს, ეს უკანასკნელი სადავოდ ხდის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებით მოცულობას იმ არგუმენტით, რომ სარემონტო სამუშაოების ნაწილი მოსარჩელემ თვითნებურად აწარმოა, მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

5. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 8 აპრილის №004982-2011/03 დასკვნის თანახმად, სადავო უძრავ ქონებაზე წარმოებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა საერთო ღირებულება შეადგენს 232 347,90 ლარს.

6. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 15 აპრილის №5-006881-203 დასკვნის თანახმად, სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2008 წლის ზაფხულის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 208 700 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, ხოლო 2011 წლის აპრილის მდგომარეობით – 280 500 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ჩატარებული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით დღემდე განიცადა დაახლოებით 35%-იანი ცვლილება.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეებისა და რ. გ-ძის (შემდგომში – „მეოთხე მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა:

7.1. პირველ და მესამე მოპასუხეებს შორის 2010 წლის 17 მარტს დადებული სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

7.2. პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის 2010 წლის 27 აპრილს დადებული სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

7.3. 2008 წლის 1 ივნისის ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა);

7.4. პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეებისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ობიექტზე შესრულებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების 232 347,90 ლარის დაკისრება;

7.5. პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეებისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შედეგად საიჯარო ობიექტის გაზრდილი (გაუმჯობესების) საბაზრო ღირებულების 118 470 ლარის დაკისრება;

7.6. მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ 2008 წლის 1 ივნისიდან

2009 წლის დეკემბრამდე გადახდილი საიჯარო ქირის 34 000 აშშ დოლარის დაკისრება;

7.7. მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის 160 000 ლარის პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეებისთვის დაკისრება.

8. მოსარჩელის განმარტებით:

8.1. 2008 წლის 1 ივნისს მოსარჩელესა და მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებს შორის მეორე და მესამე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე დაიდო ზეპირი ფორმის იჯარის ხელშეკრულება. ობიექტი სამეწარმეო საქმიანობისთვის უვარგისი იყო. შეთანხმების შესაბამისად, მოსარჩელეს საიჯარო ობიექტზე უნდა ჩატარებინა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა, თვეში 2000 აშშ დოლარის ოდენობით. სამუშაოების დამთავრებისთანავე მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმებულიყო. შეთანხმების რეალიზაციის მიზნით, მოიჯარესთან ურთიერთობაში მეორე და მესამე მოპასუხეებს წარმოადგენდა მეოთხე მოპასუხე;

8.2. 2009 წლის დეკემბრის დასაწყისში მოსარჩელემ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაამთავრა და მიეჯარეებს და მათ წარმომადგენელს – მეოთხე მოპასუხეს იჯარის ხელშეკრულების წერილობით გაფორმება მოსთხოვა;

8.3. მეორე და მესამე მოპასუხეებმა იჯარის ხელშეკრულების (10 წლის ვადით, ქვეიჯარის უფლებით, საიჯარო ქირის 4000 აშშ დოლარით განსაზღვრის პირობით) წერილობით გაფორმების ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, იჯარის ობიექტი საკუთრებაში გადასცეს მათი ოჯახის წევრს – პირველ მოპასუხეს, რომელიც არის მეორე მოპასუხის შვილი და მესამე მოპასუხის ძმა;

8.4. პირველი მოპასუხე იჯარის ხელშეკრულებას წერილობით არ აფორმებს, საიჯარო ობიექტს არ აწვდის წყალს, გაზს და ყველანაირად ცდილობს, დაატოვებინოს მოსარჩელეს მის მიერ გარემონტებული და გარემონტების შედეგად ღირებულება გაზრდილი ობიექტი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე;

8.5. სადავო უძრავ ქონებაზე წარმოებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 232 347,90 ლარი;

8.6. მოსარჩელის მიერ წარმოებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად, სადავო უძრავი ქონების ღირებულება გაიზარდა 71 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, ე.ი. 118 470 ლარით;

8.7. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისას, ისე, რომ მოსარჩელე ვერ სარგებლობდა ობიექტით, მან საიჯარო ქირის სახით 17 თვის განმავლობაში გადაიხადა 34 000

აშშ დოლარი;

8.8. პირველმა მოპასუხემ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება და თითქოსდა 2008 წლიდან გადაუხდელი ქირის გადახდა მოსთხოვა შპს „ლ. ჰ-ს“. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2010-2011 წლებში მიმდინარეობდა დავა და სასამართლომ დაადგინა ურთიერთვალდებულებების არსებობა მეორე და მესამე მოპასუხეებს, მათ უფლებამონაცვლე პირველ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის. ამის შემდგომ მოპასუხეებმა მოითხოვეს მოსარჩელის მიერ უკვე გადახდილი საიჯარო ქირის კვლავ გადახდა 34 000 აშშ დოლარის ოდენობით.

8.9. ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ, პირველმა მოპასუხემ დავა გააგრძელა შპს „ლ. ჰ-თან“, მოსარჩელეს არ აღუდგინა შეწყვეტილი წყლისა და გაზის მიწოდება, რის გამოც მოსარჩელე იძულებული გახდა სარჩელები შეეტანა სასამართლოში იჯარის ხელშეკრულების დადებულად ცნობის, ნაკლის მქონე ნივთის ნაკლის გამოუსწორებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და პარალელურად დაეცვა თავი პირველი მოპასუხის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელებისგან;

8.10. მოპასუხეთა მიერ ნერილობითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების, საიჯარო ობიექტის სარგებლობასა და კომერციულ საქმიანობაში ხელშეშლის გამო, მოსარჩელეს მიადგა ზიანი, ასევე იგი ვერ მიიღებს მოსალოდნელ მოგებას (მიუღებელ შემოსავალს). მოპასუხე არ ასრულებს მეიჯარისათვის კანონით დადგენილ ვალდებულებებს, რის გამოც საიჯარო ურთიერთობამ მოსარჩელისთვის ინტერესი დაკარგა. შესაბამისად, მოსარჩელე იძულებულია, უარი თქვას იჯარის ხელშეკრულებაზე, მოითხოვოს მისი მოშლა, განეული კაპიტალური ხარჯების, ამ ხარჯების შედეგად ქონების გაზრდილი ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურება.

9. პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ:

9.1. 2008 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის დეკემბრამდე, 17 თვის მანძილზე, მოსარჩელეს საიჯარო ქირის სახით მეორე და მესამე მოპასუხეებისათვის გადახდილი აქვს 11 500 აშშ დოლარი. თუმცა, გადასახდელი ჰქონდა 45 000 აშშ დოლარი და ამ ხნის მანძილზე მოსარჩელე, როგორც მოიჯარე, სარგებლობდა უძრავი ქონებით;

9.2. მეიჯარეები რემონტის მიმდინარეობისას 2000 აშშ დოლარის ოდენობით საიჯარო ქირაზე დათანხმდნენ იმის გამო, რომ მოსარჩელე ამ ობიექტს საკუთარი თანხით ჩაუტარებდა მიმდინარე რემონტს, რომელიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება;

9.3. მოსარჩელემ ობიექტს ჩაუტარა არა კაპიტალური, არამედ – მიმდინარე რემონტი. დ. რ-ის მიერ შედგენილ ექსპერტის დას-

კენაში ნათლად წერია, რომ ობიექტი რემონტის გარეშეც ჩვეულებრივ შეძლებდა ფუნქციონირებას;

9.4. მოსარჩელეს ხელი არ ეშლება ობიექტით სარგებლობაში. ობიექტი მუშა მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს, ხოლო ამით მოსარჩელე იღებს შემოსავლებს საიჯარო ქირის გადახდის გარეშე;

9.5. ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც მოსარჩელე თითქოსდა ამტკიცებს 232 347,90 ლარის დახარჯვის ფაქტს, ეყრდნობა მის მიერ წარდგენილ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას. მოსარჩელეს არ გააჩნია მტკიცებულება, რა თანხა გაიღო შენობის გარემონტებაში. ამასთან, ექსპერტების დასკვნები წინააღმდეგობრივია, საუბარია ასეულ ათასობით განსხვავებაზე და ბუნებრივია, რომ სასამართლოს მიერ ასეთი დასკვნების გათვალისწინება იქნება საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება;

9.6. პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშსა და მთლიან ქონებაზე დადებულმა ყადაღამ გამოიწვია ის, რომ იგი დარჩა უსახსროდ და აღარ აქვს ექსპერტიზის საკუთარი ხარჯით ჩატარების შესაძლებლობა, რომელიც მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნებით შექმნილ გაურკვევლობას მოხსნიდა.

10. მეოთხე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ცნო.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოშალა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2008 წლის 1 ივნისის ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულება; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 151 026,90 ლარი.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და პირველმა მოპასუხემ.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო პალატამ დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

15. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 50-ე, 56-ე და 183-ე მუხლებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას ვერ ადასტურებდა. სადავო გარიგების მხარეებს სურდათ იმ იურიდიული შედეგის დადგომა, რაც უძრავი ქონების გაყიდვით შეიძლებოდა დამდგარიყო. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ სადავო გარიგებით ორივე მხარემ გამოხატა შესაბამისი ნება.

მოპასუხემ მიიღო შექცენილი უძრავი ქონება, რომელიც საკუთრების უფლებით აღირიცხა საჯარო რეესტრში.

16. რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დავის საგანი აღარ არსებობდა, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იყო ცნობილი პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება და სადავო უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი საკუთრებაში დაუბრუნდა მეორე მოპასუხეს.

17. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარდგენილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე [რომლითაც დადგინდა, რომ: მხარეთა შეთანხმებით მოიჯარეს უძრავ ქონებაზე უნდა ჩაეტარებინა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები კომერციული საქმიანობის დაწყების მიზნით, რის შემდეგაც მხარეები წერილობით გააფორმებდნენ იჯარის ხელშეკრულებას; საიჯარო ქირის ოდენობა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას განისაზღვრა 2000 აშშ დოლარით; 2009 წლის 1 დეკემბერს მოიჯარემ დაასრულა აღნიშნული სამუშაოები და 8 დეკემბერს დაიწყო კომერციული საქმიანობა, თუმცა საიჯარო ხელშეკრულება წერილობით არ გაფორმებულა], თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებასა [რომლითაც დადგინდა, რომ: მოიჯარე იჯარით აღებულ ფართში ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საიჯარო ქონებას არ მიეწოდება წყალი] და, ასევე, იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს შორის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარეობდა სხვადასხვა დავა საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ფაქტების ერთობლიობა და მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი დავები ადასტურებდა ხელშეკრულების მოშლის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას და მოიჯარის მოთხოვნა 2008 წლის 1 ივნისის ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

18. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების პირველი ნაწილებით და 352-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 581-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 572-ე, 598-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ სადავო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის შექცენის შემდეგ მასზე გადავიდა 2008 წლის 1 ივნისის იჯარის ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

19. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ ნაწილზე [პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება სხვა საფუძვლების გამო შემდგომში შეწყდა] და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ შენობა-ნაგებობის გაუმჯობესება გამოინვია შენობაზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებამ, რომელზე განუული ხარჯი ასევე მოიცავს უძრავი ქონების გაზრდილ საბაზრო ღირებულებასაც. შესაბამისად, მოთხოვნა 118 470 ლარის ნაწილში უსაფუძვლო იყო. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ შენობა-ნაგებობა განიცდის ცვეთას. სააპელაციო პალატამ მიუთითა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებას უნდა გამოკლებოდა ცვეთის ხარჯი 2008 წლიდან 2013 წლამდე 35% და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დაკისრებოდა 151 026.90 ლარი.

20. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა საიჯარო ქირის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც და აღნიშნა, რომ, ვინაიდან 2008 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის დეკემბრამდე მოიჯარეს საიჯარო ქირის – 34 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება აღებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, არ არსებობდა გადახდილი საიჯარო ქირის უკან მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

21. სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებას ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ სახის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის უნდა არსებობდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზიანი დამდგარი შედეგის მიხედვით იყოფა ფაქტობრივად დამდგარ ზიანად და მიუღებელ შემოსავლად. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა 160 000 ლარს, როგორც მიუღებელ შემოსავალს და უთითებდა, რომ ქვეიჯარით ფართის გაცემის შემთხვევაში შეეძლო 2000 აშშ დოლარის ყოველთვიურად მიღება, რომელსაც გამოაკლდებოდა რემონტზე მის მიერ განუული ხარჯი და წმინდა მოგების სახით დარჩებოდა 845 აშშ დოლარი. პალატამ მიუთითა სსკ-ის 587.1 მუხლზე [მოიჯარეს არა აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე] და დაასკვნა, რომ ასეთი თანხმობის არარსებობის პირობებში, მოიჯარე ვერ განახორ-

ციელებდა ქვეიჯარით ფართის გადაცემას და მოგების მიღებას, რაც გამოორიცხავდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის, 160 000 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრებას.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს მოსარჩელემ და პირველმა და მეორე მოპასუხეებმა.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივარი, ხოლო ამავე პალატის 2017 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. პირველმა მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ საფუძვლებზე მიითვლით:

25.1. განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 405-ე მუხლზე, თუმცა არ განმარტა, თუ მის მიერ ჩამოთვლილი სამი გარემოებიდან, კონკრეტულად მოპასუხის რომელი ქმედება წარმოადგენდა ვალდებულების დარღვევას. განჩინებით ვერ დგინდება რაში გამოიხატება მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევა: ა) წერილობითი ხელშეკრულების დაუდებლობაში; ბ) საიჯარო ობიექტისადმი წყლის მიუწოდებლობაში თუ გ) საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე დავებში. პირველი გარემოების ხელშეკრულების დარღვევად შეფასების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს ბრალეული მხარე, ამასთან, მოიჯარის მოგება ამ ხელშეკრულების დაუდებლობით გაორმაგდა. მეორე გარემოების შემთხვევაში, სასამართლოს ის მაინც უნდა დაედგინა, როდის დაევალა მოპასუხეს წყლის მიწოდება და როდის უზრუნველყო ამ ვალდებულების შესრულება. ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარე დავებს, სარჩელის შეტანა თავისთავად არ ნიშნავს ვალდებულების დარღვევას;

25.2. განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია განჩინებიდან არ დგინდება კონკრეტულად რომელ ნორმაზე დაყრდნობით დატოვა სასამართლომ უცვლელი სარჩელის დაკმაყოფილება.

ფილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. ყველა სამართლებრივი ნორმა, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი სამართლებრივი ბუნებით. სააპელაციო პალატამ მოპასუხეზე თანხის დაკისრებისას გამოიყენა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მომწესრიგებელი ნორმები ერთად. შესაბამისად, გაუგებარია, რომელია მოპასუხის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი – ხელშეკრულება თუ უსაფუძვლო გამდიდრება. ამას გარდა, სასამართლოს მიერ გამოყენებული, სახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობი ნორმებიდან ნაწილი არეგულირებს პირველადი ვალდებულების წარმოშობას, ხოლო ნაწილი – მეორადი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია;

25.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 598-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის საკითხს. თუმცა, ობიექტი, რომლის იჯარაც მოხდა, მდებარეობს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მიწის იჯარას ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 545-ე და 548-ე მუხლები და მათ საფუძველზე უნდა დაედგინა, მოსარჩელის მიერ გაღებული რემონტის ხარჯი მიმდინარე რემონტის ხარჯს განეკუთვნებოდა თუ აუცილებელ ხარჯს წარმოადგენდა;

25.4. სააპელაციო სასამართლომ საქმის გაცნობის გარეშე განსაზღვრა აპელანტთა წრე. დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარდგენისას აპელანტად განისაზღვრა მხოლოდ პირველი მოპასუხე, სააპელაციო სასამართლომ კი აპელანტებად ასევე განსაზღვრა მეორე და მესამე მოპასუხეები და მათ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა ფორმალურად წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მას შემდეგ, რაც მათ ჩაჰბარდათ საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მეორე და მესამე მოპასუხეების მიმართ წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ცხადი გახდა, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ სააპელაციო გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირებს და, შესაბამისად, მხოლოდ პირველმა მოპასუხემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ პირველი მოპასუხე 5000 ლარის ნაწილში სოლიდარულ მოვალედ აქცია და მეორე და მესამე მოპასუხეების მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემთხვევაში, მათ უკვე პირველი მოპასუხის მიმართ წარმოეშობათ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რითიც არსებითად ილახება არა მარტო მეორე და მესამე მოპასუხეების, არამედ – პირველი მოპასუხის ქონებრივი უფლებებიც;

25.5. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვა შეცდომა და დაარღვია სსკ-ის 83¹-ე და 248-ე მუხლების მოთ-

ხოვნები. კერძოდ, მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის სხდომაზე შეამცირა მოთხოვნა 36 768,9 ლარით. რემონტის ხარჯებიდან მან უარი განაცხადა ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ანაზღაურების მოთხოვნაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში მან სარჩელი გაიხმო, რის გამოც სააპელაციო პალატას მოთხოვნის ამ ნაწილში უნდა გაეუქმებინა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება;

25.6. სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის ვადა უსაშველოდ გააჭიანურა, რითაც არსებითად შეილახა მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლება;

25.7. სააპელაციო სასამართლომ განახორციელა ფორმალური მართლმსაჯულება. პალატამ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი განმარტა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კოპირების შესაძლებლობა და ვალდებულად არ მიიჩნია თავი, დაესაბუთებინა აღნიშნული გადაწყვეტილების გაზიარების მოტივები;

25.8. პირველი მოპასუხის მიმართ დაირღვა მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მის არცერთ არგუმენტს პასუხი არ გასცა და დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის ვალდებულება. სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა პირველი მოპასუხის შემდეგი მთავარი არგუმენტები:

25.8.1. მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებამდე არ დაუწესებია დამატებითი ვადა;

25.8.2. მოსარჩელემ დაადასტურა, რომ იჯარის ურთიერთობის მიმართ გააჩნდა ინტერესი. ამასთან, იგი კატეგორიულად უარს აცხადებს ობიექტის გათავისუფლებაზე, მათ შორის, დღესაც;

25.8.3. იჯარის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით არდადება არ წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს;

25.8.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული სამი გარემოება წარმოადგენდა თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ წინაპირობას. ამასთან, მოსარჩელემ თავად დაადასტურა ის ფაქტი, რომ წყლის მიუწოდებლობის გამო მას ობიექტით სარგებლობა ერთი დღითაც არ შეუჩერებია;

25.8.5. ობიექტის იჯარით გაცემამდე მისი ფუნქციონირება და დანიშნულებისამებრ გამოყენება შესაძლებელი იყო, რაც გამორიცხავდა ობიექტზე რემონტის ჩატარების აუცილებლობას და, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები განეკუთვნებოდა მიმდინარე რემონტის კატეგორიას. ამასთან, მოიჯარის მიერ იჯარის საგანზე განეული რემონტის ხარჯების ანაზღაურება მხარეთა შორის შეთანხმებით გათვალისწინებული არ იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე, შეკითხვების ეტაპზე მოსარჩელემ აღიარა, რომ რემონტის ხარჯი მას არ უნდა ანაზღაურებოდა;

25.8.6. პირველმა მოპასუხემ ექსპერტის დასკვნის საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ ექსპერტმა სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეაფასა 2008 წლის მდგომარეობით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ბაზარზე არსებულმა ფასებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2008 წლის შემდეგ, მასალათა ღირებულება და მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურება შემცირდა. სამუშაოები ჩატარებულია 2008 წლის ნოემბრის დასაწყისიდან ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ფასები შემცირებული იყო. 2008 წლის აგვისტოს ომამდე სამშენებლო მასალების ღირებულება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ომის შემდგომ პერიოდში. სარჩელზე დართულ მტკიცებულებათა (მეორე მოპასუხის 2008 წლის 16 ოქტომბრის განცხადება მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად, რომელზედაც ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 2008 წლის 27 ოქტომბერს გასცა მშენებლობის ნებართვა) გათვალისწინებით, მოსარჩელე ვერ ჩაატარებდა სარემონტო სამუშაოებს 2008 წლის ოქტომბრამდე, შესაბამისად, იგი ვერ შეიძენდა სამშენებლო მასალებს 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებული ფასებით. ექსპერტმა მასალათა ღირებულება თავისი ინიციატივით მაინც 2008 წლის მდგომარეობით დაადგინა, რის გამოც მის მიერ მოყვანილი ფასები 2009 წლის ფასებთან შედარებით გაზრდილია სულ მცირე 2-ჯერ, 3-ჯერ. ამასთან, მოსარჩელეს ექსპერტისთვის სარემონტო სამუშაოების შესაფასებლად არ წარუდგენია მასალათა შესყიდვის დოკუმენტები, სასაქონლო ზედნადებები, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მოსარჩელეს სარემონტო მასალებად შეიძლება გამოეყენებინა მეორადი მასალები, რომელთა ღირებულება ბევრად ნაკლებია ახალ მასალათა ღირებულებასთან შედარებით;

25.8.7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის 2010 წლის 27 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულება და სადავო უძრავი ნივთის $\frac{1}{2}$ ნაწილი დაუბრუნდა მეორე მოპასუხეს. ამრიგად, უძრავი ნივთის $\frac{1}{2}$ ნაწილი ეკუთვნის პირველ მოპასუხეს, ხოლო $\frac{1}{2}$ ნაწილი – მეორე მოპასუხეს 2010 წლის 27 აპრილის შემდეგაც. ამრიგად, თუ უძრავი ნივთის რემონტის ღირებულება ექვემდებარება უკან დაბრუნებას, მათი პასუხისმგებლობაც უნდა განისაზღვროს უძრავ ნივთში მათი წილების შესაბამისად;

25.9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის

352-ე და 405-ე მუხლები. გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ ხელშეკრულების მოშლა კი არ დაადგინა, არამედ – ხელშეკრულებიდან გასვლა. ამასთან, სააპელაციო პალატას უნდა შეემოსწმებინა, რამდენად შეესაბამებოდა მოსარჩელის უფლება ხელშეკრულებიდან გასვლაზე სსკ-ის 405-ე მუხლით დაწესებულ მოთხოვნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კასატორმა მიუთითა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

25.9.1. 2008 წლის 1 ივნისიდან 2011 წლის სექტემბრამდე, 3 წლის მანძილზე მოსარჩელეს არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია ვალდებულების დარღვევის თაობაზე და არც არასდროს დაუწესებია მეიჯარისათვის ვადა ვალდებულების შესასრულებლად;

25.9.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის ნოემბერში, შესაბამისად, მხოლოდ ამის შემდეგ დაევალა პირველ მოპასუხეს წყლის მიწოდების უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებით კონკრეტული ვადა არ იყო განსაზღვრული, პირველმა მოპასუხემ ყველა ღონე იხმარა, რომ ობიექტს წყალი უმოკლეს დროში მიწოდებოდა. ამდენად, პირველმა მოპასუხემ დავალბებული ქმედება შეასრულა, შესაბამისად, ვადაც უშედეგოდ არ გასულა, შედეგი დამდგარია;

25.9.3. მოსარჩელეს იჯარით აღებული ფართი ქვეიჯარით აქვს გაცემული შპს „ლ. 3-ი ...“-ზე. 2008 წლის 1 ივნისიდან დღემდე მას ფართის ქვეიჯარით გაცემის უფლებას არაეინ უზღუდავს და, შესაბამისად, მას ინტერესი რომ დაეკარგა იჯარის ურთიერთობის მიმართ, არ გააგრძელებდა ამ ობიექტში საქმიანობას;

25.9.4. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ დავის ნებისმიერი გზით დასრულების შემთხვევაში, ის ასე თუ ისე მაინც გააგრძელებდა იჯარით აღებული ობიექტით სარგებლობას;

25.9.5. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ქმნიდა თუ არა ვალდებულების არსებითად დარღვევულად მიჩნევის შესაძლებლობას. მით უმეტეს, რომ სასამართლოს მიერ ვალდებულების დარღვევად მიჩნეული გარემოებებით, პირიქით, იხეირა მოსარჩელემ, იგი საიჯარო ობიექტში იმაზე ნაკლებს იხდის, ვიდრე გადაიხდიდა წერილობითი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინებით პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2019 წლის 19 ივლისის განჩინებით დადგინდა პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივრის მხარეთა დასწრებით განხილვა. ზეპირი სხდომები გაიმართა 2019 წლის 9 სექტემბერს, ამავე წლის 2 ოქტომბერსა და 24 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა პრეტენზიების ზეპირი მოსმენისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

29. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლონათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

30. საკასაციო პალატა უპირველესად იმსჯელებს კასატორის იმ პრეტენზიაზე, რომელიც ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას.

31. კასატორი უთითებს, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის სხდომაზე მოთხოვნა შეამცირა 36 768,9 ლარით, კერძოდ, რემონტის ხარჯებიდან მან უარი განაცხადა ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ანაზღაურების მოთხოვნაზე. შესაბამისად, ამ ნაწილში მან სარჩელი გაიხმო, რის გამოც სააპელაციო პალატას მოთხოვნის ამ ნაწილში უნდა გაეუქმებინა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

32. საკასაციო პალატამ შეამოწმა რა კასატორის აღნიშნული პრეტენზიის საფუძვლიანობა და საქმის მასალები, მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მისი მოთხოვნა დასაბუთებულია. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და უარი განაცხადა მოპასუხისათვის ზედნადები ხარჯებისა (19 557,90 ლარი) და გეგმიური მოგების (17 211 ლარი) ანაზღაურების, ჯამში, 36 768,90 ლარის დაკისრებაზე [იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 მაისის სასამართლო სხდომის ოქმი CD დისკი: 15:55:56-16:24:20].

33. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე [სსსკ-ის მე-3 მუხლი: 1. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. 2. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგეობით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი], რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. მხარეები თავად განსაზღვრავენ მათ მიერ წარდგენილი მოთხოვნების ბედს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელე სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებისა [2. მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. 3. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის. 4. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება] და 381-ე მუხლის [დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელ.] თანახმად, უფლებამოსილი იყო საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ეტაპზე შეემცირებინა სასარჩელო მოთხოვნა.

34. დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებაა სსსკ-ის 248-ე მუხლიც, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. დასახელებული ნორმის საფუძველზე, სააპელაციო პალატას მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განხილვისას უნდა ემსჯელა შემცირებული მოთხოვნის ფარგლებში და 36 768,9 ლარის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაეუქმებინა, რაც მას არ გაუკეთებია.

35. ამრიგად, სააპელაციო პალატის მიერ საპროცესო სამარ-

თლის ნორმების დარღვევამ არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე [სსსკ-ის 393.3 მუხლი: საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი], რის გამოც, სააპელაციო პალატის განჩინება უნდა შეიცვალოს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს უძრავი ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯის 114 258 ლარის (151 026,90 ლარი – 36768,9 ლარი) გადახდა.

36. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, რომ მოსარჩელეს სრულად ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ანუ სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯის ანაზღაურებაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მართალია, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, თუმცა, სააპელაციო პალატის განჩინება სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრების ნაწილში (შემცირებული მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით) არსებითად სწორია.

37. აღნიშნულ ნაწილში საკასაციო საჩივარი ძირითადად იმას ეფუძნება, რომ ობიექტის იჯარით გაცემამდე მისი ფუნქციონირება და დანიშნულებისამებრ გამოყენება შესაძლებელი იყო, რაც გამორიცხავდა ობიექტზე რემონტის ჩატარების აუცილებლობას და, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები განეკუთვნებოდა მიმდინარე რემონტის კატეგორიას. ამასთან, მოიჯარის მიერ იჯარის საგანზე განეული რემონტის ხარჯების ანაზღაურება მხარეთა შორის შეთანხმებით გათვალისწინებული არ იყო. კასატორი პრეტენზიას აცხადებს ასევე ექსპერტის მიერ სამუშაოთა შეფასებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 25.8.6. ქვეპუნქტი).

38. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები [სსსკ-ის 4.1 მუხლი]. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით,

ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლი].

39. ამრიგად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

40. დადგენილია, რომ მოსარჩელემ იჯარით აღებულ სადავო უძრავ ქონებას სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო ჩაუტარა. აღნიშნული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 8 აპრილის №004982-2011/03 დასკვნა, რომლის თანახმად, სადავო უძრავ ქონებაზე წარმოებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 232 347,90 ლარს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარეს საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია და მისი პრეტენზია დასკვნაში ასახულ სამუშაოთა ღირებულებასთან დაკავშირებით ემყარება მხოლოდ მის ვარაუდებს, რასაც სასამართლო ვერ გაიზიარებს.

41. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ მოსარჩელის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები განეკუთვნებოდა მიმდინარე რემონტის კატეგორიას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მოპასუხისთვის თანხის დაკისრების კანონიერების შემოწმების მხრივ, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მიმდინარე რემონტის ხარჯების ანაზღაურება არ ევალება მეიჯარეს (გამქირავებელს) [სსკ-ის 548-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები: 1. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე. 2. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით].

42. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს,

რომ განსახილველი დავა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომლის მიმართ ქირავნობის წესებიც გამოიყენება [სსკ-ის 581 მუხლი: 1. იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. 2. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული].

43. იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებათა სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“) (იხ. სუსგ №ას-738-700-2015, 18 დეკემბერი, 2015 წელი).

44. აქვე, საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები არ რეგულირდება სსკ-ის 598-ე მუხლით [მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქონების მდგომარეობის (მათ შორის მიწის) გაუმჯობესებისათვის გაწეული კაპიტალური ხარჯები] და ამ მხრივ, კასატორის პრეტენზია გასაზიარებელია. სსკ-ის 598-ე მუხლით წესრიგდება სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისას აუცილებელი კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების საკითხი. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე კი, მხარეთა შორის დადებული არ არის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსში 598-ე მუხლი განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის თავში და სსკ-ის 592.2 მუხლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გათვალისწინებული სპეციალური წესები

არ ვრცელდება იჯარის ნორმებზე.

45. დადგენილია, რომ 2008 წლის 1 ივნისს მეორე მოპასუხეს, მესამე მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება და მოსარჩელეს იჯარით გადაეცა სადავო უძრავი ქონება.

46. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ: მხარეთა შეთანხმებით მოიჯარეს უძრავ ქონებაზე უნდა ჩაეტარებინა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები კომერციული საქმიანობის დაწყების მიზნით, რის შემდეგაც მხარეები წერილობით გააფორმებდნენ იჯარის ხელშეკრულებას; საიჯარო ქირის ოდენობა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას განისაზღვრა 2000 აშშ დოლარით; 2009 წლის 1 დეკემბერს მოიჯარემ დაასრულა აღნიშნული სამუშაოები და 8 დეკემბერს დაინიშნა კომერციული საქმიანობა, თუმცა საიჯარო ხელშეკრულება წერილობით არ გაფორმებულა.

47. ამდენად, დადგენილია, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარება შეთანხმებული იყო მხარეთა შორის. სადავოა შესასრულებელი სამუშაოების ფარგლები.

48. საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 8 აპრილის №004982-2011/03 დასკვნაზე, რომელსაც თან ერთვის წარმოებულ სამუშაოთა ჩამონათვალი: არსებული ტიხრის დემონტაჟი I და II სართულებზე, მზიდი კედლის ნაწილობრივი დემონტაჟი ლიობის მოსაწყობად, არსებული იატაკის დემონტაჟი I და II სართულებზე, ქვიშა-ცემენტის ხსნარით იატაკის მოჭიმვა, კერამიკული ფილის დაგება იატაკზე, სახურავზე დათბუნების მონყობა, არსებული მონოლითური გადახურვის ფილის დემონტაჟი და სხვ. ასევე საქმის მასალებშია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2008 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება ქ. თბილისში,, ქ. №2-ში, მოქ. ლ. გ-ძის და ი. გ-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. მშენებლობის ეტაპებია: 5 სართულამდე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება, კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ უნდა იქნეს ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

49. დასახელებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის პოზიცია სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარე რემონტად შეფასების თაობაზე უარყოფილ უნდა იქნეს. გამომდინარე იქიდან, რომ საი-

ჯარო ობიექტს ისეთი სახის სამუშაოები ჩაუტარდა, რაც მშენებლობის ნებართვას საჭიროებდა, ცალსახაა, რომ აღნიშნული სამუშაოები სცდება ნივთით სარგებლობით გამოწვეული მიმდინარე რემონტის ფარგლებს.

50. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულის შემდეგ უნდა შემოწმდეს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების მეიჯარისთვის დაკისრების კანონიერება სსკ-ის 545-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, წარმოადგენს იგი აუცილებელ თუ სხვა ხარჯებს [სსკ-ის 545-ე მუხლი: 1. გამჭირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები. 2. სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნესების შესაბამისად].

51. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარე ვალდებულია საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ქონება სარგებლობაში უნდა გადაეცეს მოსარგებელს სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და იჯარის (ქირავნობის) მთელი დროის განმავლობაში მეიჯარემ (გამჭირავებელმა) უნდა შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. აუცილებელი ხარჯების ინსტიტუტი იმ ხარჯებს გულისხმობს, რაც აუცილებელია ნივთის ვარგისიანობის შენარჩუნებისათვის. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის „ვარგისიანობა“ გულისხმობს ნაყოფის მიღების შესაძლებლობას (იხ. სუსგ №ას-648-616-2013, 2 ივნისი, 2014 წელი).

52. ნივთის ვარგისიანობა ანუ იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში, ნაყოფის მიღების შესაძლებლობა მოწმდება სსკ-ის 533-ე და 535-ე მუხლების მიხედვით. კერძოდ, გამჭირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი [სსკ-ის 533-ე მუხლი], გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის [სსკ-ის 535-ე მუხლი]. იმის გათვალისწინებით, რომ იჯარის ხელშეკრულება (განსხვავებით ქირავნობისაგან) ითვალისწინებს სამეურნეო დანიშნულებას, მაშინ, თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, იჯარით გაცემული (გაქირავებული) ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ ნივთი იძლევა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას.

53. საქმის მასალებით არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ თუ არა ნივთის ხარისხზე, თვისებაზე. შეთანხმების შემთხვევაში ივარაუდება, რომ ნივთი ვარგისია და ზუსტად

ნივთის ამ თვისების შენარჩუნების ვალდებულება ეკისრება მეიჯარეს. არც ის არის დადგენილი, იძლეოდა თუ არა საიჯარო ობიექტი ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. კერძოდ, სარჩელის თანახმად, ობიექტი სამენარმეო საქმიანობისთვის უფარგის იყო, ხოლო, შესაგებლის მიხედვით, ობიექტი რემონტის გარეშეც ჩვეულებრივ შეძლებდა ფუნქციონირებას.

54. თუმცა, დადგენილია, რომ მხარეთა შორის სარემონტო სამუშაოების ჩატარება შეთანხმებული იყო. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რემონტზე განეული ხარჯები წარმოადგენს სსკ-ის 545-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სხვა ხარჯებს. დასახელებული ნორმის თანახმად, სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.

55. სსკ-ის 969-ე მუხლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. სსკ-ის 973-ე მუხლის მიხედვით, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

56. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს და სასამართლოს მიერ შემოწმებას ექვემდებარება სსკ-ის 974-ე მუხლი [1. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. 2. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს]. საკასაციო პალატის განმარტებით, სხვა ხარჯების ანაზღაურებისას დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებზე მითითების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ისაა, რომ შემოწმდეს განეული სამუშაოს მიმართ მეპატრონის ნება და მისი ინტერესები.

57. როგორც ზემოთ აღინიშნა, სარემონტო სამუშაოების ჩატარება შეთანხმებული იყო მხარეთა შორის. უფრო მეტიც, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე მშენებლობის ნებართვა თავად მეპატრონეებმა აიღეს. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისში,, №2-ში, მოქ. ლ. გ-ძის და ი. გ-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2008 წლის 27 ოქტომბრის

ბრძანებით დასტურდება, რომ დამკვეთებს წარმოადგენდნენ მოქ. ლ. გ-ძე (მესამე მოპასუხე) და ი. გ-ძე (მეორე მოპასუხე).

58. ამასთან, ჩატარებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად, საიჯარო ობიექტის ღირებულება გაიზარდა. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 15 აპრილის №5-006881-203 დასკვნის თანახმად, სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2008 წლის ზაფხულის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 208 700 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, ხოლო 2011 წლის აპრილის მდგომარეობით – 280 500 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

59. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება დაიწყო მესაკუთრეთა ნებით და შედიოდა კიდევ მათ ინტერესებში. გამომდინარე აქედან, დაცულია. სსკ-ის 545.2 და 974-ე მუხლის მოთხოვნები და სსკ-ის 973-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარჯები (შემცირებული მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით) უნდა დაეკისროს მოპასუხე მხარეს.

60. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ტერმინთა აღრევასთან მიმართებით, ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა გასვლის წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და სარჩელი იჯარის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველი.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც ინვესტორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები) ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი ხელშეკრულებაზე) მონაწილეთა შორის ახალი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ (ორმხრივი რესტიტუცია) ანუ მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას (მდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 230-231).

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარეგნულად ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი ხელშეკრულებაზე) და ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) ერთმანეთს ძალიან ემსგავსება ანუ ამ დროს ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება, თუმცა მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც. მართალია, ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა), მიუხედავად მისი საფუძვლისა, იწვევს სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას, მაგრამ სამომავლოდ და არ იწვევს მხარეების მიერ უკვე მიღებულის უკან დაბრუნებას, ე.ი. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დროს ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) ასრულებს ხელშეკრულებიდან გასვლის ფუნქციას, თუკი მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ეს იწვევს არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრებას. პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების შეწყვეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს რასთან გვაქვს საქმე: ხელშეკრულების მოშლასთან (შენწყვეტასთან) თუ ხელშეკრულებიდან გასვლასთან (უარი ხელშეკრულებაზე) (მდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 233-234).

63. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იჯარის ურთიერთობიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების მოშლა, რაც იწვევს სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების სამომავლოდ შეწყვეტას. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ აღძრა სარჩელი იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ სჭირდება სასამართლოს თანხმობა და მხარეს შეეძლო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების დაცვით განეხორციელებინა ხელშეკრულების მოშლის უფლება, რაც მას არ გაუკეთებია. საქმის მასალების შესწავლისა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 25.8.2. ქვეპუნქტი) და მხარეთა პოზიციების ზეპირი მოსმენის შედეგად ცხადი გახდა, რომ მოსარჩელეს არ გაუთავისუფლებია მისთვის გადაცემული საიჯარო ობიექტი და დღემდე აგრძელებს მისით სარგებლობას. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტად კი აუცილებელია ქონების მფლობელობის მიტოვება.

64. სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღძვრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების

ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს.

65. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელი სასამართლოს განსახილველად არ უნდა მიეღო, რადგანაც ის არ პასუხობდა სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს [სსსკ-ის 178.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი].

66. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. დიდი პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016; 2016 წლის 17 მარტი).

67. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების

ალიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016; 2016 წლის 17 მარტი).

68. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვასაც ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა არ მოჰყვება შედეგად.

69. მოცემულ შემთხვევაში, ალიარებითი სარჩელით სადავოდ გამხდარი საკითხი ვერ გამოიწვევს მოსარჩელის მიზნის მიღწევას. ხელშეკრულების მხარეებმა საიჯარო ურთიერთობა თავად უნდა დაასრულონ. მოსარჩელემ უნდა შეწყვიტოს სადავო საიჯარო ობიექტით სარგებლობა. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, შესაძლებელია სასამართლოში აღიძრას მესაკუთრის (მეიჯარის) სარჩელი მოშლის კანონიერების თაობაზე. ხოლო, თუ მოსარჩელის ინტერესს მოცემულ დავაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება წარმოადგენდა, აღნიშნული მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლის გარეშე ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

70. სსსკ-ის 187.2 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

71. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი ამ ნაწილში განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისწარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი

ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 393.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რამდენადაც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

72. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

73. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2008 წლის 1 ივნისს ზეპირი სახით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველი, ხოლო სარჩელი პირველი მოპასუხისათვის უძრავი ქონების საწარმო-სარეკონსტრუქციო ხარჯის დაკისრების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 114 258 ლარის გადახდა.

74. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა [სსსკ-ის 53.1 მუხლი]. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც [სსსკ-ის 53.3 მუხლი].

75. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 798,90 ლარის გადახდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 22 ივლისისა და საკასაციო სასა-

მართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 11 000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187.2, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. გ-ის სარჩელი ვ. გ-სა და ვ. ი-ს შორის 2008 წლის 1 ივნისს ზეპირი სახით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის ნაწილში დარჩეს განუხილველი;
4. ვ. გ-ის სარჩელი ვ. ი-ისათვის უძრავი ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ვ. ი-ს ვ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 114 258 ლარის გადახდა;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
6. ვ. ი-ს (პ/ნ: ...) ვ. გ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 798.90 ლარის გადახდა;
7. ვ. ი-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 22 ივლისისა და საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 11 000 ლარის გადახდა;
8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სსსსი

სსსსის ხელშეკრულების დადება

გადაწყვეტილება საქართველოს სსსსით

№ას-87-81-2015

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სესხის დაბრუნება, სესხის პროცენტის გადახდა, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. ს-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) და გ. ბ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) 2012 წლის 6 სექტემბერს გააფორმეს წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი მოპასუხეს 7 000 ლარის ყოველთვიური 2%-იანი სარგებლით სესხებას დაჰპირდა.

2. ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. ახმეტაში, ...ს ქუჩა №...-ში (საკადასტრო კოდი №...) იპოთეკის უფლება დადგინდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

3. 2013 წლის 21 ნოემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვა:

4.1. სესხის თანხის – 7000 ლარის გადახდა;

4.2. მისი სარგებლის – 2%-ის, 1820 ლარის გადახდა;

4.3. 2013 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებაამდე, ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის 2%-ის მოპასუხისათვის დაკისრება;

4.4. სესხის დავალიანების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზება.

5. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ დაარღვია 2012 წლის 6 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ-

ბა და, მისი არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, სესხი არ დააბრუნა.

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელისგან დანაპირები თანხა არ მიუღია, აქედან გამომდინარე, არც დაბრუნების ვალდებულება არ არსებობდა.

7. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა,

7.1 მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 8820 ლარის გადახდა დაეკისრა;

7.2 სესხის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის იძულებითი რეალიზაცია დადგინდა;

7.3 მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხისათვის 2013 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, სესხის ძირითადი დავალიანების, 7000 ლარის, ყოველთვიური სარგებლის 2%-ის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

8. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 56.1, 317.1, 623-ე მუხლები და დაასკვნა შემდეგი:

8.1. მოპასუხე და მისი ახლობელი ო. მ. (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მესამე პირი) პარტნიორები იყვნენ და ფქვილის რეალიზაციას ეწეოდნენ. სწორედ მოპასუხის თანხმობისა და პირადი თავდებობის საფუძველზე მოსარჩელემ მესამე პირს 7000 ლარის ფქვილი ნატურით გადასცა რეალიზაციის შედეგად ღირებულების გადახდის პირობით. აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მხარეებმა 2012 წლის 6 სექტემბერს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

8.2. სასამართლომ მიუთითა, რომ ფქვილის გაყიდვის შემდეგ მოპასუხესა და მესამე პირს მოსარჩელისათვის ფქვილის ღირებულება 7000 ლარი არ გადაუხდიათ და ფქვილი არც ნატურით არ დაუბრუნებიათ. ამასთან, მოპასუხეს 2012 წლის 6 სექტემბრის შემდეგ, არ მოუთხოვია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება ან ხელშეკრულებიდან გასვლა მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების – თანხის ან ფქვილის ნატურით მისთვის გადაცემის შეუსრულებლობის გამო.

8.3. სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 2013 წლის 17 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ძირითადი დავალი-

ანების ყოველთვიური სარგებლის, 7000 ლარის 2%-ის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ ასეთი ვალდებულების არსებობა მხარეთა შეთანხმებით არ დასტურდებოდა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

9.1 აპელანტი არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხე და მესამე პირი ბიზნესპარტნიორები იყვნენ. აპელანტის განმარტებით, მესამე პირი მისი ბიძაშვილია, რომელიც მას ახლდა მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულების გაფორმებისას. აპელანტმა თავად გააფორმა ხელშეკრულება, რადგან ესაჭიროებოდა თანხა თავისი შვილის გირაოს გადასახდელად, თუმცა მოსარჩელემ დაპირებული თანხა არ გადასცა. სასამართლოს სხდომაზეც მხარეებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელემ მესამე პირს ფქვილი გაუგზავნა ფულის ნაცვლად, რის შესახებაც მოპასუხემ ერთი თვის შემდეგ შეიტყო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.1 სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონებით და რომელიც მესაკუთრეს სადავოდ არ გაუხდია, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ხელშემკვერელ მხარეებს აკისრებდათ განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. პალატამ განმარტა, რომ იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც აქცესორული ხასიათისაა, არ არსებობს ძირითადი უფლების – სესხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის გარეშე.

10.2. სასამართლომ მიუთითა, რომ, მოპასუხე მხარის განმარტებით, ის მესამე პირთან ერთად ეწეოდა ფქვილის რეალიზაციას. მხარეთა შეთანხმებით, მოსარჩელემ მესამე პირს მოპასუხის პირადი თავდებობით გაატანა 7000 ათასი ლარის ფქვილი გაყიდვის შემდეგ გადახდის პირობით. აღნიშნულის თაობაზე მხარეებს შორის 2012 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ვინაიდან მოპასუხემ ვალდებულება არ შეასრუ-

ლა, სესხად გადაცემული გვაროვნული ნივთის (ფქვილის) რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის დაბრუნების შესახებ, პალატამ მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თანხის დაბრუნების შესახებ საფუძვლიანი იყო.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

11.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის თანხმობით ფქვილი მესამე პირს გადაეცა, თუმცა არც ფქვილის მესამე პირისათვის და არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის კასატორისათვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან კასატორმა სადავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მან თანხა მიიღო, მაშინ, როდესაც მოსარჩელე თავად ადასტურებს, რომ მოპასუხეს არც თანხა და არც ფქვილი არ გადასცემია.

11.2. მესამე პირისათვის ფქვილის გადაცემაზე კასატორის თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც არ არის საქმეში წარმოდგენილი. მოსარჩელის განმარტებით, მან მესამე პირს ფქვილი კასატორთან შეთანხმებით გაატანა, მაგრამ ვერ მიუთითებს კონკრეტულ თარიღს, თუ როდის მოხდა ეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტი კასატორს არც თანხა და არც ფქვილი არ მიუღია.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორების პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორადვე განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია.

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა, სარგებელი და პირგასამტეხლო) დაბრუნებისა და დავალიანების დაფარვის მიზნით მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, სსკ-ის 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1 (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას), 289.1 (იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების ნარდგენის საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311¹-ე მუხლით დადგენილი წესით. გარიგებაში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია აღინიშნოს, აგრეთვე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები) და 301.1 (თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს.

15. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებადი იქნებოდა შემდეგი წინაპირობების ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით განხორციელების შემთხვევაში:

1. თუ მოსარჩელე დამაჯერებლად დაასაბუთებდა 2012 წლის 6 სექტემბერს მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულების დადებას, რაც გულისხმობს არა მარტო მხარეთა ურთიერთმფარავი ნების არსებობას, არამედ მოსარჩელის მიერ თანხის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის დამტკიცებას;

2. თუ მხარეები შეთანხმდებოდნენ სესხისათვის პროცენტზე;

3. თუ მხარეები მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იპოთეკის საგნის რეალიზაციაზე შეთანხმდებოდნენ და ამ შეთანხმებას საჯარო რეესტრში დაარეგისტრირებდნენ.

16. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია

ისაა, რომ მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულება არ დადებულია, რადგანაც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის საკუთრებაში არ გადაუცია შეთანხმების საგანი – ფულადი თანხა.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, ანუ ის დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოემოხა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ №ას-361-343-2015, 14.12.2015). შესაბამისად, მარტოოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, შესაბამისად, სადავოობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის ფაქტიც.

18. სადავოობისას, სესხის ხელშეკრულების დადების – თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ტვირთი კი, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება გამსესხებელს და არა – მსესხებელს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია გამსესხებელს, ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი – მსესხებელს.

19. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დასაშვები და საკმარისი მტკიცებულება იქნებოდა მოპასუხის მიერ თანხის მიღების ხელწერილი ან გადარიცხვის დოკუმენტი. პალა-

ტას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ შეთანხმებაზე დაყრდნობით არ უნდა გამოეტანა დასკვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნამდვილობის შესახებ.

20. საკასაციო პალატა, სესხის ხელშეკრულების დადების მტკიცების თვალსაზრისით, განმარტავს, რომ ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, მხარეს სარჩელში ფორმალური თვალსაზრისით მითითებული ჰქონდეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის ფაქტობრივი აღწერილობა (აბსტრაქტული ელემენტები), მოპასუხის შედავების გათვალისწინებით კი, განისაზღვრება უდავო და სადავო ფაქტობრივი გარემოებები, რაც მტკიცების პროცესზე აისახება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს, პირველ რიგში, ის უნდა ემტკიცებინა, რომ მან სესხის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მოპასუხეს საკუთრებაში გადასცა.

21. საკასაციო პალატა იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, პირიქით, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მის სასარჩელო მოთხოვნას სესხის დაბრუნების თაობაზე, კერძოდ, როგორც პირველი ინსტანციაში საქმის განხილვისას, ისე სააპელაციო შესაგებელში იგი მიუთითებდა, რომ მან 7 000 ლარის ფქვილი გადასცა მესამე პირს და არა – მოპასუხეს. შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტში მითითებული მსჯელობის თანახმად, დგინდება, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულია. ორივე მხარე ადასტურებს, რომ მოპასუხეს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ გადასცემია (ამასთან, არც ფქვილი არ გადასცემია მესამე პირს ხელშეკრულების გაფორმების დღეს).

22. 6.09.2012 წლის ხელშეკრულება სესხის შეპირებადაც (სსკ-ის 628 მუხლი) რომ განვიხილოთ, მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველი მაინც არ გააჩნია, ვინაიდან სესხის შეპირებისას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არა დამპირებელს, ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს, არამედ იმას აქვს, ვისაც სესხის მიცემას დაჰპირდნენ (მოპასუხეს).

23. პალატა არ იზიარებს მოსარჩელის განმარტებას, რომ 6.09.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოპასუხის პირადი თავდებობით გადასცა მესამე პირს 7000 ლარის ფქვილი, რეალიზაციის შემდეგ გადახდის პირობით, რის გამოც, სწორედ მოპასუხეა ვალდებული, დააბრუნოს მითითე-

ბული თანხა. ჯერ ერთი, სადავო ხელშეკრულებაში არაფერია მითითებული თავდებობის თაობაზე და, მეორეც, თუ დავუშვებთ იმას, რომ მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირი თავდებობაზე ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, ასეთი შეთანხმება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, ვინაიდან თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება (სსკ-ის 892.1 მუხლი). მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მას მოთხოვნის უფლება არა მოპასუხის, არამედ მესამე პირის მიმართ შესაძლოა, სსკ-ის 505-ე მუხლის საფუძველზე გააჩნდეს.

24. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მოპასუხისათვის ფულადი თანხის საკუთრებაში გადაცემა, მისი მოთხოვნა, სესხის დაბრუნების, სესხის პროცენტის გადახდისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე, უსაფუძვლოა.

25. 26. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

26. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

27. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი (აპელანტი) გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტისა და სსსკ-ის 46-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

28. სსსკ-ის 55.2 მუხლის მიხედვით, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განეული ხარჯების გადახდა დაეკისრება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამდენად, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 352.8 ლარისა (8820.00 ლარის 4%) და საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 441.00 ლარის (8820.00 ლარის 5%) გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 55.1, 7.2, 257.1, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ს. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ნოემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ბ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 793.80 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსსსს ხელშეკრულების ნამდვილობა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

№ას-134-126-2017

22 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულებისა და სააღსრულებო
ფურცლის ბათილად ცნობა, უსაფუძვლოდ მიღებული თანხის მო-
სარჩელისათვის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ა. (შემდეგში: მოსარჩელე, მესაკუთრე, მსესხებელი, აპე-
ლანტი ან კასატორი) არის შპს „ფ. პ“-ის 100%-იანი წილის მფლობე-
ლი, ასევე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლება-
მოსილი პირი – დირექტორი.

2. მოსარჩელე არის შპს „ნ. გ“-ის 100%-იანი წილის მფლობელი,
ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფ-
ლებამოსილი პირი – დირექტორი არის გ. ნ.

3. შპს „ფ. პ“-სა და „S.A.F.Z“-ს შორის, რომლის დირექტორიც იყო
მ. მ. გ. (შემდეგში: მოპასუხე, იპოთეკარი ან გამსესხებელი) 2012
წლის 5 იანვარს, შემდეგ კი 2013 წლის 5 მაისს დაიდო საგზაო ბი-
ტუმის ნასყიდობის ხელშეკრულებები.

4. შპს „ნ. გ“-სა და „S.A.F.Z“-ს შორის, რომლის დირექტორიც იყო
მოპასუხე, 2012 წლის 5 იანვარს, შემდეგ კი 2013 წლის 11 მარტს
დაიდო საგზაო ბიტუმის ნასყიდობის ხელშეკრულებები.

5. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2012 წლის 25 ივლისს გა-
ფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფი-
ლი იქნა მხარეთა შორის ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძ-
ველზე მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
ხელშეკრულებით, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეს-
რულების ვადად 2013 წლის 25 იანვარი განისაზღვრა, ხოლო იპო-
თეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა – 200 000 აშშ დო-
ლარით. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულე-
ბით გათვალისწინებული თანხის 200 000 აშშ დოლარის უზრუნველ-
საყოფად იპოთეკარის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა მსეს-

ხებლის კუთვნილი ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: იპოთეკის საგანი).

6. მსესხებელმა, 2013 წლის 26 სექტემბერს, 2012 წლის 15 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით სს „ს. ბ-სი“ გამსესხებლის ანგარიშზე 70 000 აშშ დოლარი შეიტანა.

7. ნოტარიუსმა 2015 წლის 20 აგვისტოს სააღსრულებო ფურცელი გასცა, რომლითაც იპოთეკის საგნის რეალიზაცია დადგინდა. აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა 200 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. სააღსრულებო ფურცელში მითითებულია, რომ მესაკუთრის მიერ ნაკისრი ვალდებულება 2013 წლის 25 იანვარს უნდა შესრულებულიყო.

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. მოსარჩელემ (მსესხებელმა) 2015 წლის 21 სექტემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის (გამსესხებლის) წინააღმდეგ, 2012 წლის 25 ივლისის №120784804 იპოთეკის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2015 წლის 20 აგვისტოს გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობისა და მოპასუხის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 239 800 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების მოთხოვნით.

8.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-7 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და განმარტა, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება დადების მომენტშივე წარმოადგენდა არარეალურ ხელშეკრულებას მისი საფუძვლის, ზეპირი სესხის ხელშეკრულების, არარსებობის გამო, შესაბამისად მის მიერ მოპასუხის პირად ანგარიშზე უსაფუძვლოდ, ვალდებულების გარეშე იქნა გადარიცხული 239 800 აშშ დოლარი, რაც მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს.

9. მოპასუხის შესაგებელი

9.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება დადებულია ნებაყოფლობით, წერილობითი ფორმით, დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ და მისი შინაარსი ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის წინაშე ფულადი ვალდებულების (სესხის) არსებობას, რაზეც ასევე მეტყველებს მოსარჩელის მიერ მოპასუხის პირად ანგარიშზე სესხის დასაფარად 70 000 აშშ დოლარის შეტანა.

9.2. მხარეთა კუთვნილი კომპანიების საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე გადახდები მოპასუხის პირად ანგარიშზე ხორციელდებოდა, რადგან კომპანია „S.a.F.z.c.“ საქართველოში არ არის რეგისტრირებული და მას საქართველოში საბანკო ანგარიში არ გა-

აჩნია. ამავდროულად მოპასუხემ წარადგინა კომპანია „S.a.F.Z.c“-სა, რომლის დირექტორიც თავად იყო, და შპს „ფ. პ.“-ს და შპს „ნ. გ“-ს შორის საქმიანი ურთიერთობების დამადასტურებელი ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც შპს „ფ. პ.“ და შპს „ნ. გ.“ ანგარიშწორებას მოპასუხის პირად ანგარიშზე ახდენდნენ.

10. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

10.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) 317-ე, 289-ე, მე-300, 301-ე, 385-ე, 976-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების არსებობა დასტურდება სადავო იპოთეკის ხელშეკრულებით და მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის დასაფარად 70 000 აშშ დოლარის გადარიცხვის ფაქტით.

11. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

11.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (მსესხებელმა) გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და იმავე სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინების (გ. მის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცნობის თაობაზე) გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მსესხებლის სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 56-ე მუხლზე მითითებით არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება მოჩვენებითია.

12.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იპოთეკა, როგორც სანივთო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის, ემსახურება ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას, რომლის მონაწილეებიც არიან კრედიტორი (მოთხოვნის მფლობელი) და მოვალე. ამდენად, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სსკ-ის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის გათვალისწინებით, იგი არ შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც არის დაკავშირებული.

12.4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იპოთეკის საგ-

ნის მესაკუთრე სარჩელით სადავოდ ხდიდა იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობას და მიუთითებდა, რომ მხარეებს შორის რეალურად არ არსებობდა სესხის ურთიერთობა, იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო მოსაჩვენებლად, მოპასუხის ირანელ პარტნიორებთან წარსადგენად, რამდენადაც მას სჭირდებოდა რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც იქნებოდა ერთგვარი გარანტიის შინაარსის მატარებელი და დამადასტურებელი იმისა, რომ მათ შორის საქმიანი ურთიერთობა ისევ გრძელდებოდა. მოსარჩელის მტკიცებით, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, რომ აპენლანტს გადაეცა 200 000 აშშ დოლარი ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც იპოთეკის ხელშეკრულების მოჩვენებით ბუნებას ადასტურებდა.

12.5. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, 102-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 105-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებისა და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაცემის ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. წერილობითი ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მტკიცებულების სახით წარდგენილ უნდა იქნეს სესხის ხელშეკრულება, რომელშიც ასახული იქნება თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი. რაც შეეხება ზეპირი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებას, აღნიშნული, ამ ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე, კონკლუდენტურ მოქმედებაში, სესხის სახით თანხის გადახდაში გამოიხატება. სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს, მისი სადავობისას, გამსესხებელი ვალდებულია ადასტუროს ხელშეკრულების ნამდვილობა ე.ი. მსესხებლისათვის სესხის გადაცემის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, სადავო იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ იგი იდება მხარეებს შორის უკვე არსებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მსესხებლის ვალდებულებების შესასრულებლად. განსაზღვრულია ვალდებულების შესრულების ვადა და მოცულობა. სსკ-ის 52-ე მუხლით, ხელშემკვერელ მხარეთა ნება დგინდება როგორც სიტყვასიტყვითი აზრიდან, ასევე – გონივრული განსჯის შედეგად. აღნიშნული ჩანაწერი, როგორც სიტყვასიტყვითი განმარტების, ასევე გონივრული განსჯის შედეგად გულისხმობს, რომ სესხის ხელშეკრულების მაკვალიფიცირებელი ქმედება, კერძოდ, ფულის დროებით საკუთრებაში გადაცემა უკვე განხორციელებულია. შესაბამისად, საპირისპიროს დადასტურებამდე, იგულისხმება, რომ სესხება, როგორც რეალური ქმედება, განხორციელდა იპოთეკის

ხელშეკრულების დადებამდე. ამასთან, უდავოდ დადგენილია, რომ აპელანტიმა, 2013 წლის 26 სექტემბერს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მოპასუხის ანგარიშზე შეიტანა 70 000 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულება ადასტურებს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის დამყარების ფაქტს, ვინაიდან თუ მოსარჩელე სესხის სახით არ მიიღებდა საკუთრებაში თანხას, მას არც ამ თანხის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოეშობოდა.

12.6. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ უდავოა აპელანტის მიერ სესხის ხელშეკრულების შესასრულებლად 70 000 აშშ დოლარის გადახდა, გარდა ამისა, აპელანტი ამტკიცებს ამ ხელშეკრულების შესრულების მიზნით 169 800 აშშ დოლარის გადახდას, რაც 39 800 აშშ დოლარით აღემატება იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას. მოსარჩელის განმარტებები არარსებული ვალდებულების შესრულების მოტივებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, რამდენადაც საქმის მასალებით არ დასტურდება გარემოებები, რომლებსაც შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა მოსარჩელის ნების გამოვლენის ფორმირებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს ისეთი გარემოებების არსებობა, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა და განაპირობებდა მის ქმედებებს, რამდენადაც სხვაგვარად შეუძლებელია რაიმე მოქმედების გამომწვევი მიზეზების დადგენა.

12.7. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 385-ე მუხლსა და 976-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, რაც სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და გადახდილი თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების შესაძლებლობას გამოორიცხავს.

12.8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია დადგენილად მსესხებლის მიერ 186 000 აშშ დოლარის სესხის დაფარვის ანგარიშში გადახდის ფაქტი. მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე 2013 წლის 22 იანვრიდან ამავე წლის 26 სექტემბრის ჩათვლით შეტანილ თანხებზე.

12.9. საქმეში წარდგენილი საგადასახადო დავალებების, ასევე სს „ს. ბ-ის“ მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ მოპასუხის პირად ანგარიშზე შეტანილია შემდეგი თანხები: 2013 წლის 22 იანვარს – 14 800 აშშ დოლარი გ. ნ-ის მიერ, დანიშნულებაში მითითებულია – პირადი, იმავე წლის პირველ ივლისს – გ. ნ-ის მიერ 65 000 აშშ დოლარი დანიშნულებით – თანხის შეტანა, 5 სექტემბერს – ნ. ქ-ას მიერ 90 000 აშშ დოლარი დანიშნულებით – თანხის შეტანა; 26

სექტემბერს 50 000 აშშ დოლარი და 20 000 აშშ დოლარი თავად მოსარჩელის მიერ – დანიშნულებით სესხის დასაფარად.

12.10. სს „ს. ბ-ის“ მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, მოპასუხის კუთვნილ ამ ანგარიშზე 2012 წლის 20 სექტემბრიდან 2013 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით ფიქსირდება ასევე სხვა შენატანები – 2012 წლის 20 სექტემბრიდან 2013 წლის 21 იანვრის ჩათვლით – შენატანები ლარში, რომელთა დანიშნულებაც 2012 წლის 20 სექტემბრის გარდა, მითითებულია საქონლის ღირებულება, ხოლო 20 სექტემბერს შეტანილი თანხის დანიშნულება განსაზღვრული არ არის და მითითებულია თანხის შემოტანა – შემომტანი: ნ. გ., დანარჩენ შემთხვევებში შპს „ნ. გ.“. 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით მოპასუხის ანგარიშზე შეტანილია 185 000 აშშ დოლარი გ. ნ-ის მიერ პირადი დანიშნულებით.

12.11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე საერთოდ უარყოფს ვალდებულების არსებობას, თუმცა მისივე განმარტებით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის თავიდან აცილების მიზნით, იგი იძულებული გახდა გადაეხადა იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა. შესაბამისად, მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს ის გარემოება, რომ მოპასუხის ანგარიშზე შეტანილი სადავო 169 800 აშშ დოლარი (70 000 აშშ დოლარის გარდა) სწორედ ამ სესხის დაფარვას ემსახურებოდა. მოსარჩელემ ამ გარემოების დამტკიცების მიზნით წარმოადგინა მონემები ნ. ჭ. და გ. ნ., რომლებიც დასაქმებული არიან მოსარჩელის კუთვნილ საწარმოებში.

12.12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო 169 800 აშშ დოლარის დანიშნულების დასადგენად მნიშვნელოვანია ასევე განიმარტოს იმ თანხების დანიშნულება, რაც შეტანილი იყო მოპასუხის ანგარიშზე სხვადასხვა დროს და რომელთა დანიშნულებაც პირდაპირ არ არის მითითებული შესაბამისი თანხების შეტანისას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სარჩელით სადავო თანხების გარდა მოპასუხისათვის გადახდილი თანხების დანიშნულებას საქმესთან კავშირი არ აქვს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანია სადავო თანხების გადახდის დანიშნულების დასადგენად, რადგან თავად მოსარჩელის განმარტებით, გამსესხებლის პირად ანგარიშზე თანხების შეტანა ხორციელდებოდა რამდენიმე დანიშნულებით, კერძოდ:

12.12.1. მოსარჩელის კუთვნილი საწარმოების მიერ შექმნილი საქონლის ღირებულების დასაფარად, მოსარჩელის სესხის დასაფარად, ასევე მხრეებს, მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე, რისთვისაც აპელანტის განმარტებით, ამ უკანასკნელის დავალებით გ. ნ-მა 2013

წლის ოქტომბერში 185 000 აშშ დოლარი შეიტანა (იხ. 30.11.2015წ. სხდომის ოქმი 14:29:02- 14:30:17). აღსანიშნავია, რომ სხვა განმარტებები მხარეებს შორის არსებული ამ პირადი ურთიერთობის თაობაზე მსესხებელმა არ გააკეთა და მიუთითა, რომ ეს უნდა გაირკვეს მხარეებს შორის და განსახილველ დავასთან კავშირი არ აქვს;

12.12.2. მოსარჩელის მიერ წარდგენილმა მოწმე ნ. ჭამ განმარტა, რომ 2013 წლის 5 სექტემბერს, მოსარჩელესთან ერთად იმყოფებოდა ბანკში და რადგანაც მოსარჩელეს არ ჰქონდა პირადობის მოწმობა, მან მოსარჩელის დავალებით მოპასუხის ანგარიშზე 90 000 აშშ დოლარი შეიტანა. შენატანის დანიშნულება მისთვის უცნობი იყო;

12.12.3. მოწმე გ. ნ-მა განმარტა, რომ 2013 წლის 22 იანვარს და ამავე წლის პირველ ივლისს მოსარჩელის დავალებით მის მიერ გადაცემულ ანგარიშზე შეიტანა შესაბამისად 14 800 აშშ დოლარი და 65 000 აშშ დოლარი. მოწმემ განმარტა, რომ მისთვის უცნობი იყო ამ თანხის დანიშნულება;

12.12.4. რაც შეეხება მოწმის მიერ 2013 წლის ოქტომბერში შეტანილ 185 000 აშშ დოლარს, მოწმემ განმარტა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა შპს „ნ. გ-ის“ მიერ შეძენილი საქონლის ღირებულებას, რაც ეწინააღმდეგება მოსარჩელის განმარტებას ამ თანხების დანიშნულებასთან დაკავშირებით და მოსარჩელისავე განმარტებას, რომ ანგარიშზე შეტანილი თანხებიდან მხოლოდ ლარში შეტანილი თანხები წარმოადგენდა საქონლის ღირებულებას.

12.13. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეების მიერ იმ გარემოების დადასტურება, რომ მათ თანხები მოპასუხის ანგარიშზე შეიტანეს აპელანტის დავალებით, საკმარისი არ არის სადავო გარემოების დასადგენად, რადგან, თავად მოსარჩელე მიუთითებს მხარეებს შორის სხვა ურთიერთობის არსებობაზე, რომლის საფუძველზეც, ასევე მოსარჩელის დავალებით ხდებოდა თანხების შეტანა, ამ ურთიერთობის შინაარსისა და მოცულობის განმარტებაზე კი მოსარჩელემ უარი განაცხადა.

12.14. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არსებული მასალებით დასტურდება მოპასუხისათვის 2012 წლის 25 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ 70 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი.

12.15. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 301-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, მე-300 მუხლის მესამე ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ 2012 წლის 25 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და მოვალე ნებაყოფლობით არ შეასრულებდა იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილი იქნებოდა

მოთხოვნის დაკმაყოფილება ნოტარიუსის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე უზრუნველყო.

12.16. იმის გათვალისწინებით, რომ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა 2012 წლის 25 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე და მსესხებლის მიერ ვალდებულება სრულად არ არის შესრულებული, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა 2015 წლის 20 აგვისტოს ნოტარიუსის მიერ გაცემული №150896680 სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე.

12.17. აპელანტი (მოსარჩელე) სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობას ითხოვდა იმ საფუძველითაც, რომ მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ნოტარიუსმა გასცა 2015 წლის 20 აგვისტოს სააღსრულებო ფურცელი, არ არის გაცემული სსსკ-ის 96-ე მუხლის და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდეგში: სპეციალური ინსტრუქცია) შესაბამისად (იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი 13:21:31 სთ).

12.18. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სააღსრულებო ფურცელი გაცემულია არაუფლება-მოსილი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე და განმარტა, რომ სსსკ-ის XII თავი აწესრიგებს სასამართლოში წარმომადგენლობის საკითხებს, ხოლო 96-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს რწმუნებულების (მინდობილობის) გაცემისა და გაფორმების წესს იმ პირებისათვის, რომლებიც წარმომადგენლობას ახორციელებენ სასამართლოში და მითითებული მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ამ შემთხვევაში მოიაზრებს სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის წარდგენის აუცილებლობას, რაც განხორციელებული უნდა იქნეს სპეციალური ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც სხვა სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად ნოტარიუსმა უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 96-ე მუხლის საფუძველზე გაცემული რწმუნებულებით, გათვალისწინებული არ არის არც „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონითა და არც სპეციალური ინსტრუქციით. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხესა და მინდობილ პირს შორის ურთიერთობა წესრიგდება დავალების ხელშეკრულების მარგულირებელი ნორმებით.

12.19. ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მონინააღმდეგე მხარის მიერ გამოსწორებული იქნა აპელანტის (მოსარჩელე) მხარის მიერ მითითებული ხარვეზი და წარმოდგენილი იქნა

სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა, რომლითაც გ. მ-ძეს, ი. გ-სა და ა. ქ-ძეს, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, მინიჭებული აქვთ, სააღსრულებო ფურცლის მიღების, გადასახდევინებლად წარდგენისა და საქმის აღსრულების უფლებამოსილება.

12.20. აპელანტი, გადაწყვეტილებასთან ერთად, ასაჩივრებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებას გ. მ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცნობის თაობაზე. აპელანტი განმარტავს, რომ მინდობილობა, რომლის საფუძვლზეც გ. მ-ძე წარმომადგენდა მოპასუხეს, არ იყო გაცემული სსსკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად – არ იყო დამონმებული სანოტარო წესით (საჯარო აქტი) და ნოტარიუსმა მასზე მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობა დაამოწმა.

12.21. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს, მოპასუხის წარმომადგენელმა წარადგინა სსსკ-ის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა, რომლითაც მოპასუხემ გ. მ-ძეს მიანიჭა ყველა ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი რწმუნებულებით მოპასუხემ დაადასტურა მის მიერ 2015 წლის 13 აგვისტოს გაცემული მინდობილობით წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, ამიტომაც არ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

13. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. აპელანტმა (მოსარჩელემ) საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის 70 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი და მიუხედავად ამისა ძალაში დატოვა 200 000 აშშ დოლარის ფარგლებში გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

13.3. კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს შეფასება მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლების მიერ მოპასუხისათვის თანხების გადარიცხვის ერთი იურიდიული პირის მიერ მეორისათვის თანხის გადარიცხვის იგივეობობასთან დაკავშირებით. კასატორი მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია მის მიერ წარდგენილი საბანკო ანგარიშებით ნათლად დასტურდება,

თუმცა სააპელაციო სასამართლომ ისინი არასწორად შეაფასა, მოპასუხეს კი საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

13.4. კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულება თავისი შინაარსით არასტანდარტულია და ხელშეკრულებიდან არ დგინდება გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის თანხის გადაცემის ფაქტი.

13.5. კასატორმა მოწმეების – ნ. ჭ-ასა და გ. ნ-ის ჩვენებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ 169 800 აშშ დოლარი მოპასუხეს სესხის დაფარვის მიზნით გადაურიცხა, რაც საქმეში არსებული მასალებით დასტურდება. კასატორის განმარტებით, საქმეში არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოპასუხისათვის გადარიცხული თანხები ის თანხებია, რომლებიც რომელიმე იურიდიულ პირს სხვა იურიდიული პირისათვის უნდა გადაერიცხა. შესაბამისად, მხოლოდ მოსარჩელის განმარტებით შეიძლება დადგინდეს თანხების გადარიცხვის მიზანი.

13.6. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცებების ტვირთი და მოსარჩელეს კანონით დადგენილზე მეტი მტკიცებების ტვირთი დააკისრა, რითაც მოპასუხის მდგომარეობა შეამსუბუქა.

13.7. კასატორი სსკ-ის 96-ე, 111-ე მუხლების, სპეციალური ინსტრუქციის მე-15, მე-19, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 33-ე, 35-ე მუხლების, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის დანაწესებზე მითითებით არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ გ. მ-ძე უფლებამოსილი იყო, საალსრულებო ფურცლის გაცემა მოეთხოვა და აელო კიდევ.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით მსესხებლის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად

მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედეგება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

18. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნებია – 1) სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; 2) იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა; 3) მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ უსაფუძვლოდ მიღებული – 239 800 აშშ დოლარის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით სადავო იპოთეკის ხელშეკრულება ბათილია მისი მოჩვენებითი ხასიათის გამო, ვინაიდან არ არსებობს სესხის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი გაფორმდა. სადავო ხელშეკრულების ბათილობის გამო კი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სააღსრულებ-

ბო ფურცელიც ბათილია. რაც შეეხება, თანხას ის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე დაბრუნებას ექვემდებარება (სსკ-ის 976-ე, 978-ე, 991-ე მუხლები).

20. საკასაციო სასამართლო უპირველესად სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობას შეაფასებს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ, სანოტარო წესით დამოწმებულ, იპოთეკის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულება იდება მხარეთა შორის არსებული ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლები 200 000 აშშ დოლარია. ამავე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. იპოთეკის ხელშეკრულება შედგენილია ნოტარიუსის თანდასწრებით და ხელს აწერენ მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე).

21. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, ამ განჩინების 12.3-12.6 ქვეპუნქტებში ასახულ, ფაქტობრივ-სამართლებრივ მსჯელობას და განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებლობა წერილობით ფორმას არ ითვალისწინებს (სსკ-ის 624-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა სადავო იპოთეკის ხელშეკრულებით დაადასტურეს, რომ მათ შორის ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულება არსებობდა. მოსარჩელე სადავოდ ხდის ამ გარემოებას და აღნიშნავს, რომ მას მოპასუხისაგან თანხა არ უსესხებია, იპოთეკის ხელშეკრულება კი მოჩვენებითად დაიდო მოპასუხის ბიზნეს-ინტერესების გათვალისწინებით (სსკ-ის 56.1 მუხლი).

21.1. „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (შდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20.05.2016წ.). სხვა საქმეშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას ანუ, იგი დადებულად ითვლება და მხა-

რეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ, საქმეზე №ას-361-343-2015, 14.12.2015).

21.2. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სსკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო სასამართლო გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი (შდრ: სუსგ №ას-398-371-2017, 06 ივნისი, 2017 წ.). სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა (შდრ. სუსგ №ას-127-119-2015, 22.07.2015). განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა როგორც წერილობითი იპოთეკის ხელშეკრულება, ზეპირი სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმებული, ასევე გადახდის ქვითრები დანიშნულებით – „სესხის დასაფარად“.

21.3. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. ამდენად, მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება, თუკი ნების გამოვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა, ე.ი. გარიგების მონაწილე მხარეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათ შორის დადებულ გარიგებას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება და იგი დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად. ამასთან, იგი, როგორც წესი, კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარად გამოიყენება. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისვას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი;

21.4. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში გამოვლენილია გა-

რიგების მონაწილე მხარეთა განზრახ ქმედება, რა დროსაც მათ არ სურთ სამართლებრივი შედეგის დადგომა და მისი დადების მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს მესამე პირის შეცდომაში შეყვანა. იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლებზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას;

21.5. მოჩვენებითი გარიგება, როგორც წესი, ფორმალურად შესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამოორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკიცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მისი უფლება შეილახა (შდრ. სუსგ №ას-976-908-2017, 22.01.18 ნ.);

21.6. კასატორმა (მოსარჩელემ) ვერ შეძლო სასამართლოსათვის დაესაბუთებინა, თუ რატომ არის სადავო იპოთეკის ხელშეკრულება მოჩვენებითი ან ბათილი რაიმე სხვა საფუძვლის გამო. კასატორი აცხადებს, რომ მას სესხის თანხა არ გადასცემია, თუმცა მან ხელი მოაწერა გარიგებას, რომლითაც იპოთეკით მისი კუთვნილი უძრავი ქონება დაიტვირთა მის მიერ ნაკისრი ვალდებულების, 200 000 აშშ დოლარის ფარგლებში, უზრუნველსაყოფად. მსესხებელი ვერც ასახელებს და ვერც ამტკიცებს, თუ რის გამო მოაწერა ხელი ხელშეკრულებას მისი ნების საწინააღმდეგოდ. საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც ნათქვამია, რომ მოსარჩელემ მოპასუხისაგან თანხა ისესხა და თუ აღნიშნულ თანხას არ დააბრუნებს, მოვალის მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რის გამოც მისი მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს (სსსკ-ის 102-ე მუხლი);

21.7. მსესხებლის (მესაკუთრის) საკასაციო პრეტენზიები წინააღმდეგობრივია. კასატორი აცხადებს, რომ მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც თანხა მიუღია, თუმცა იმავდროულად მის მიერ გადახდილი 70 000 აშშ დოლარის სესხის ანგარიშში ჩათვლას ითხოვს (რაც დაკმაყოფილდა კიდევ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით ამით სესხის ხელშეკრულების არსებობას ადასტურებს თავად მოსარჩელე). სესხის ანგარიშში სხვა თანხების ჩათვლასაც ითხოვს კასატორი, რომელთა დანიშ-

ნულებაც თანხის გადარიცხვის დროს დაუზუსტებელი იყო.

22. ამ განჩინების 21.1-21.7 ქვეპუნქტებში მოხმობილი პრაქტიკისა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ მხარეთა შორის ზეპირი სესხის ხელშეკრულება არსებობდა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება დაიტვირთა. შესაბამისად, არ არსებობს სადავო იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

23. არც სადავო სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის საფუძველი არსებობს, რადგან მხარეთა შეთანხმება მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. მოსარჩელეს, როგორც მოვალეს, არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მან გამსესხებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად დასრულად შეასრულა (სსკ-ის 408.1 მუხლი) (იხ. ამ განჩინების 12.15-12.16 ქვეპუნქტები).

24. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას უსაფუძვლოდ გადახდილი თანხების უკან დაბრუნების შესახებ, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს, ამ განჩინების 12.8-12.13 ქვეპუნქტებში ასახულ, ფაქტობრივ-სამართლებრივ მსჯელობაზე მითითებით განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლებიდან გამომდინარეობენ. ამ სახის მოთხოვნების განხორციელების მთავარი წინაპირობა მიმღების მიერ ფართო გაგებით ქონებრივი სარგებლის მიღებაა. შესრულების კონდიქციის (სსკ-ის 976-ე-981-ე მუხლები) დროს, როგორც წესი, სხვა პირის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას აქვს ადგილი. შესრულება მიზანმიმართულია, ვინაიდან ამით უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულება (სსკ-ის 976-ე მუხლი). შესრულების კონდიქციის შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულ პირს სურს თავისი შესრულებით განახორციელოს/შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება. შესრულების მიმღები იმიტომ არის უსაფუძვლოდ გამდიდრებული, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება არ არსებობდა ან შეწყდა შემდგომში. ვინაიდან ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა მიღებული საგნის/სიკეთის უკან დაბრუნების შესახებ არ არსებობს, საჭიროა ამ მოთხოვნის კანონისმიერი გზით მოგვარება (შდრ. სუსგ №ას-1900-2018, 12.03.19 წ.).

25. მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მის მიერ წარმოდგენილი მონემების ჩვენებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსესხებლის, მონმე ნ. ჭ-ასა და მონმე გ. ნ-ის მიერ

მოპასუხის პირად ანგარიშზე თანხების გადარიცხვის დანიშნულებაში მითითებული იყო: თანხის შეტანა, პირადი, სესხის დასაფარად, პროდუქციის ღირებულება. მოსარჩელე სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მოპასუხისათვის გადარიცხული თანხების მიზნობრიობის დახარისხებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელემ პირად გადარიცხვებთან დაკავშირებით განმარტებები არ გააკეთა, ისინი არ დააკონკრეტა, განაცხადა, რომ მხარეთა შორის სხვა ურთიერთობაც არსებობდა, თუმცა მას აღნიშნული არ დაუზუსტებია.

26. კასატორი სადავოდ ხდის გამსესხებლის წარმომადგენლის უფლებამოსილების საკითხს და საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებას (იხ. ამ განჩინების 13.7 ქვეპუნქტი). ამ ნაწილში, კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია. საკასაციო სასამართლო ამ მიმართულებით ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას (იხ. ამ განჩინების 12.18 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და საქმის წარმოება განაახლა საქმეზე, რომელშიც საკასაციო სასამართლოს მხრიდან სამართალწარმოების ეტაპზე შეცდომა იყო დაშვებული მხარის წარმომადგენლის უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტის (მინდობილობა) შემოწმებისას. აღნიშნული შეცდომის გამოსწორების მიზნით საკასაციო სასამართლომ ამავე სასამართლოს მიერ ამავე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის განხილვა განაახლა. არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვიტა დავა, თუმცა, აღნიშნულ საქმეზე დავის გადაწყვეტის შედეგი არ შეცვლილა, რადგან მინდობილობის საკითხი პროცესუალური მხარეა და დავის არსებით გადაწყვეტაში წვლილი არ მიუძღვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვა, ყველა თვალსაზრისით, კანონით დადგენილი წესით უნდა წარმართულიყო (იხ. სუსგ №ა-4550-ა-12-2016, 31.05.17 წ.).

27. საკასაციო სასამართლო ერთმანეთისაგან გამიჯნავს წარმომადგენლის მიერ განხორციელებული მოქმედების (გარიგების) მატერიალურ (სსკ-ის 709-ე მუხლი) და საპროცესოსამართლებრივ (სსსკ-ის 93-ე მუხლი) მნიშვნელობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით დასაშვებია, მარწმუნებელმა წარმომადგენლის მოქმედება (გარიგების მიღმა განხორციელებული) მოიწონოს, ხოლო საპროცესო სამართალში სპეციალური ნორმები მოქმედებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც მხარეთათვის, ასევე – სასამართლოსათვის. სსსკ-ის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბა-

მისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. ამ შემთხვევაში საპროცესოსამართლებრივი ნორმები მატერიალურსამართლებრივ ნორმებთან მიმართებით უპირატესია (შდრ. სუსგ №ა-4550-ა-12-2016, 31.05.17 წ.).

28. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საქმე ეხება საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებას და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს მიერ დაშვებული ხარვეზი გამოასწორა (იხ. ამ განჩინების 12.20-12.21 ქვეპუნქტები) და საქმე არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვიტა, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების აღნიშნულის გამო გაუქმების წინაპირობა. საქმე არსებითად იქნა განხილული საკასაციო სასამართლოშიც, სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა ერთი და იგივე შედეგით დასრულდა.

29. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, სარჩელი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

30. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო კასატორს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება;
3. ა-ას (პ/წ ...) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით (საქმე №ას-134-126-2017) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 6000 ლარის 30 %-ის 1800 ლარის გადახდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

განჩინება საქართველოს სსხელით

№ას-1213-1155-2014

16 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. მ-მა სარჩელი აღძრა შპს „გ. ჯ-ის“ მიმართ და მოითხოვა მასსა და შპს „გ. ჯ-ს“ შორის 2010 წლის 20 დეკემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 75 500 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, ასევე, მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს 11325 აშშ დოლარის დაკისრება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება 4050 აშშ დოლარის ოდენობით, შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელესა და შპს „გ. ჯ-ს“ შორის 2010 წლის 20 დეკემბერს დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, რ. მ-მა იკისრა ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის ვალდებულება, ხოლო შპს „გ. ჯ-მა“ იკისრა ვალდებულება ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის გადაეცა 2012 წლის სექტემბერში.

3. მოსარჩელემ თანხის გადახდის ვალდებულება სრულად შეასრულა, მოპასუხის მიერ კი დათქმულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა, რის გამოც მოსარჩელე იძულებული გახდა ქ. ბათუმში საცხოვრებლად დაექირავებინა ბინა, რითაც მიაღდა 4 050 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

5. 2010 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების დადების დროს შპს „გ. 1“ (ამჟამად შპს „გ. ჯ-ი“) მოქმედებდა უძრავი ქონების მესაკუთრე ფიზიკური პირის, კ. კ-ას სახელით, შესაბამისად, აღნიშნულ დავაში შპს „გ. ჯ-ი“ სათანადო მოპასუხეს არ წარმოადგენდა.

6. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ ქონების აშენების ვალდებულება მის მიერ შესრულებული იყო, ამასთან, რადგან სახლის ექსპლუატაციაში შესვლის ვადის გადაწევა არ მომხდარა ქონების მესაკუთრის ანდა შპს „გ. ჯ-ის“ ბრალით, არ არსებობდა ქონების ღირებულების უკან დაბრუნების და პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით რ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შეწყდა რ. მ-სა და შპს „გ. ჯ-ს“ (ყოფილი შპს „გ. 1“) შორის 2010 წლის 20 დეკემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება; შპს „გ. ჯ-ს“ რ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 107 411.57 ლარის დაბრუნება; შპს „გ. ჯ-ს“ რ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო 5000 ლარის ოდენობით და ზიანის თანხა 4 050 აშშ დოლარის ოდენობით.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „გ. ჯ-მა“ და რ. მ-მა.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით რ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; შპს „გ. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება: რ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; შეწყდა რ. მ-სა და შპს „გ. ჯ-ს“ შორის 2010 წლის 20 დეკემბერს დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება; შპს „გ. ჯ-ს“ დაეკისრა რ. მ-ის სასარგებლოდ 75 500 აშშ დოლარის (ძირითადი თანხა), 11 325 აშშ დოლარის (პირგასამტეხლო) და ზიანის ანაზღაურების სახით 4 050 აშშ დოლარის გადახდა.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11. 2010 წლის 20 დეკემბერს, რ. მ-სა და შპს „გ. 1“-ს (ამჟამინდელი სახელწოდება შპს „გ. ჯ-ი“) დირექტორს შორის დაიდო წინასწარი ხელშეკრულება ფართის ნასყიდობის შესახებ. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე, კომპლექს „ბ-ის“ წინ მშენებარე საცხოვრებელი ბინა №..., მე-... სართული, ფართი 90 კვ.მ.

12. ხელშეკრულების მე-3 პუნქტით ქონების ღირებულებად განისაზღვრა 75 500 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა მყიდველის მიერ უნდა დაფარულიყო 20 თვის განმავლობაში.

13. ხელშეკრულების მე-4 პუნქტით ქონების გადაცემის დროდ განისაზღვრა 2012 წლის სექტემბრის თვე.

14. ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, გამყიდველის მი-

ერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მყიდველი-სათვის ფართის გადაცემის დაგვიანების შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადაუხადოს პირგასამტეხლო გადახდილი თანხის 1.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე არაუმეტეს 15 %-ისა.

15. რ. მ-მა შპს „გ. 1“-ის ანგარიშზე ბინის ღირებულების თანხა შეიტანა 107 411.57 ლარის ოდენობით.

16. ქ. ბათუმში, შ. ხ-ის ქუჩაზე, კომპლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ მდებარე მშენებარე კომპლექსში, მე-... სართულზე მდებარე ბინა №..., ფართით 90 კვ.მ არ აღრიცხულა რ. მ-ის სახელზე საკუთრების უფლებით. ის რეესტრში რეგისტრირებულია კ. კ-ას სახელზე საკუთრების უფლებით.

17. 2008 წლის 10 მაისს, კ. კ-ასა და შპს „გ. 1“-ს შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ.

18. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს „გ. 1“-მა იკისრა ვალდებულება კ. კ-ას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე, კომპლექს „ბ-ის“ წინ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა.

19. შპს „გ. ჯ-მა“ რ. მ-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა – არ ააშენა და არ გადასცა ბინა.

20. რ. მ-მა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და შპს „გ. ჯ-ს“ გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სრულად.

21. რ. მ-ს 2012 წლის 9 თებერვლიდან 2014 წლის 9 თებერვლამდე ქ. ბათუმში, ლ-ის ქ. №...-ში დაქირავებული ჰქონდა შ. ჩ-ის ბინა და ყოველთვიურად უხდიდა ქირას 450 აშშ დოლარს.

22. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 327-ე, 316-ე-317-ე და 361-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მოსარჩელემ, როგორც შემკვეთმა, ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, გადასცა მოპასუხეს ნარდობის საფასური, ხოლო მოპასუხემ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეასრულა, არ ააშენა და არ გადასცა მყიდველს ქონება, რაც რ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნის – შეწყდეს მოპასუხესთან ხელშეკრულება – დაკმაყოფილების საფუძველი იყო.

23. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

24. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შპს „გ. ჯ-მა“ განსაზ-

დვრულ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, მოსარჩელეს აღარ სურს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში დარჩენა, რაც მას სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს.

25. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან რ. მ-მა შპს „გ. ჯ-ს“ გადაუხადა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური 107 411.57 ლარის ოდენობით, სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული თანხა მას უკან უნდა დაუბრუნდეს.

27. პალატამ მიიჩნია, რომ საფუძვლიანი იყო ასევე მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების სახით (ბინის ქირისთვის გადახდილი თანხის სანაცვლოდ) შპს „გ. ჯ-ის“ 4050 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

28. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შპს „გ. ჯ-ი“ არასათანადო მოპასუხეა.

29. სააპელაციო პალატამ 2010 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების 3.5. პუნქტის თანახმად, დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „გ. 1“-ის (ამჟამად შპს „გ. ჯ-ის“) ხელმძღვანელობა უფლებამოსილი იყო რ. მ-ან გაეფორმებინა ე.წ. „ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება“, რომელიც ფაქტობრივად თავისი სამართლებრივი ბუნებით ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს.

30. პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოპასუხეა პირი, ვინც ხელყო და დაარღვია მოსარჩელის კანონით დაცული უფლებები და ინტერესები.

31. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 75 000 აშშ დოლარი, იმ პირობით, რომ იგი აუშენებდა საცხოვრებელ სახლს, ხოლო მოპასუხემ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, სასამართლოს აზრით, მოსარჩელის მოთხოვნაზე სწორედ მის მიერ დასახელებულ მოპასუხეს უნდა ეგო პასუხი.

32. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ და მი-

იჩნია, რომ მის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო, რაც შეადგენდა 11 325 აშშ დოლარს, იყო გონივრული და სამართლიანი.

33. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე შპს „გ. ჯ. მა“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

34. კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. კერძოდ, შპს „გ. 1“-სა (რომელმაც სამენარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა შპს „გ. ჯ.-ი“) და მოქალაქე რ. მ-ს შორის 2010 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეებმა აიღეს ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ხელმომწერ მხარეს გამყიდველის მხრიდან წარმოადგენდა შპს „გ. 1“, თუმცა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გასხვისებული უძრავი ქონების მესაკუთრეს ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის და დღემდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული/დაცული მონაცემებით წარმოადგენდა კ. კ-ა, რაც ნიშნავს იმას, რომ გარიგების მხარეს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით წარმოადგენდა ფიზიკური პირი, კ. კ-ა და არა შპს „გ. ჯ.-ი“. გარიგების დადებისას შ.პ.ს „გ. 1“ მოქმედებდა ფიზიკური პირის, კ. კ-ას სახელით, სამოქალაქო კოდექსის 99-ე, მე-100, 103-ე, 107-ე, 111-ე და 312-ე მუხლების თანახმად. კასატორის მითითებით, ზემოაღნიშნული გარიგება რეესტრში რეგისტრირებულია მაშინ მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და საჯარო რეესტრის ამონაწერის ვალდებულებით განყოფილებაში მითითებულია, რომ რ. მ-ი არის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის მომავალი მესაკუთრე, ხოლო მესაკუთრის განყოფილებაში კი მითითებულია ფიზიკური პირი, კ. კ-ა. ამავე ამონაწერით ვალდებულებით განყოფილებაში მითითებულია მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობა გარიგების მოწონების თაობაზე, რაც მხარეთა მიერ საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის შემდეგ სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, რ. მ-ის მხრიდან საცილო არ გამხდარა. შესაბამისად, აღნიშნული მოწონებით დადასტურდა გარიგების ნამდვილობა და შპს „გ. 1“-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

35. კასატორი სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ გარიგების შემდგომ თანხმობას (მოწონე-

ბას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კოდექსის 74-ე-75-ე მუხლების თანახმად, შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში და უფლებაში შესაძლებელია გარიგების შეცილების საფუძველი გახდეს, თუ იგი გარიგების ერთადერთი და მთავარი საფუძველია. კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით კი, შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შპს „გ. 1“-სა და რ. მ-ს შორის გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, გარიგების კონტრანტის პიროვნებაში, ასევე უფლებაში შეცდომის დაშვების შემთხვევაშიც კი, იგი არ წარმოადგენს გარიგების ერთადერთ და მთავარ საფუძველს, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების აღნიშნული საფუძვლით შეცილების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის აზრით, არც კონტრაქტის პიროვნებაში და არც უფლებაში გარიგების დადებისას შეცდომა არ დაშვებულა, ვინაიდან არსებობდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული/რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე და, შესაბამისად, მყიდველის მხრიდან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას სწორად მოხდა ოფერტის აქცეპტირება გამყიდველის (კ. კ-ას) სასარგებლოდ.

36. კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ შეცილების უფლების მქონე პირის, რ. მ-ის მხრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად, გაშვებული იქნა კანონით დადგენილი შეცილების ერთთვიანი ვადა. ამასთან, კონტრაქტის, კ. კ-ას მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად შპს „გ. 1“-ზე გაცემული წინასწარი წერილობითი თანხმობა გარიგების დადების თაობაზე, ასევე, თავის მხრივ, გამორიცხავს მყიდველის მხრიდან აღნიშნული გარიგების შეცილების უფლებას. უფრო მეტიც, მესაკუთრის მხრიდან გაცემული წინასწარი წერილობითი თანხმობა წინ უსწრებს შპს „გ. 1“-სა და რ. მ-ს შორის 2010 წლის 20 დეკემბერს გაფორმებულ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უფლებამოსილი პირის მხრიდან წინასწარ იქნა გაცემული თანხმობა/მოწონება მხარეთა შორის დადებული სადავო გარიგების მიმართ. აგრეთვე საჯარო რეესტრის ამონაწერში – ვალდებულებით განყოფილებაში არსებული ჩანაწერი და მითითებული წინასწარი წერილობითი თანხმობა უტყუარად და თვალნათლივ ადასტურებს მესაკუთრის მხრიდან აღნიშნული გარიგების მოწონებისა და მისი მხრიდან ამ გარიგებით გამოხატული ნების ნამდვილობას.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის

ავტორის აზრით, სასამართლოში წარდგენილი სარჩელით დაყენებული მოთხოვნის ადრესატი უნდა იყოს არა შპს „გ. ჯ-ი“, არამედ კ. კ-ა.

38. კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლოს გადანყვეტილების დასაბუთებას ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ შპს „გ. ჯ-ი“ ვერ იქნება განხილული, როგორც მენარდე, რადგან მას ხელშეკრულებით გადასაცემ ბინაზე საკუთრების უფლება არ გააჩნდა და ვერ გადასცემდა რ. მ-ს აღნიშნულ ნივთს – საცხოვრებელ ბინას საკუთრების უფლებით. ამ გარეგნის ნამდვილობისთვის ასევე საჭირო იქნებოდა მესაკუთრის, კ. კ-ას წინასწარი წერილობითი თანხმობა ან შემდგომი მონონება, რაც არ ცვლიდა მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და ბუნებას, ვინაიდან მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის შედეგად შპს „გ. ჯ-ი“ ამ შემთხვევაშიც მოქმედებდა როგორც მესაკუთრის, კ. კ-ას სახელით. ამრიგად, საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, სადავო ხელშეკრულება არ არის წარდობის ხელშეკრულება და იგი, როგორც უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე უფლება, რეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრში „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველის კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

39. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა და შეაფასა მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე შპს „გ. ჯ-ის“ მიმართ არსებული ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე არასწორად დაადგინა მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები და უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა აპელანტის სააპელაციო მოთხოვნა, ვინაიდან საქმეში არსებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით, საჯარო რეესტრის ამონაწერი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წინასწარი წერილობითი თანხმობით, ჩანდა რომ შპს „გ. ჯ-ი“ მოქმედებდა მესაკუთრის, კ. კ-ას სახელით, რაც წარმოადგენდა მოსარჩელის, როგორც სასარჩელო მოთხოვნაზე, ასევე შემდგომ სააპელაციო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს.

40. ამასთან, კასატორის აზრით, სადავო ხელშეკრულების გაუქმებით და თანხების შპს „გ. ჯ-ზე“ დაკისრებით, ილახება მესაკუთრის, კ. კ-ას კანონიერი უფლებები და ინტერესები, ვინაიდან შპს „გ. ჯ-სა“ და კ. კ-ას მიერ გაფორმებული წარდობის ხელშეკრულების თანახმად და მის საფუძველზე, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით რეალიზებული ბინებით მიღებული თანხების შპს „გ. ჯ-ის“ ანგარიშზე აკუმულირებით, მცირდება კ. კ-ას ვალდებულება წარდობის ხელშეკრულების ფარგლებში ამ თანხებით. ხოლო სადავო ხელშეკრულების გაუქმებით და თანხის შპს „გ. ჯ-ზე“ დაკის-

რებით, გაიზრდება დამკვეთის, კ. კ-ას ვალდებულება ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში ასანაზღაურებელი, დაკისრებული თანხის ოდენობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუ იგი საქმეში არ იქნებოდა ჩართული მოპასუხედ, მესამე პირად მაინც უნდა ყოფილიყო ჩართული დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რაც არ განხორციელებულა.

41. საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ არ გაიზიარა მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები (კ. კ-სა და შპს „გ. ჯ-ს“ შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „გ. ჯ-ის“ მიერ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების თაობაზე წარმოებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების აქტები; შპს „გ. დ-სა“ და ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე კომპლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ მდებარე საცხოვრებელი სახლის მობინადრეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოების წარმოების შესახებ), რომლებიც ადასტურებდა კ. კ-ას მხრიდან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას და წარმოადგენდა რ. მ-ის სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველს.

42. კასატორის განმარტებით, მათ სასამართლოს ასევე წარუდგინეს ქ. ბათუმის მერიის მიერ 2007 წლის 12 ნოემბრის №01-22/671 ბრძანებით დამტკიცებულ პროექტში 2010 წლის 19 ივლისსა და 2013 წლის 15 მარტს განხორციელებული ცვლილებების შესახებ გამოცემული №813 და №02/156 ბრძანებები, რითაც დასტურდება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ აღნიშნული ცვლილებების გამო მენარდისა და მესაკუთრის ბრალეული ქმედების გარეშე მოხდა საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების თარიღის გადაწევა, რაც სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შპს „გ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით შპს „გ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე დასაშვებლად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „გ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

46. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადაწყვეტილათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 11-21 პუნქტებში. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით, კასატორს პრეტენზია არ წამოუდგენია, გარდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებისა, რომ „გ. ჯ-მა“ რ. მ-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა – არ ააშენა და არ გადასცა ბინა (იხ. წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტი), რომელზეც საკასაციო სასამართლოს მსჯელობა მოცემულია ქვემოთ. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გარდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის საკმაოდებულაა.

47. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ შპს „გ. 1“-სა და კ. კ-ას შორის 2008 წლის 10 მაისის ნარდობის ხელშეკრულების 3.5 პუნქტის თანახმად, შპს „გ. 1“-ის (ამჟამად შპს „გ. ჯ-ის“) ხელმძღვანელობა უფლებამოსილი იყო რ. მ-თან გაეფორმებინა ე.წ. „ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება“, რომელიც ფაქტობრივად, თავისი სამართლებრივი ბუნებით, ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.15 პუნქტი) და აღნიშნავს, რომ 2010 წლის 20 დეკემბერს შპს „გ. 1“-სა და რ. მ-ს შორის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას იგი მოქმედებდა არა საკუთარი, არამედ გასხვისებული უძრავი ქონების მესაკუთრის – კ. კ-ას სახელით, რაც დასტურდება მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობით გარიგების მოწონების თაობაზე, რომელიც ასახულია გასხვისებული უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერში. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული მოწონებით დადასტურდა გარიგების ნამდვილობა და შპს „გ. 1“-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. კასატორი აღნიშნულ მოსაზრებას აფუძნებს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, გარიგების შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან.

48. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ შპს „გ. 1“ ვერ იქნება გან-
ხილული, როგორც მენარდე, რადგან მას ხელშეკრულებით გადა-
საცემ ბინაზე საკუთრების უფლება არ გააჩნდა და ვერ გადასცემ-
და რ. მ-ს აღნიშნულ ნივთს საკუთრების უფლებით. ამ გარიგების
ნამდვილობისათვის, ასევე, საჭირო იქნებოდა მესაკუთრის, კ. კ-
ას ნინასწარი წერილობითი თანხმობა ან შემდგომი მოწონება.

49. კასატორის მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისათვის
მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, შპს „გ. 1“-სა და კ. კ-ას, და მეორეს
მხრივ, შპს „გ. 1“-სა და რ. მ-ს შორის წარმოშობილი ურთიერთობე-
ბის სამართლებრივი არსის დადგენა.

50. საქმეში წარმოდგენილი შპს „გ. 1“-სა და კ. კ-ას შორის 2008
წლის 10 მაისის ნარდობის ხელშეკრულებისა (საცხოვრებელი სახ-
ლის მშენებლობის შესახებ) და მასში ცვლილებებისა და დამატე-
ბების შეტანის შესახებ 2010 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულე-
ბის თანახმად, ერთის მხრივ, შპს „გ. 1“ და, მეორეს მხრივ, კ. კ-ა,
შეთანხმდნენ შემდეგზე: დამკვეთი გადასცემს შემსრულებელს
მშენებლობისათვის მის საკუთრებაში არსებულ 7743,5 კვ.მ. მიწის
ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე, კომ-
პლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ. ამავდროულად, შემსრულებელი უზ-
რუნველყოფს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე წარმოებულ მშენებ-
ლობას ყველა აუცილებელი სამშენებლო მასალით. ხელშეკრულე-
ბის საგანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის
მშენებლობა ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე, კომპლექს „ბ-ის“ წინ, შესა-
ბამისად შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

51. ხელშეკრულების ძირითადი პირობები განისაზღვრა შემდეგ-
ნაირად: 1. შემსრულებელმა სამუშაოები უნდა აწარმოოს დამტკი-
ცებული პროექტის შესაბამისად; 2. შემსრულებელი ვალდებულია
დამკვეთს ჩააბაროს საცხოვრებელი სახლი თეთრი კარკასით: დას-
რულებული გარე ფასადით; დასრულებული სადარბაზოებით; და-
მონტაჟებული ლიფტებით; მეტალოპლასტმასის გარე ფანჯრები-
თა და კარებით; შესასვლელი რკინის კარით; ბინების გამყოფი კედ-
ლებითა და შიდა ტიხრებით; ბინამდე მიყვანილი ცენტრალური დგა-
რებით.

52. ხელშეკრულების 3.3. პუნქტის შესაბამისად, საბოლოო ან-
გარიშსწორების – გადახდის განხორციელება განისაზღვრა სამშე-
ნებლო სამუშაოების დასრულების, შესრულებული სამუშაოების
დამკვეთისათვის გადაცემისა და ამის თაობაზე დამკვეთთან შე-
საბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, უნაღდო
ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე თან-
ხის ჩარიცხვის გზით. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების სა-
ვარაუდო ღირებულება 1 კვ.მ-ზე განისაზღვრა 320.00 (სამას ოცი)

აშშ დოლარის ოდენობით, რომლის კორექტირება (გაზრდა ან შემცირება) განხორციელდებოდა შემსრულებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების, შესრულებული სამუშაოების დამკვეთისათვის გადაცემისა და მიწოდების მომენტისათვის – ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისათვის განეული ხარჯებისა და საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შპს „გ. 1“-სა და კ. კ-ას შორის არსებობდა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა, სადაც უძრავი ქონების მესაკუთრე – კ. კ-ა იყო დამკვეთი, ხოლო შპს „გ. 1“ – მენარდე.

54. აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას არც კასატორი ხდის სადავოდ.

55. ამავე დროს, კ. კ-სა და შპს „გ. 1“-ს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტების თანახმად, შემსრულებელთან შეთანხმებით დამკვეთს შეეძლო მშენებლობის მიმდინარეობისას, აშენებული ან/და ასაშენებელი ფართების სამომავლო რეალიზაცია/გასხვისება (სარეალიზაციო ფართების მდებარეობა განისაზღვრებოდა მხარეთა უთიერთშეთანხმებით) და რეალიზებული ფართების მიღებული თანხებით შემსრულებელთან წინასწარ – ავანსის სახით სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილობრივი გადახდა. გადახდილი თანხებით მცირდებოდა სამშენებლო სამუშაოების მთლიანი ღირებულება.

56. ამრიგად, დამკვეთს ჰქონდა აშენებული ან/და ასაშენებელი ფართების სამომავლო რეალიზაცია/გასხვისების უფლებამოსილება, რის შედეგად მიღებული თანხებით, იგი უფლებამოსილი იყო მოეხდინა მენარდისათვის ავანსის გადახდა.

57. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე, კომპლექს „ბ-ის“ წინ მდებარე (სარეგისტრაციო ზონა – ბათუმი, კოდი – 05, სექტორი – ..., ფართობი – 7743 კვ.მ.) მშენებარე სახლში მე-... სართულზე, „ა“ ბლოკი, 1-21 და ა-კ ლერძები, 90 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, №... ბინის (შემდგომში „ბინა №...“) ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება 2010 წლის 20 დეკემბერს დაიდო რ. მ-სა და შპს „გ. 1“-ს შორის.

58. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების საგანი არის გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულება დადონ ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნულ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, გასაყიდი ქონება არის სამომავლო, რომლის აშენება და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში მოყვანა ევალება გამყიდველს ხელშეკრულებით დად-

გენილ ვადაში.

59. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდა რ. მ-ის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის ამონაწერით, დგინდება, რომ 2010 წლის 20 დეკემბერს რ. მ-ი აღი-რიცხა მომავალ მესაკუთრედ ბინა №...-ზე, რაზეც რეესტრში წარ-დგენილი იყო უძრავი ქონების მესაკუთრე კ. კ-ას თანხმობის წე-რილი წინასწარი ჩანაწერის შესახებ.

60. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2010 წლის 20 დეკემბე-რის ხელშეკრულება წარმოადგენს შერეული ტიპის ხელშეკრულე-ბას, სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად კი, შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორ-მები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არ-სთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.

61. აღნიშნული მუხლის თანახმად, კერძო სამართალი შერეუ-ლი ხელშეკრულების განმარტების ხერხს იმ შემთხვევაში მიმარ-თავს, როდესაც შეთანხმებაში განსხვავებული შინაარსის მქონე დებულებების არსებობა განაპირობებს მხარეთა საერთო განზრახ-ვის დადგენის საჭიროებას, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ ხელშეკრულების გაფორმებისას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მათ ნებას განმარტავს იმ დათქმებზე აპელირებით, რომლებიც თა-ვისი შინაარსით უფრო ახლოს დგანან იმ მიზნებთან, რისი მიღწე-ვაც მხარეებს სურდათ ამ ხელშეკრულების დადებისას (იხ. სუსგ №ას-238-225-2015, 6 მაისი, 2015 წელი).

62. 2010 წლის 20 დეკემბერის ხელშეკრულებით რ. მ-ს წარმო-ეშვა უფლება მოეთხოვა ბინა №...-ზე ნასყიდობის ხელშეკრულე-ბის დადება, რომლის არსებითი პირობა იყო ბინა №...-ის ხელშეკ-რულებით დადგენილ ვადაში აშენება და ხელშეკრულებით განსაზ-ღვრულ მდგომარეობაში მოყვანა. ამიტომ, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, შესრულების არსით, ყველაზე ახლოს დგას წარ-დობის ხელშეკრულების შინაარსთან.

63. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. მ-სა და მოპასუხეს შორის დადებული 2010 წლის 20 დეკემ-ბრის ხელშეკრულება წარმოადგენს წარდობის ხელშეკრულებას, ხოლო მის დადებაზე თანხმობის გამოხატვით, მესაკუთრემ თან-ხმობა გამოთქვა რ. მ-სა და შპს „გ. 1“-ს შორის წარდობის ურთიერ-ობის წარმოშობაზე, რითაც ასაშენებელი საცხოვრებელ სახლში კონკრეტული ბინის (ბინა №...) აშენების ნაწილში, რ. მ-ს დაუთმო შპს „გ. 1“-ის, როგორც მენარდის მიმართ, საკუთარი მოთხოვნა.

64. სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოთ-ხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის

გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

65. მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრეს შპს „გ. 1“-ს მიმართ ჰქონდა 2008 წლის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, აღნიშნული მოთხოვნის დათმობა არ ეწინააღმდეგებოდა ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს.

66. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ რ. მ-სა და შპს „გ. 1“-ს შორის სადავო გარიგების დადებაზე თანხმობის გამოხატვით ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები მესაკუთრეს წარმოეშვა. პირიქით, შპს „გ. 1“-ს მიმართ ბინა №...-ის ნაწილში ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე მესაკუთრის მოთხოვნა გადავიდა მოსარჩელეზე, ხოლო მენარდის მოვალეობები დარჩა შპს „გ. 1“-ს.

67. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ის გარემოებაც, რომ სადავო ხელშეკრულების თანახმად, რ. მ-მა სამომავლო უძრავი ქონების აშენების ღირებულება სრულად გადარიცხა შპს „გ. 1“-ს და არა კ. კ-ას საბანკო ანგარიშზე.

68. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან კ. კ-ა და არა შპს „გ. 1“-ს ნარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

69. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შპს „გ. 1“-მა რ. მ-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა – არ ააშენა და არ გადასცა ბინა.

70. კასატორის მითითებით, სასამართლომ ისე დაადგინა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რომ არ შეაფასა და არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურდებდა საწინააღმდეგოს, კერძოდ: უძრავი ქონების მესაკუთრე კ. კ-ას მხრიდან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას.

71. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას სასამართლო აფასებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

72. მხარეთა შორის 2010 წლის 20 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტის შესაბამისად, ქონების მფლობელობაში

გადაცემა უნდა მომხდარიყო სამშენებლო სამუშაოების დამთავრებისთანავე, არაუგვიანეს 2012 წლის სექტემბრის თვისა.

73. ხელშეკრულების 4.5 პუნქტის თანახმად, ქონებაზე მფლობელობის გადაცემა უნდა განხორციელებულიყო ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს მოაწერდნენ „მყიდველი“ და „გამყიდველი“, ხოლო ვალდებულების შესრულების ადგილი იყო უძრავი ქონების ადგილსამყოფელი (ხელშეკრულების 4.1 პუნქტი).

74. ხელშეკრულების 2.5 პუნქტის შესაბამისად, ქონების გადაცემა უნდა მომხდარიყო შემდეგ მდგომარეობაში: ფართის კონტურის კედლები და/ან ვიტრაჟები; ჭერის სიმაღლე მინიმუმ 3.1 მეტრი; ელ გაყვანილობის დგარი ფართში; მეტალო-პლასტმასის კარფანჯარა და ცენტრალური რკინის კარი; შიდა გადატიხვრები და იატაკის მოჭიმვა ბეტონის მჭიდით; ნყალკანალიზაციისა და ვენტილაციის დგარები ფართში; მონესრიგებული საერთო სარგებლობის ფართი, ფასადი, სახურავი და საერთო სარგებლობის ეზო.

75. ამრიგად, ხელშეკრულების მხარეებმა ქონების მფლობელობაში გადაცემისათვის დაადგინეს სპეციალური ფორმა – მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

76. მოპასუხე კი მიუთითებს, რომ მის მიერ ვალდებულების შესრულება (ქონების მფლობელობაში გადაცემა) დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოების წარმოების შესახებ შპს „გ. დიზაინსა“ და ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე კომპლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ მდებარე საცხოვრებელი სახლის სხვა მობინადრეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით და ქ. ბათუმში, ხ-ის ქუჩაზე კომპლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის, მასში გარემონტებული საცხოვრებელი ფართების/ბინებისა და მასში მცხოვრები რიგი მობინადრეების კუთვნილი საცხოვრებელი ფართის/ბინის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალით, რითაც, მოპასუხის განმარტებით, დასტურდება, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებული იყო 2011 წლის 2 ივლისამდე და მოსარჩელეს თავისუფლად შეეძლო წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საცხოვრებელ ფართში (ბინაში) სარემონტო სამუშაოების წარმოება და მისი ფლობა.

77. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერი-

ლობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

78. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს ქონების მფლობელობაში გადაცემის ვალდებულების შესრულების ფორმა და წესი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ „ამ ფორმის დაუცველობას შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა, როდესაც ვალდებულების შესრულება არ იწვევს დავას ან/და ვალდებულების შესრულება ცალსახად ვლინდება ობიექტური გარემოებებიდან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის იწვევს დავას, ხელშეკრულების ამ პირობას (ვალდებულების შესრულების წესზე და ფორმაზე შეთანხმებას) შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა“ (იხ. სუსგ №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი).

79. კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ მტკიცებულებას და მიუთითებს უფლებაშემწყვეტი იურიდიული ხასიათის მოქმედებაზე. მხარეებმა თვითონ განსაზღვრეს, თუ რა ფორმით შეიძლება ვალდებულების შესრულების მიღების დადასტურება და ამ წესის შეცვლა მხოლოდ მხრეებს შეუძლიათ.

80. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებულ განჩინებაში განმარტა, რომ: „ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ... ვალდებულების შესრულების მიღების შესახებ შეთანხმებისათვის გათვალისწინებული ფორმის დაუცველობას, შესაძლებელია, არ მოჰყვეს ფორმადაუცველი გარიგებისათვის დადგენილი შედეგი, როდესაც მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით ფაქტობრივად იცვლება მათ მიერ განსაზღვრული წესი, მაგრამ ამ შემთხვევაში, გარკვეული თავისებურება ახასიათებს ვალდებულების შესრულების მტკიცებას“ (იხ. სუსგ №ას-872-830-2013, 17 ოქტომბერი, 2014 წელი).

81. შესაბამისად, შპს „გ. 1“-ს მხრიდან ვალდებულების ჯეროვ-

ნად და დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების დასადასტურებლად მოპასუხეს უნდა წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულება – მიღება-ჩაბარების აქტი.

82. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ კანონის დარღვევით არ გაითვალისწინა.

83. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის მითითებას, რომ ვალდებულების შესრულება მოსარჩელის ბრალით არ მოხდა.

84. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვადის გადამცილებლად ჩაითვლება. საქმის მასალებიდან კი არ ვლინდება, რომ მოპასუხემ (მოვალემ) ისარგებლა ზემოაღნიშნული უფლებით.

85. კასატორის შემდგომი პრეტენზიაა, რომ სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების თარიღის გადანევა მოხდა მენარდისა და მესაკუთრის ბრალეული ქმედების გარეშე, რაც სამოქალაქო კოდექსის 401-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია.

86. 2010 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლის ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის ოქტომბრის დასასრული. პროექტში ცვლილებები განხორციელდა ბათუმის მერიის 2010 წლის 19 ივლისისა და 2013 წლის 15 მარტის №813 და №02/156 ბრძანებებით. აღნიშნული აქტები გამოიცა უძრავი ქონების მესაკუთრის კ. კ.-ას განცხადებების საფუძველზე, რომელიც ითხოვდა ქ. ბათუმში, შ. ხ-ის ქუჩაზე კომპლექს „ბ-ის“ მოპირდაპირედ მდებარე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით შეთანხმებულ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტში ცვლილებების შეტანას. ამრიგად, საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის გადანევა მოხდა მესაკუთრის ინიციატივით, სწორედ მისი მიმართვის საფუძველზე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის/მენარდის მითითება, რომ მას არ შეეძლო წინასწარ ევარაუდა ზიანი, რომელიც ხელშეკრულების მეორე მხარეს

მიადგებოდა საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის გადაწვეით.

87. ზიანისა და პირგასამტელოს ოდენობის განსაზღვრის თაობაზე კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს.

88. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ უთითებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე. საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

89. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „გ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-856-800-2017

20 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ნარდობის საზღაურისა და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „ა-ი +-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასა-ტორის მოწინააღმდეგე მხარე, კრედიტორი, მენარდე ან გამყიდველი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ხ-ოს“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, კასატორი, მოვალე, შემკვეთი ან მყიდველი) მიმართ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 87 039 ლარისა და ზიანის – 9 078 ლარის (მიუღებელი შემოსავალი) მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2014 წლის 7 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, მოპასუხისათვის მიეწოდებინა წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის 10 მარტიდან 2014 წლის აპრილამდე მოსარჩელემ შექვევთ 116 474 ლარის ღირებულების საქონელი მიანოდა. 2014 წლის 13, 14, 15 და 20 მარტს მხარეებს შორის ნარდობის ხელშეკრულებები გაფორმდა, რომელთა ფარგლებში მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა შეესრულებინა გზების შეკეთების სამუშაოები (ფრეზირება) ქ. თბილისში, ხოლო დამკვეთს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და ფორმა №2-ის საფუძველზე უნდა გადაეხადა შესაბამისი ღირებულება. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომსახურებას მოსარჩელე ქვენარდობის საფუძველზე ასრულებინებდა შპს „ს-იას“ (შემდგომში – ქვეკონტრაქტორი), რის თაობაზეც, ცნობილი იყო შემკვეთისათვის.

საბოლოო ჯამში, ნარდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, შესრულებულია 283 232 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც დადასტურებულია საგადასახადო ანგარიშფაქტურებითა და მხარეების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტებით. 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 23 874 ლარის ღირებულების სამუშაო შემკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე არ იქნა დადასტურებული, თუმცა, ქვეკონტრაქტორთან 2014 წლის 30 აპრილს გაფორმებული №44 მიღება-ჩაბარების აქტითა და 2014 წლის 14 მაისის ანგარიშფაქტურით დგინდება, რომ მოსარჩელემ მენარდისაგან მიიღო შესრულებული სამუშაო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის დავალიანება 2014 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 87 039 ლარს შეადგენს. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო კრედიტორმა განიცადა მატერიალური ზიანი (მიუღებელი შემოსავლის სახით). იგი, როგორც იურიდიული პირი, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, რაც მოპასუხისთვის სავარაუდოა. სამართლიანი საორიენტაციო თანხა, რომლის მოტანაც დავალიანებულ თანხას შეეძლო თვიური 2,1%-ია, ხოლო ყოველდღიურად – 0,07%. 2012 წლის 20 მარტის ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, დამკვეთს ანგარიშსწორება უნდა მოეხდინა მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში. შესრულებული სამუშაოების შესახებ 2014 წლის 24 აპრილის აქტით გათვალისწინებული ანაზღაურების ვალდებულება შემკვეთს წარმოეშვა 2014 წლის 12 მაისიდან, ამ დროისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 63 165 ლარს, ამ დროიდან სარჩელის აღძვრამდე პერიოდისათვის მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 6 807 ლარი. 2014 წლის 14 მაისს მოპასუხეს წარედგინა მიღება-ჩაბარების აქტი 23 874 ლარზე. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების მიღება მოპასუხეს ხელმოწერით არ დაუდასტურებია, იგი არ თავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან, შესაბამისად, თანხის გადახდის ბოლო ვადა 2014 წლის 31 მაისი იყო. პირველი ივნისიდან სარჩელის წარდგენამდე (16.10.2014წ.) ვადაგადაცილებამ შეადგინა 136 დღე, მიყენებულმა ზიანმა – 2 271 ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის ფარგლებში განმარტა, რომ მხარეთა შორის მართლაც არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ შეასრულა სამუშაოები, თუმცა არა 2014 წლის 14 მაისის შესრულებული სამუშაოების შესახებ №3 აქტში. ამ ფასებს არ დაეთანხმა შემკვეთი და არ დაადასტურა მიწოდებული ინფორ-

მაცია, სხვა მხრივ, ყველა სამუშაოს ღირებულება ანაზღაურებულა. სასარჩელო განცხადების მიღების შემდგომ მოპასუხემ გადაამონმა მიწოდებული დოკუმენტაცია და გამოარკვია, რომ მენარდე აწვდიდა გაყალბებულ მონაცემებს, კერძოდ, დოკუმენტაციის შესაქმნელად გამოყენებულია ფირმის ბეჭედი და დირექტორის ფაქსიმილია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 23 874 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით დავალიანების ძირი თანხის – 63 165 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 9 078 ლარის მოპასუხისათვის დაეკისრება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მენარდის სარჩელი შემკვეთის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა 87 039 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მონინალმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის

ფაქტობრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც დავალიანების არსებობის ფაქტი, ისე – მისი დადასტურების შემთხვევაში, შემკვეთისათვის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მენარდემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც მისი მოთხოვნა შემკვეთისათვის დავალიანების დაკისრების ნაწილში საფუძვლიანი იყო, რასაც არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.2. საკასაციო პრეტენზიის ფარგლები:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 133-ე მუხლებს და მხარის აღიარება, რომელიც სათანადოდ არ ყოფილა გაქარწყლებული, არასწორად არ დაუდო საფუძვლად გადანყვეტილებას (სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი). უფრო კონკრეტულად, კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 24 აპრილს გაფორმებული №6 მიღება-ჩაბარების აქტიდან გამომდინარე შესრულების ღირებულების – 162 990,21 ლარის მიღება 2015 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე აღიარა მენარდემ და შემკვეთი, როგორც მოპასუხე მხარე, აღარ იყო ვალდებული, დაედასტურებინა ამ ნაწილში შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი, თავის მხრივ, მოსარჩელემ აღიარების გაქარწყლების მიზნით მიუთითა კანონის არცოდნაზე, რაც არ არის საკმარისი.

1.3. გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:

კასატორის შედავების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა წინააღმდეგაც დასაშვები/დასაბუთებული პრეტენზია არ ყოფილა კასატორის მხრიდან წარმოდგენილი (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საა-

პელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება):

1.3.1. მხარეები იმყოფებოდნენ ნასყიდობისა და ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში 2014 წლის 7 მარტის, 2014 წლის 13 მარტის, 2014 წლის 14 მარტის, 2014 წლის 15 მარტის და ამავე წლის 20 მარტის ხელშეკრულებების თანახმად;

1.3.2. სასარჩელო მოთხოვნა შემკვეთისათვის დავალიანების – 87 039 ლარისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ემყარება 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებას. ამ ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა შეესრულებინა გლდანის რაიონში გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოები. ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიღება-ჩაბარებისა და ფორმა №2-ის გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. სამუშაოების შესრულება და ანაზღაურების გადახდა დაფიქსირდებოდა მიღება-ჩაბარების აქტითა და ფორმა №2-ით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 30 აგვისტომდე პერიოდი;

1.3.3. 2014 წლის 24 აპრილს გაფორმებული შესრულებული სამუშაოს აქტი №2-ით შესასრულებელი სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა 162 990,21 ლარი. 2014 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების №6 აქტის თანახმად, შემკვეთმა ჩააბარა, ხოლო დამკვეთმა (ქ. თბილისის მერია) მიიღო 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 162 990,21 ლარის ღირებულების სამუშაო;

1.3.4. 2014 წლის 14 მაისის შესრულებული სამუშაოს აქტი №3-ით შესასრულებელი სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა სულ 23 874 ლარი. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის სხდომაზე მოსარჩელემ აღიარა აღნიშნული თანხის შემკვეთის მიერ მისთვის გადახდა და განმარტა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა 162 990,21 ლარის ნაწილს. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა სარჩელი, მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელისათვის გადასახდელად სწორედ აღნიშნული 23 874 ლარის გადახდა;

1.3.5. საქმეში წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების, საგადასახადო ანგარიშფაქტურების, ელექტრონული საგადასახადო დავალებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების თანახმად, მათ

შორის არსებული რამდენიმე გარიგებიდან ხდებოდა ურთიერთვალდებულების შესრულება. ამჟამად სადავოა მხარეებს შორის 2014 წლის 20 მარტის ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთის მიერ 87 039 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოსათვის გადახდის ვალდებულება. მოსარჩელე მოთხოვნის საფუძველიანობას ამყარებს 2014 წლის 24 აპრილს გაფორმებული შესრულებული სამუშაოს აქტი №2-სა და 2014 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების №6 აქტით დადასტურებულ შესრულებულ სამუშაოზე. სამუშაოს შესრულებისა და ამ შესრულების მიღების ფაქტს სადავოდ არც შემკვეთი ხდის, არამედ სარჩელის მოთხოვნის საფუძველიანობას უპირისპირებს და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მტკიცებისათვის ეყრდნობა უკვე დასახელებულ №2 და №6 აქტებს, ასევე საქმეში წარმოდგენილ ზედნადებებსა და ელექტრონულ საგადასახადო დავალებებს, ამასთან განმარტავს, რომ თანხა სრულად აქვს გადახდილი. თავდაცვის საპროცესო საშუალებად მოპასუხე დამატებით მიუთითებს მოსარჩელის ე.წ ალიარებაზე, რომ თანხა გადახდილია, რასაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას და 87 039 ლარის შემკვეთისათვის დაკისრებაზე უარი სწორედ ამ საფუძველით უთხრა მოსარჩელეს;

1.3.6. მოპასუხემ, როგორც მოვალემ, ვერ წარადგინა 87 039 ლარის ოდენობით შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეში არსებულ 2014 წლის 1 მაისის №632 ელექტრონულ საგადახდო დავალებაში 177 581,85 ლარის გადახდის დანიშნულებად მითითებულია შესრულებული სამუშაოების ღირებულება. 2014 წლის 24 აპრილის №627 და ამავე წლის 16 აპრილის №617 ელექტრონულ საგადახდო დავალებებში თანხების – 2 000 ლარისა და 69 720 ლარის გადახდის დანიშნულებად მითითებულია ასფალტბეტონის ღირებულება და ასფალტბეტონისა და ფრეზის მომსახურების ღირებულება. 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე 2014 წლის 24 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი №6-ისა და სამუშაოს შესრულების აქტი №2-ის შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას აღნიშნული ელექტრონული საგადასახადო დავალებები არ ადასტურებს, რადგანაც მითითებული დოკუმენტებით იმ პირობებში, როცა 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულების გარდა, თუნდაც იმავე თვეში სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაც გააჩნდათ მხარეებს, ვერ დგინდება მათი კავშირი ზემოთ მითითებულ მიღება-ჩაბარებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ 2014 წლის 24 აპრილის №6 და №2 აქტებთან.

1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი

დასკვნები:

1.4.1. პალატა უპირველესად აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა) კონტექსტში, სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას ამონმებს მხოლოდ იმ პრეტენზიათა ფარგლებში, რომლებიც მხარის მიერ გადმოცემულია საკასაციო საჩივარში. იმ გარემოების თაობაზე, რომ მოპასუხემ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარადგინა, საკასაციო საჩივარი შედავებას არ შეიცავს. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ნაწილში და აღნიშნავს, რომ განსახილველი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. განსახილველი ნორმა იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ნარდობა სინალაგმატურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რომლის მონაწილეებიც სამართლებრივ ურთიერთობაში ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც ურთიერთკრედიტორები, ისე – ურთიერთმოვალეები. ზოგადი წესის თანახმად, შემკვეთს საპასუხო შესრულების ვალდებულება წარმოეშობა მას შემდეგ, რაც მენარდე შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას (შეად. სკ-ის 369-ე მუხლი: იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა, გარდა ამისა, სპეციალური ნორმის – სკ-ის 648-ე მუხლის მიხედვით, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას).

1.4.2. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს მენარდის მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი, რაც მას მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს შემკვეთის მიმართ, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებულია. რაც შეეხება მოპასუხის პო-

ზიციას, იგი თავს იცავს ვალდებულების შესრულების ფაქტზე მითითებით (მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი) და შედავების ფარგლებში ვალდებულია, წარადგინოს შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი, როგორც საპროცესო, ისე – მატერიალურ სამართალში ერთნაირადაა განანიღბებული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი უნდა დაადასტუროს ფაქტის მიმთითებელმა მხარემ სათანადო მტკიცებულებით, რაც შეეხება მტკიცების მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს, როგორც ზემოხსენებული დამფუძნებელი ნორმის დისპოზიცია, ისე – ფულადი ვალდებულების შესრულების მარეგულირებელი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი ავალდებულებს მოვალეს, წარადგინოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა თავად განსაზღვრეს 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებით (იხ. 20.03.2014წ. ხელშეკრულების 2.2. პუნქტი: შესრულებული სამუშაოს ღირებულებას „დამკვეთი“ უხდის „შემსრულებელს“ ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით). ის ფაქტი, რომ მოვალეს შესრულების ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი არ წარუდგენია სასამართლოსათვის, როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, კასატორის მხრიდან შედავებული არ არის. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემკვეთისათვის 63 165 ლარის დაკისრების ნაწილში გამართლებულია.

1.4.3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 133-ე მუხლების მოთხოვნები და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით მოწესრიგებული აღიარების ინსტიტუტი, საპროცესო სამართლის თეორიაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, განმარტებულია იმგვარად, რომ ფაქტს, რომელსაც უნდა ადასტურებდეს დავის სუბიექტი, ადასტურებს მისი მონიშნულმდეგე მხარე. ფაქტის აღიარების დროს მხარე ცნობს დავის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რაც სასამართლომ შეიძლება, საკმარის საფუძვლად მიიჩნიოს გადაწყვეტილების გამოტანისას და დაეყრდნოს ამ აღიარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღიარება უნდა იყოს კონკრეტული და გამოხატავდეს მხარის გაცნობიერებულ ნებას, რომ ის ადასტურებს მტკიცების საგანში შემავალ ამ თუ იმ ფაქტს და მკაფიოდ და ნათლად ადასტურებს მის არსებობას. საკასაციო პალატა დეტალურად გაეცნო თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 ოქტომბრის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერს და მისი შინა-არსიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის ზემოხსენებული წინაპირობები, კერძოდ, არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან იმგვარი ერთმნიშვნელოვანი განმარტების მიცემა, რაც თუნდაც ფორმალურად მიიყვანდა სასამართლოს დასკვნამდე, რომ სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის წინაპირობები და აღიარების ავტორს წარმოუშობდა მისი გაქარწყლების ვალდებულებას (მტკიცება იმისა, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია მის თავისუფალ ნებას).

1.4.4. წინამდებარე საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების საფუძველს, პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინების თანახმად, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (სააპელაციო სასამართლო საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე), შესაბამისად, პალატა ამ კუთხითაც გააკეთებს გარკვეულ შეფასებას: საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი 23 874 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით მენარდეს უარი ეთქვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შემკვეთისათვის 63 165 ლარის, ასევე, მიუღებელი შემოსავლის – 9 078 ლარის დაკისრებაზე. საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ მენარდის მიერ და სააპელაციო განაცხადის მოცულობა, ბუნებრივია, აპელანტის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ შეეხებოდა. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილება, სამოქალაქო სპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული) შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატამ 63 165 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია რა აპელანტის მოთხოვნა, იგი გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს (სსსკ-

ის 377-ე (1) და 384-ე მუხლების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ) და ახალი გადაწყვეტილებით შემკვეთს დააკისრა მათ შორის ის თანხა, რაც მას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული ჰქონდა, შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული).

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

2.2. ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.4.4. პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში და ვინაიდან საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები არ იკვეთება, პალატის მიერ უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება მიღებული, რომლითაც შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ 2014 წლის 20 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა დაეკისროს 63 165 ლარის გადახდა.

2.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ზინანის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია საკასაციო წესით, სასამართლო ამ ნაწილში ყოველგვარი შეფასების გარეშე უცვლელად ტოვებს მას.

3. სასამართლო ხარჯები:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებ-

ლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ხ-ოს“, შპს „ა-ი + ის“ სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟიდან დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად უნდა დაეკისროს 2 526,6 ლარის გადახდა;

3.2. რაც შეეხება საკასაციო სამართალწარმოების ხარჯებს, პალატა მიუთითებს მის 2017 წლის 10 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის 4 351,95 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების (სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ) ფართო განმარტების შედეგად ხარჯები უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: შპს „ხ-ოს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 3 158,25 ლარის (მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად), ხოლო, შპს „ა-ი + ს“ – 1 193,7 ლარის (დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად) გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხო-

ლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო-თა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ხოლო, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს შპს „ხ-ოს“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მხარეს უნდა დაუბრუნდეს №ა-3310-17 განცხადებებზე დართული დოკუმენტები 59 (ორმოცდაცხრამეტი) ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ხ-ოს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. შპს „ა-ი+-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „ა-ი+-ის“ სარჩელი შპს „ხ-ოს“ მიმართ, ნარდობის საზღაურისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

4. შპს „ხ-ოს“ (ს/კ №...) შპს „ა-ი +-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ 2014 წლის 20 მარტის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისროს 63 165 ლარის გადახდა.

5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

6. შპს „ხ-ოს“ (ს/კ №...) შპს „ა-ი +-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი ბაჟიდან დაეკისროს 2

526,6 ლარის გადახდა.

7. შპს „ბ-ოს“ (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო სასამართლოს 10.07.2017წ. განჩინებით გადავადებული ბაჟიდან 3 158,25 ლარის, ხოლო შპს „ა-ი +-ს“ (ს/კ №...) – 1 193,7 ლარის გადახდა.

8. შპს „ბ-ოს“ დაუბრუნდეს №ა-3310-17 შუამდგომლობაზე დართული მასალები 59 (ორმოცდაცხრამეტი) ფურცლად.

9. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დავალება

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა

გადაწყვეტილება საქართველოს სასახლეო სასახლეო

№ას-1559-2019

2 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა,
განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის მთავრობის 2007 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე, ე. მ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, დასაქმებული ან ბაგა-ბალის ...) ა(ა)იპ №... საბავშვო ბაგა-ბალის ... დაინიშნა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 709-ე მუხლი). მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 1000 ლარს შეადგენდა (იხ. დადგენილება,).

2. 2015 წლის 8 სექტემბერს მოსარჩელემ მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, კასატორი, სააგენტო ან დამსაქმებელი) და აცნობა, რომ ბაგა-ბალებში დამონტაჟებული 25 სათვალთვალ კამერიდან, არცერთი არ მუშაობდა და ითხოვა ხარვეზის აღმოფხვრა (იხ. მიმართვა).

3. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის ჯგუფის მიერ 2015 წლის 2 ოქტომბერს ბაგა-ბალი შემოწმდა. დათვალეიერებისას აღმოჩნდა ვიდეოკამერების გაუმართაობა; კვების ბლოკისა და საწყობის შემოწმებისას დადგინდა ქათმის ხორცის 440 გრ-ით ნაკლებობა, კაკაოს ფხვნილის ერთით მეტობა, მენიუფაქტურით განერილი 315 ფუნტუშის 40-ით (355 ცალი) მეტობა; სანიტარულ-ჰიგიენური საწყობის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ჟურნალი ივსებოდა დარღვევით, სახელდობრ, მასში პროდუქციის აღრიცხვა 15.07.2015 წლით თარიღდებოდა, რის გამოც ფაქტობრივი ნაშთი და ჟურნალში აღრიცხუ-

ლი პროდუქცია ვერ შედარდა (იხ. დასკვნა).

4. აღნიშნულ ფაქტზე ახსნა-განმარტება ჩამოერთვით მოსარჩელესა და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს, დირექტორის ახსნა-განმარტებაში ქათმის წონის ცდომილებად ტარის უზუსტობა, ხოლო ფუნთუშების მეტობად ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა რაოდენობაა მითითებული, ხოლო, რაც შეეხება სამეურნეო ყურნალს, ხარვეზი სამტატო ერთეულის სიმცირითაა გამოწვეული (იხ. ახსნა-განმარტება).

5. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურმა მიიჩნია, რომ, ადგილი ჰქონდა დირექტორის მიერ მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას. შესაბამისად, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2015 წლის 12 ნოემბრის №2/212 ბრძანებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი სადავო ბრძანება), მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო, მოსარჩელის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სასტიკი საყვედურის გამოცხადების სახით (იხ. ბრძანება).

6. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის ჯგუფმა 2015 წლის 17 დეკემბერს კვლავ შეამოწმა ბაგა-ბაღი. დათვალიერებისას დადგინდა ვიდეოკამერების გაუმართაობა; ბოსტნეულის სანყობისა და სანიტარულ-ჰიგიენური სანყობის შემოწმებისას აღმოჩნდა სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის მიერ გადამალული რამდენიმე დასახელების ბოსტნეული, ხილი და სამეურნეო საქონელი, კერძოდ: ვაშლი – 10 კგ და 630 გრ; ხახვი – 15 კგ და 500 გრ; გოგრა – 3 კგ და 900 გრ; 2 მათეთრებელი („პეროს“); 33 ხელსაწმენდი და 2 ხელთათმანი. (იხ. დასკვნა). სამეურნეო ნაწილის კოორდინატორმა აღიარა გადანახული პროდუქტების არსებობა (იხ. ახსნა-განმარტება).

7. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2015 წლის 24 დეკემბრის №244 ბრძანებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე სადავო ბრძანება), ვალდებულების განმეორებით დარღვევის გამო, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლებას სმკ-ის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წესდების მე-6 მუხლის, მე-5 პუნქტის „ნ“ და „ს“ ქვეპუნქტები, ბაგა-ბაღის წესდება და მონიტორინგის შედეგები დაედო საფუძვლად (იხ. ბრძანება და მისი დასაბუთება).

8. 2016 წლის 5 თებერვალს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ სადავო ბრძანებების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მოითხოვა სარჩელის უარყოფა უსაფუძვლობის მოტივით.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს კონსტიტუციის 30.4 და 42-ე მუხლები; ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლი; სშკ-ის 37-ე მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 361-ე და „ბავშვთა უფლებების კონვენციის 3.3 მუხლი გამოიყენა.

11. გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანებები და მოსარჩელე აღდგენილ იქნა ... თანამდებობაზე; 2015 წლის 24 დეკემბრიდან სამსახურში აღდგენამდე მოპასუხეს ყოველთვიურად იძულებითი განაცდურის – 1000 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

12.1. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, არ დგინდებოდა სშკ-ის 37-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების კუმულაციურად არსებობა, რაც დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერი საფუძველი იქნებოდა.

12.2. იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულის მიმართ არასდროს ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელის რომელიმე ზომა და თავად ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განმარტებით, მოსარჩელის განათლება და კვალიფიკაცია სადავო არ იყო, ამასთან, 2015 წლის 2 ნოემბრის მონიტორინგის შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც ბალის სახელს შეზღავნებდა და საზიანო იქნებოდა აღსაზრდელების სწავლა-განათლებისა ან/და ჯანმრთელობისათვის, არ გამოვლენილა, პალატამ უარყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა პირველი სადავო ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებით და დადგენილად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის დისციპლინური სახდელის სახით, სასტიკი საყვედურის გამოცხადების საფუძველი, რაც ამ ბრძანების ბათილობის წინაპირობაა.

12.3. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვიდუოკამერების გაუ-

მართავობა და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის მიერ პროდუქტების გადამალვის ფაქტი, მოსარჩელეს ბრალად ვერ შეეარაჯებოდა, ვინაიდან ამ პროდუქტების რეალური, ბაღში არსებული ფაქტობრივი წონა შეესაბამებოდა მიღებული პროდუქტების მასას. პალატამ აღნიშნა, რომ სწორედ ამ დარღვევების არსებობა დაედო საფუძვლად დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებას, პირველ სადავო ბრძანებასთან ერთად, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მეორე სადავო ბრძანების ბათილად ცნობის წინაპირობა, ვინაიდან, 2015 წლის 21 დეკემბრის მონიტორინგის შედეგად ისეთი დარღვევა, რაც მიზანშეწონილს გახდიდა დასაქმებულის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენებას, არ გამოვლენილა.

13. გადანყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება, ახალი გადანყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. კასატორის მტკიცებით, დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილება მიიღეს. ... ეკისრება ვალდებულება, დაიცვას როგორც საკუთარი თანამშრომლის, ასევე – იმ ბავშვთა უფლებები, რომლებსაც შეიძლება, ზიანი მიადგეს მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის ქცევით, ამ შემთხვევაში, ბავშვთა უფლებებისა და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა უპირატესია. მასვე ეკისრება ზედამხედველობა და მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ ნებისმიერ პირს.

13.2. კასატორის მტკიცებით, დასაქმებულის მიმართ 2015 წლის 12 ნოემბერს გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რათა მას მეტი წინდახედულობა და გულისხმიერება გამოეჩინა. სამუხაროდ, მოსარჩელის სამსახურებრივი საქმიანობა არ გამოსწორებულა და დაშვებულ იქნა ახალი შეცდომები, შესაბამისად, საბავშვო ბაგა-ბაღის მონიტორინგის შედეგად, ერთობლივად განხილვის საფუძველზე, დაკისრებული ვალდებულების დარღვევის გამო, მოსარჩელე კანონიერად გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, სააგენტოს მიერ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა იყო ადეკვატური, რაც ქვემდგომმა სასამართლომ არ გაითვალისწინა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხ-

ლის მე-5 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ იქნეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია.

16. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ... გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, მისი სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები ეწინააღმდეგება ამ სახის დავებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას (შდრ. საქმე სუსგ №ას-1203-2018, 25.04.2019, №ას-838-784-2017, 31.07.2017, №ას-379-363-2016, 30.06.2016). კერძოდ, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს ანესრიგებს სსკ-ის 35-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მოწესრიგებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა

და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები გვარდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

17. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ბაგა-ბაღის ..., „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ მუხლი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტი). საკასაციო პალატის განსჯით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის ... დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, პირობითად შეიძლება მოვიხსენიოთ „სასამსახურო ხელშეკრულებად“, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით მონესრიგებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება - არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხა-

რე – მომსახურების გამწვევი ვალდებულება, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ზუსტ განსაზღვრას იძლევა საქართველოს შრომის კოდექსის 2.1 მუხლი და შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებულებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის ... დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან.

19. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულება, შეასრულოს მისთვის დავალეხული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე) მუხლის საფუძველზე, დაიდო დავალების ხელშეკრულება, რაც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალეხული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. ამასთან, საკასაციო პალატა მოსარჩელის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 720.1 მუხლის შინაარსზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და სხვაგვარი შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. ამდენად, ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველზე-

ბი. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, რამდენადაც კასატორის ნება, ა(ა)იპ-ის ... თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე კანონშესაბამისია (სსკ-ის 720.1 მუხლი), რაც თავისთავად გამორიცხავს მოსარჩელის იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასაც, რომლებიც მის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას შეეხება.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ე. მ-ს, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1800 ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დაზღვევა

სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება

განმარტება საქართველოს სასხელით

№ას-281-281-2018

22 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „სადაზღვევო კომპანია ჯ. ჰ-სა“ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, სადაზღვევო კომპანია ან მზღვეველი) და სპს „იურიდიული ფირმა ა. თ-ძე, კ. ჰ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი, სპს ან დამზღვევე) შორის 2015 წლის 22 ივლისს დაიდო დაზღვევის №VMI-B-... ხელშეკრულება.

1.1. ხელშეკრულების თანახმად მზღვეველი ვალდებული იყო დაზღვეულისათვის მისი ქონებრივი და ფინანსური ინტერესის დასაცავად დამზღვევის მიერ პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდის სანაცვლოდ №1 დანართში მითითებული მომსახურება გაენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა დანართებში მითითებული პირების სამედიცინო დაზღვევას;

1.2. ხელშეკრულების 5.1 მუხლის თანახმად, დამზღვევის მიერ დაზღვეულთა სასარგებლოდ გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემია დაანგარიშდებოდა №1 და №2 დანართებში წარმოდგენილი პირობებისა და დაზღვეულთა რაოდენობის შესაბამისად. ხელშეკრულების 5.3 მუხლის თანახმად, სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდებოდა ყოველი თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა, ამასთან, პირველი გადახდა ხორციელდებოდა არა უგვიანეს 15.08.2015-ისა;

1.3. ხელშეკრულების 3.2 მუხლის თანახმად, სადაზღვევო ხელშეკრულების №2 დანართის თანახმად დაზღვეულ იქნა 24 ადამიანი, რომელთაგან 1 ადამიანის ყოველთვიური პრემიის ოდენობა შეადგენდა 189 ლარს, 3 ადამიანის ყოველთვიური პრემიის ოდენობა

შედგენდა 99 ლარს თითოეულ ადამიანზე, 17 ადამიანის ყოველ-
თვიური პრემიის ოდენობა – 33 ლარს თითოეულ ადამიანზე, 2 ადა-
მიანის – 63 ლარს, 1 ადამიანის დაზღვევის პრემია – 47 ლარს. სან-
ყისი ყოველთვიური პრემია შეადგენდა $189+3X99+17X33+2X$
 $63+47=1220$ ლარს, მთელი ხელშეკრულების წლიური პრემიის ჯა-
მური ოდენობა შეადგენდა $1220X12=14640$ ლარს;

1.4. ხელშეკრულების 5.2 მუხლის თანახმად, სადაზღვევო პრე-
მიის გადახდა ხდებოდა ყოველთვიურად შემდეგი სქემის მიხედ-
ვით: დაზღვეულთა რაოდენობის მიხედვით, დაზღვეულ პირთა რა-
ოდენობის ცვლილების შემთხვევაში ხდებოდა გადასახდელი პრე-
მიის კორექტირება. ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, დაზ-
ღვეულ პირთა დამატება/გაუქმება ხორციელდებოდა ყოველთვი-
ურად: დამატების თარიღი იმეორებდა ხელშეკრულების მოქმედე-
ბის ვადის პირველ რიცხვს, გაუქმება ხორციელდებოდა ხელშეკ-
რულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვამდე ერთი დღით ად-
რე;

1.5. ხელშეკრულების 9.1 მუხლის თანახმად, „ხელშეკრულება
ძალაში შედის 24.07.2015 წლის 00:00 საათიდან და მოქმედებს
23.07.2016 წლის 24:00 საათამდე“.

2. მოსარჩელეს 2015 წლის 26 ოქტომბერს წერილით მიმართა
მოპასუხე კომპანიის დირექტორმა და მოითხოვა ი. ბ-ათვის /სითით
ნომერი 24/ 99-ლარიანი პაკეტის დაზღვევის გაუქმება და მის ნაც-
ვლად ე. კ-ძის დაზღვევა 33-ლარიანი პაკეტით; ხელშეკრულების
თანახმად, ი. ბ. დაზღვეულთა სიიდან ამოღება უნდა მომხდარიყო
2015 წლის 21 ნოემბრიდან, ხოლო ამავე სიაში ე. კ-ძის დამატება კი
– 2015 წლის 22 ნოემბრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით გა-
დასახდელი პრემია შეადგენდა შემდეგს: 2015 წლის 15 ნოემბერს
– 1187 ლარს, ხოლო პრემიის ოდენობა 2015 წლის 15 ნოემბრის
შემდეგ, ყოველთვიურად შემდგომ ცვლილებამდე, შეადგენდა
 $1187-99+33=1121$ ლარს“.

3. მოსარჩელე სადაზღვევო კომპანიის ბათუმის წარმომადგენ-
ლობაში კურატორი იყო მ. ს-ძე, რომელთანაც, წლების განმავლო-
ბაში ურთიერთობის გამო მოპასუხეს, მისი მითითებით, განსაკუთ-
რებული ნდობა და პატივისცემა ჩამოუყალიბდა. ამ კურატორს
08.10.2015 წელს დამზღვევემა თავისი ერთ-ერთი თანამშრომლისა
და დაზღვეულის – ბ. თ-ძის გარდაცვალების მოწმობა წარუდგინა
და დაზღვეულის 01.10.2015 წელს გარდაცვალების გამო, მოითხო-
ვა მისი 33-ლარიანი სადაზღვევო პაკეტის გაუქმება, რაც, ხელ-
შეკრულებიდან გამომდინარე, 15 ოქტომბრამდე უნდა განხორცი-
ელებულიყო, მაგრამ მზღვეველი კომპანიის კურატორმა – მ. ს-
ძემ, მიუხედავად დაპირებისა, ამაზე სათანადო რეაგირება არ მო-

ახდინა და არ აცნობა სათავო ოფისს არსებული ვითარება, რამაც განაპირობა ის, რომ 15.11.2015 წლისათვის დამზღვევეს (მოპასუხეს) წარედგინა ინვოისი 1220.00 ლარზე და არა – 1194.00 ლარზე... მოპასუხემ, მისი მტკიცებით, 26.10.15 წელს განცხადებით მიმართა მოსარჩელე სადაზღვევო კომპანიის ბათუმის წარმომადგენლობას და მოითხოვა დაზღვეულ ი. ბ-ს მიმართ 99 ლარიანი სადაზღვევო პაკეტის გაუქმება იმ მოტივით, რომ დასახელებული პირი იმავე წლის 20 ოქტომბრიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან ... ამ შემთხვევაშიც, დამზღვევი კომპანიის კურატორმა მ. ს-მემ ზემოაღნიშნულის თაობაზე დროულად არ აცნობა სათავო ოფისს რეაგირებისათვის, რამაც განაპირობა 15.11.2015 წლისათვის მზღვეველისათვის ინვოისის წარდგენა 1220.00 ლარზე, ნაცვლად 1088.00 ლარისა (1187-99).

4. სარჩელის საფუძვლები

4.1. მზღვეველმა 2016 წლის 30 სექტემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს დამზღვევის წინააღმდეგ და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 5 407.91 ლარის დაკისრება მოითხოვა.

5. მოპასუხის შესაგებელი

5.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

6. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

6.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით მზღვეველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 361-ე, 799-ე, 808-ე, 807-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

7. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

7.1. მოსარჩელემ (მზღვეველმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

8. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

8.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით მზღვეველის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სადაზღვევო კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 5 407.91 ლარის გადახდა დაეკისრა.

8.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მიუ-

თითა, რომ დამზღვევის მიერ დაზღვეულ პირთა დამატება/გაუქმების თაობაზე სადაზღვევო კომპანიის შეტყობინება არამართებულად განხორციელდა, სახელშეკრულებო დათქმის დარღვევით, ხოლო ასეთ პირობებში მოპასუხის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ დაზღვეულ პირთა სიაში ი. ბ-ის ნაცვლად ე. კ-ის დამატება არ მოხდა დადგენილ ვადებში, გაუმართლებელია. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ არის. მოპასუხემ თავად დაარღვია სახელშეკრულებო პირობა.

8.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზღვევის ხელშეკრულების მე-6 მუხლით დეტალურად იქნა მოწესრიგებული „ხელშეკრულების შეწყვეტისა და შესაძლო ცვლილებების განხორციელების პირობები“. ხელშეკრულების აღნიშნული პირობები მოპასუხის მიერ არ იქნა დაცული, კერძოდ, მას დაზღვეულ პირთა დამატება/გაუქმების თაობაზე შეტყობინება უნდა განხორციელებინა არა მზღვეველის ბათუმის წარმომადგენლობაში მყოფი მუშაკის – ყურატორისათვის მ. ს-ისთვის, არამედ უშუალოდ ხელშეკრულების მხარისათვის – აპელანტისათვის. სააპელაციო სასამართლომ ამ თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების მითითებული მუხლის რამდენიმე პუნქტზე, კერძოდ ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, „დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს (და არა მუშაკს მ. ს-მეს, როგორც ეს მოპასუხემ გააკეთა) ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე“. ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის ან/და შეწყვეტის შემთხვევაშიც კი დამზღვევი ვალდებული იყო დამატებით გადაეხადა „დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის 100%“ (ხელშეკრულების 6.2 პუნქტი); ამავე ხელშეკრულების 6.3.-6.5 პუნქტების თანახმად, „დაზღვეულ პირთა დამატება/გაუქმება ხორციელდება ყოველთვიურად: დამატების თარიღი იმეორებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვს, გაუქმება ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვამდე ერთი თვით ადრე; დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების (დამატება, გაუქმება) განხორციელებისას მზღვეველს უნდა ეცნობოს წერილობით ცვლილებების ძალაში შესვლამდე 10 დღით ადრე; დაზღვეულ პირთა სიაში დამატების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი, ტელეფონი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, სამსახურებრივი სტატუსი, ოჯახური სტატუსი, სამსახურში აყვანის თარიღი და სამსახურში აყვანის ბრძანების ნომერი, სადაზ-

ღვევო ბარათი და მისი ტიპი, ოჯახის წევრის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, სტატუსი და ზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში“.

8.4. ხელშეკრულების 6.9-6-12. პუნქტების თანახმად, „დაზღვეული თანამშრომლის სადაზღვევო ბარათის ვადაზე ადრე გაუქმება ხორციელდება მხოლოდ დაზღვეული თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში, ოჯახის წევრების დაზღვევის გაუქმება მზღვეველის მხრიდან არ განიხილება; სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის მიერ სადაზღვევო ბარათის შეცვლა მზღვეველის მიერ არ განიხილება; დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ყველა დაზღვეულზე სრულად; მზღვეველს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს სადაზღვევო ხელშეკრულება, ოღონდ ვალდებულია შეატყობინოს დამზღვევეს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე“.

8.5. ამავე ხელშეკრულების 7.3.8-7.3.10 პუნქტების თანახმად, დამზღვევი ვალდებულია დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია...; დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებაზე, ასევე მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების/უმოქმედობის ხელშეკრულებასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად, მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, თუ დაზღვეულთა/მოსარგებლეთა მიერ დარღვეული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებები და პროცედურები; გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან შეთანხმებული წესის მიხედვით ყველა დაზღვეულზე სრულად“.

8.6. მოპასუხის ზემოთ მითითებული განმარტებისა და მხარეთა სახელშეკრულებო პირობების ანალიზის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის/მზღვეველის მიერ 2015 წლის ოქტომბრ-ნოემბრის გადასახდელ პრემიასთან მიმართებით ინვოისი (ბ. თ-ძის, ი. ბ-ძის დაზღვეულ პირთა სიიდან ამოღებისა და ე. კ-ძის დამატებასთან დაკავშირებით) წარდგენილ იქნა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის თანახმად. წარმოდგენილი ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა კონკრეტული დაზღვეულის მიმართ დაზღვევის შეწყვეტის (დაზღვეულთა სიიდან ამოღების) განსხვავებულ წესს, დაზღვეულთა სიიდან პირის ამოღების მიზეზების მიხედვით. შესაბამისად, ინვოისი მონინალმდებე მხარისათვის წარდგენილ იქნა სწორად, დადგენილი წესითა და ოდენობით, რაც სარჩე-

ლის მოთხოვნას საფუძვლიანს ხდიდა.

8.7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულების მოქმედება არ შეწყვეტილა და დამზღვევემა მიიღო სადაზღვევო მომსახურება, ხელშეკრულებიდან გასვლის სურვილი მხარეების არ გამოუთქვამთ. დამზღვევის მიერ განხორციელებული არასრული პერიოდული გადახდები ცხადყოფდა იმას, რომ დამზღვევის სადაზღვევო ინტერესი გამოკვეთილი იყო და მზღვეველის მიერ დაზღვეულის სადაზღვევო ინტერესის უზრუნველყოფა და რეალიზაცია მოხდა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

8.8. დადგენილია, რომ მოპასუხეს სარჩელის მე-8 ფაქტობრივი გარემოება სადავოდ არ გაუხდია. მე-8 ფაქტობრივი გარემოება ეხებოდა 2015 წლის დეკემბრის და 2016 წლის იანვარ-ივლისის თვეების გადასახდელი პრემიის დაანგარიშებას და მოპასუხის მიერ სრულად გადაუხდელობას. აღნიშნულ გარემოებებზე შედავება მოპასუხეს არ განუხორციელებია.

8.9. ზემოთ მითითებული გარემოებების პირობებში სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე/დამზღვევი არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას. დადგენილია, რომ პრემიის ჯამურმა წლიურმა ოდენობამ, ცვლილებების გათვალისწინებით, 13195 ლარი შეადგინა, ხოლო აღნიშნული თანხიდან დამზღვევემა მხოლოდ 7787.09 ლარი გადაიხადა, ბოლო გადახდა (990 ლარი) 2016 წლის 04 მარტს განხორციელდა, შესაბამისად, მონინალმდგის/მოპასუხე მხარის დავალიანებამ 5407.91 ლარი შეადგინა.

8.10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 316.1, 317.1, 361.2, 799.1, 799.2, 815.2 მუხლებით და არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ 2015 წლის დეკემბრის თვიდან აპელანტის/მოსარჩელის მიერ მთლიანად იქნა შეჩერებული სადაზღვევო მომსახურება. მოპასუხის აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ, ამიტომ, სსკ-ის 50-ე, 51-ე, 52-ე მუხლების შესაბამისად დამზღვევეს მზღვეველისათვის უნდა ეცნობებინა, რომ მას არ მიუღია სადაზღვევო მომსახურება და აქედან გამომდინარე განეხორციელებინათ სახელშეკრულებო დათქმის შესაბამისი პროცედურები, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დადასტურდა, უფრო მეტიც, ხელშეკრულებიდან გასვლის სურვილი ამ შემთხვევაში არ იკვეთება, რადგან მოპასუხემ/დამზღვევემა 2016 წლის მარტის თვეშიც

განახორციელა სადაზღვევო პრემიის შეტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე განსახილველ შემთხვევაში დამზღვევის სადაზღვევო ინტერესი გამოკვეთილი იყო და მზღვეველის მიერ მოხდა დაზღვეულის სადაზღვევო ინტერესის უზრუნველყოფა და რეალიზაცია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

8.11. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 816-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულება ვალდებულებებს წარმოშობს არა მისი დადების ან სადაზღვევო პოლისის გაცემის, არამედ – პირველი სადაზღვევო შენატანის განხორციელების მომენტიდან.

8.12. მზღვეველის უფლება, მიიღოს პრემია, არ არის დამოკიდებული იმაზე დამზღვევი მიიღებს თუ არა მომსახურებას, იმ გაგებით, რომ დაზღვეულია კონკრეტული რისკის დადგომისას მიყენებული ზიანი, რისკი თავისი ბუნებიდან გამომდინარე კი შეიძლება არც დადგეს ხელშეკრულების მოქმედების მთელს პერიოდში, რაც დამზღვევს არ ათავისუფლებს პრემიის გადახდის ვალდებულებისგან. თავისთავად იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია პრემიის გადახდის სანაცვლოდ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

9. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

9.1. მოპასუხემ (დამზღვევემა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და მზღვეველის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივით.

9.2. კასატორის განმარტებით, ინვოისებს, რომლებიც ყოველთვიურად ეგზავნებოდა დამზღვევს მზღვეველის მიერ ელექტრონული ფორმით გადახდამდე რამდენიმე დღით ადრე, თან ერთვის დაზღვეული პირების ჩამონათვალი და მათი კუთვნილი პოლისები 15.08.2015 და 15.09.2015 წლისათვის; თითოეული თვისთვის ცალცალკე სადაზღვევო კომპანიამ მოითხოვა 1249.28 ლარის გადახდა, ანუ სანყის, კუთვნილ ყოველთვიურ შენატანთან (1220.00 ლარი) შედარებით 29.28 ლარით მეტი. მოპასუხემ აღნიშნა, რომ დამზღვევემა გადაიხადა ინვოისით მოთხოვნილი თანხა, რაც ორი თვისათვის 60 ლარს შეადგენდა. კასატორის განმარტებით 15.08.2015 წლისათვის გადასახდელი პრემიის ოდენობა 1220 ლარის ნაცვლად 935.18 ლარი უნდა ყოფილიყო, რადგან ხელშეკრულება 22.07.2015 წლიდან ამოქმედდა, იმავე წლის 15 აგვისტომდე კი 23 დღე იყო დარჩენილი.

9.3. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი 12.10.2015 წლის ინვოისით 15.10.2015 წლისათვის გადასახდელად მოთხოვნი-

ლი იყო 1249.28 ლარი, ანუ სასარჩელო გაანგარიშებით 55.28 ლარით მეტი, ვიდრე გადასახდელი იყო. წარმოდგენილ ინვოისზე თანდართულ დაზღვეულ პირთა ჩამონათვალში კი კვლავ ირიცხებოდა გარდაცვლილი თ-ძე კუთვნილი პაკეტი, როგორც მოქმედი დაზღვეული პირი, მიუხედავად იმისა, რომ დამზღვევეს გარდაცვლილ პირზე სს-თვის ინფორმაცია მიწოდებული ჰქონდა. სწორედ ამ დროიდან წარმოეშვა კასატორს უკმაყოფილება მოსარჩელის მიმართ და მოპასუხემ მზღვეველის მიერ მოთხოვნილი პრემია აღარ გადაიხადა, მან საკუთარი გაანგარიშებით შეასრულა გადახდა.

9.4. კასატორმა წერილობით წარდგენილ შესაგებელში წარდგენილ გაანგარიშებებზე მიუთითა საკასაციო საჩივარში და განაცხადა, რომ მოპასუხეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სულ გადახდილი აქვს 7 875 ლარი.

9.5. კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ დაზღვევის შეჩერებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი ოთხი თვის განმავლობაში და რომ ამასთან დაკავშირებით მოპასუხის მხრიდან გამოთქმულ პრეტენზიებს არათუ სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია, არამედ ბოლოს სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობდნენ სადაზღვევო კომპანიაში.

9.6. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა და საქმის მასალები არასრულად გამოიკვლია.

9.7. კასატორმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება საკმარისად არ არის დასაბუთებული. კასატორმა განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას ეწინააღმდეგება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

10. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია,

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

11. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

13. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას გამოიწვევდა.

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მის სასარგებლოდ თანხის დაკისრება, სარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 799-ე მუხლის მეორე ნაწილს /დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია)/ ეფუძნება.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით დადგენილია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, სსკ-ის 799-ე მუხლის საფუძველზე, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი). დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება არ არის დამოკიდებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. სადაზღვევო რისკის რეალიზაცია მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა და არა დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანი. დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულების სინალაგმატური ბუნება მხა-

რეებისათვის ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობების და-
კისრებით გამოიხატება. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხო-
ვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და ვალდებულია, აანაზღაუ-
როს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი. თა-
ვის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზ-
ღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდე-
ნობით იხადოს სადაზღვევო პრემია. დაზღვევის ხელშეკრულება-
ში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამზღვევის მხრიდან მზღვე-
ველისათვის სადაზღვევო პერიოდის ცალკეულ ეტაპზე დაზღვე-
ვის ობიექტის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაციის
მიწოდება (სსკ-ის 808-ე, 812-ე, 814-ე მუხლები). სადაზღვევო პრე-
მია წარმოადგენს მზღვეველის მიერ განეული „რისკის“ ტარების
ღირებულებას. მეორე მხრივ, სადაზღვევო პრემიების აკუმულა-
ცია სადაზღვევო კომპანიაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-
ბულების შესრულებისათვის აუცილებელი წინაპირობაა (შდრ. სსკ-
ის 799-ე მუხლი კომენტარი, www.gccc.ge ბოლო დამუშავება 14 მარ-
ტი, 2016 წ.; იხ. სუსგ №ას-663-624-2011, 17.02.2012 წ.).

16. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სა-
სამართლოს ამ განჩინების 8.2-8.12 ქვეპუნქტებში ასახულ ფაქ-
ტობრივ-სამართლებრივ მსჯელობასა და დასკვნებს. საკასაციო სა-
სამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ვერ დაძლია მისი წილი მტკი-
ცების ტვირთი მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან
გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე, რამაც სარ-
ჩელის დაკმაყოფილება განაპირობა. კასატორი თავად აღნიშნავს,
რომ მან მზღვეველის მიერ მოთხოვნილი პრემია აღარ გადაიხადა,
მან საკუთარი გაანგარიშებით შეასრულა გადახდა (იხ. ამ განჩინე-
ბის 9.3 ქვეპუნქტი).

17. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსები-
თად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დად-
გენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ
გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებ-
ლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნუ-
ლი კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და
სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვებილების უც-
ვლელად დატოვების საფუძველია.

18. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო კასატორის მიერ გა-
დახდილი სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩება
(სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტით და

და აღზინა:

1. სპს იურიდიული ფირმა „ა. თ-ძე, კ. პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

ამხანაგობის წევრები

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-622-594-2016

16 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2004 წლის 4 ოქტომბერს შპს „ა-სსა“ (შემდეგში – პირველი მოპასუხე) და ა. ო-ას (შემდეგში: ყოფილი მონაწილე ან არასათანადო მოპასუხე) მიერ დაფუძნებული ინდივიდუალურ მე-თა ამხანაგობა „ს-ის“, 15.06.2005 წლიდან „ა-ს პ-ის“ (შემდეგში – ამხანაგობა, მეორე მოპასუხე) მიზანი იყო თბილისში, ს-ს ქ. №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთის შესყიდვა და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის აშენება (შემდეგში – მრავალბინიანი სახლი).

2. 15.06.2005 წლის წერილობითი შეთანხმებით, ამხანაგობის ყოფილმა მონაწილემ შ. ბ-დ-ს (შემდეგში: წილის მიმღები, მესამე მოპასუხე) გადასცა თავისი წილი ამხანაგობაში. ამხანაგობის 15.06.2005წ. №5 კრების ოქმით, ყოფილი მონაწილე გავიდა ამხანაგობიდან და მის ნაცვლად განწევრიანდა წილის მიმღები.

3. 2005 წლის 21 ივლისს ამხანაგობას, დ. ს-ს (შემდეგში – მოსარჩელე, შემკვეთი) და სს „ს. ბ-ს“ შორის გაფორმებული „საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ“ ხელშეკრულების მიხედვით, ამხანაგობაში 63 149 აშშ დოლარის შენატანის სანაცვლოდ, მოსარჩელეს უნდა მიეღო მრავალბინიანი სახლის მე-5 სადარბაზოში, მე-3 სართულზე, ბინა №50. 09.06.2006 წლის მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანი გაიზარდა 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რომლის სანაცვლოდ, შემკვეთი მიიღებდა 2,5მ სიგანის ადგილს საერთო ავტოფარეხში.

4. ამხანაგობასა და შპს „მ-ეს“ (შემდეგში – მეოთხე მოპასუხე)

შორის 20.10.2005 წელს გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც ეს უკანასკნელი ამხანაგობის წევრი გახდა და მისი შენატანი იყო თბილისში, ს-ს ქ. №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (იმავე შინაარსისაა ამავე მხარეებს შორის გაფორმებული 28.10.2005 წლისა და 06.03.2006 წლის ხელშეკრულებები).

5. 06.01.2012 წელს ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება 21.07.2005 წლის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც გაუქმდა ამხანაგობის ვალდებულება სხვადასხვა სახის, ჯამში 6 876 ლარის ღირებულების, სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს სრულად ჰქონდა გადახდილი 68 149 აშშ დოლარი, ამხანაგობას წარმოეშვა მისთვის 6 876 ლარის დაბრუნების ვალდებულება. მხარეები შეთანხმდნენ თანხის დაბრუნების გრაფიკზეც – 29.04.2012 წლიდან 29.03.2013 წლამდე ყოველთვიურად 573 ლარის გადახდით.

6. 09.01.2012 წელს ამხანაგობას, მოსარჩელესა და ხ. მ-ძეს (შემდეგში – მესამე პირი) შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების თანახმად, მოსარჩელემ 21.07.2005წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე საცხოვრებელი ბინისა და ავტოფარეხში ადგილის მიღების უფლება დაუთმო მესამე პირს, 95 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, შეთანხმებისვე თანახმად, მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის 06.01.2012წ. გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული 6 876 ლარის მოთხოვნის უფლება მესამე პირზე არ გადავიდა.

7. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში მოსარჩელეს 6 876 ლარი არ დაუბრუნდა.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობისა და მისი წევრებისათვის, შპს „ა-თვის“, შპს „მ-ესათვის“ და ა. ო-ასათვის ხელშეკრულებით ნაკისრი 6 876 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 1090,59 ლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

9. მოსარჩელე ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაბრუნებელი 6 876 ლარის გარდა, მოპასუხეებმა მას უნდა აუნაზღაურონ მიუღებელი შემოსავალი, რამდენადაც ამ თანხის სხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში, მიიღებდა სარგებელს, რაც სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო მოპასუხეთათვის, რამდენადაც ფული არის სამოქალაქო ბრუნვის ყველაზე გავრცელებული ობიექტი. თანხის, სულ მცირე, საბანკო ანგარიშზე განთავსებით, შესაბამისი პერიოდისათვის კომერციულ ბანკებში არსებული საშუალო წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, მიიღებ-

და 1090,59 ლარს.

10. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

10.1. პირველმა მოპასუხემ წარდგენილ შესაგებებელში განმარტა, რომ იგი არ არის იმ ხელშეკრულების მხარე, საიდანაც მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, ის არასათანადო მოპასუხეა და უნდა შეიცვალოს სათანადო მოპასუხით – ამხანაგობით, ანუ საქმეში მოპასუხედ უნდა ჩაერთოს ამხანაგობის ყველა წევრი. პირველი მოპასუხის მოსაზრებით, ამხანაგობამ მოსარჩელეს თანხა უნდა დაუბრუნოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ამხანაგობა სათანადოდ იქნეს მონვეული და წარმოდგენილი სასამართლო პროცესზე.

10.2. ამხანაგობის შესაგებლის მიხედვით, როგორც ერთიანი ორგანიზაციული ფორმა, ვერ გახდება სამოქალაქოსამართლებრივი სუბიექტი. აქედან გამომდინარე, ამხანაგობა არ არის ის სუბიექტი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოსარჩელის მოთხოვნაზე. ბუნდოვანია, კონკრეტულად ამხანაგობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა.

10.3. ამხანაგობის ყოფილმა წევრმა მიუთითა 15.06.2005 წლის ხელშეკრულებასა და ამხანაგობის ოქმზე, რომლის თანახმადაც, მის ნაცვლად ამხანაგობაში შევიდა წილის მიმღები, მასზე გადავიდა უფლება-მოვალეობები. მოსარჩელესთან სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას – 2005 წლის 21 ივლისს იგი აღარ იყო ამხანაგობის წევრი. ამასთან განმარტა, რომ ამხანაგობის წევრობის პერიოდში თავისი ყველა ვალდებულება შეასრულა და ბრალი არ მიუძღვის მოსარჩელის უფლების შესაძლო დარღვევაში. აქედან გამომდინარე, ის არასათანადო მოპასუხეა და მის ნაცვლად საქმეში უფლებამონაცვლე – წილის მიმღები უნდა ჩაერთოს.

10.4. მეოთხე მოპასუხე არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ, რადგან ამხანაგობის თავდაპირველი წევრია, პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. იგი ამხანაგობის ერთ-ერთი წევრია, რომელიც მასში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის აშენების მიზნით, ისევე განწევრდა, როგორც მოსარჩელე და მას მოსარჩელისაგან განსხვავებული ან დამატებით ვალდებულება არ გააჩნია. მოსარჩელის შენატანი ამხანაგობაში იყო ფული, ხოლო მისი – უძრავი ქონება. ამდენად, მეოთხე მოპასუხე მიიჩნევს, რომ იგი არასათანადო მოპასუხეა, ხოლო სათანადო მოპასუხე თავად ამხანაგობაა. ამასთან, მას ამხანაგობის წინაშე შესრულებული აქვს ყველა ვალდებულება, შესაბამისად, არ არსებობს მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულება, რომელსაც შესაძლოა, გამოენვია მოსარჩელის დაზარალება.

10.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომ-

ბრის საოქმო განჩინებით ამხანაგობის ყოფილი წევრი, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – წილის მიმღებით.

10.6. წილის მიმღებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ამხანაგობაში ის იმავე მიზნით განწევრდა, რომლითაც მოსარჩელე. ამასთან გაუგებარია, მოსარჩელემ რატომ აირჩია ამხანაგობის რამდენიმე წევრი და არა მისი ყველა წევრი, როგორც ამას სსკ-ის 937-ე მუხლი ითვალისწინებს. ამხანაგობის ე.წ. თავდაპირველ წევრებსა და წევრებს შორის სამართლებრივად სხვაობა არ არის. მოსარჩელის მოთხოვნა 06.01.2012 წლის შეთანხმებას ეფუძნება, რომლის მხარეც მეოთხე მოპასუხე არ არის. მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებინა მეოთხე მოპასუხის მიერ რომელი ხელშეკრულების ან რა ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

11.1 პირველ, მესამე და მეოთხე მოპასუხეს (შემდეგში ასევე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც აპელანტები ან კასატორები) სოლიდარულად დაეკისრათ 7 966,59 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ;

11.2. სარჩელი ამხანაგობის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

12. სასამართლომ დავის გადასაწყვეტად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 50-ე, 930-ე, 932-ე, 934-ე, 316.1, 317.1, 327-ე, 361.2, 937.1, 463-ე, 464-ე, 400(ა), 411-ე-413-ე მუხლებით და მიუთითა შემდეგი:

12.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა (ინდივიდუალურ მეთა ამხანაგობა) არ არის იურიდიული პირი, არამედ ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად. ამხანაგობა დამოუკიდებლად, წევრთა გარეშე, ვერ იქნება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და არ წარმოეშობა უფლება-მოვალეობები, ის არ შეიძლება, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება არ წარმოადგენს კორპორაციული ტიპის გაერთიანებას. კანონმდებლობით დადგენილია არა ცალკე ამხანაგობის, არამედ ამხანაგობის წევრთა (ხელშეკრულების მონაწილეთა) პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სარჩელზე პასუხისმგებელი პირი ამხანაგობა დამოუკიდებლად – მისი წევრების გარეშე, ვერ იქნება. ამდენად, სარჩელი ამხანაგობის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

12.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის მონაწილეთა დაწარჩენი სამი მოპასუხის სოლიდარული პასუხისმგებლობა მოსარ-

ჩელის მიმართ წარმოშობილი იყო 06.01.2012წ. ხელშეკრულებით, რომელიც ამხანაგობის მონაწილეთა სახელით გააფორმა ამხანაგობის თავმჯდომარემ. ამ ხელშეკრულების მხარეები პირველი და მესამე მოპასუხე იყვნენ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მეოთხე მოპასუხეც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილე იყო, რაც მისმა წარმომადგენელმაც დაადასტურა. შესაბამისად, მათ სოლიდარულად დაეკისრათ 6 876 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

12.3. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე ვერ იქნება მიჩნეული ამხანაგობის წევრად, ვინაიდან ამხანაგობის წევრობის განმსაზღვრელი არის არა ხელშეკრულების სახელწოდება ან ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები, არამედ ის უფლება-მოვალეობები, რომლითაც სარგებლობენ სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები. 2005 წლის ხელშეკრულებით მოსარჩელის ვალდებულება თანხის გადახდით შემოიფარგლა, რის სანაცვლოდ მას საცხოვრებელი ბინა უნდა მიეღო. მას მოგების (შემოსავლის) მიღების მიზანი არ ამოძრავებდა, არ მონაწილეობდა ამხანაგობის საქმიანობის მართვასა და გაძღოლაში, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მოპოვებაში, მშენებლობის პროცესში და ა.შ. მისი ინტერესი აშენებულ კორპუსში ბინის მიღება იყო. ამდენად, მიუხედავად 21.07.2005წ. ხელშეკრულების სახელწოდებისა (ამხანაგობაში წევრად მიღება), ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის დადებული ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით, ნარდობა იყო. ამიტომ სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება, რომ მოსარჩელეც ისეთივე წევრია ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილე), როგორებიც თავად არიან.

12.4. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დაწესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც იგი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის შეგროვებად ანაბარზე განთავსების შედეგად. ამასთან, სასამართლომ მოსარჩელის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის ოდენობა გონივრულად მიიჩნია და სარჩელი ამ ნაწილშიც დააკმაყოფილა.

13. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააკველიციო წესით გაასაჩივრეს და შემდეგ საფუძვლებზე მიუთითეს:

13.1. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე დავაზე მოპასუხეებად დასახელებული უნდა იყვნენ ამხანაგობის „თავდაპირველი წევრები“ და ამიტომ, ისინი პასუხისმგებელი არიან სხვა წევ-

რების მიმართ. აღნიშნული არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს. სსკ-ის 930-ე-940-ე მუხლებით, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები რიგითობით არ იყოფიან, საქმიანობის შემდგომ მონაწილეს არ გააჩნია რაიმე პრივილეგია ერთობლივი საქმიანობის უფრო ადრინდელ ან პირველ წევრთან მიმართებით და ამხანაგობის პირველ წევრს იმავე პრინციპით ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც ამხანაგობაში შემდგომ გაერთიანებულ წევრებს.

13.2. პირები გაერთიანდნენ ამხანაგობაში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად. ამ მიზნით გაერთიანდა არა მხოლოდ პირველი ხელმომწერი პირები (წევრები), არამედ ყოველი წევრი, მათ შორის, მოსარჩელეც. სრულიად გაუგებარია, თუ რა პრინციპით მიიჩნია სასამართლომ მოსარჩელისა და ამხანაგობის ურთიერთობა ნარდობად და რატომ არ მიიჩნია ასეთად, მაგალითად, მეოთხე მოპასუხისა და ამხანაგობის ურთიერთობა. არ არის დასაბუთებული, თუ კანონმდებლობის რომელ ნორმებზე დაყრდნობით განსაზღვრა სასამართლომ მოპასუხეთა პასუხისმგებლობა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რა ევალეზოდან მოპასუხეებს ამხანაგობის მიმართ, დავასკვნით, რომ მათ და მოსარჩელეს შორის რაიმე ვალდებულებაზე საუბარი ზედმეტია, შესაბამისად, ისინი არ შეიძლება, იყვნენ პასუხისმგებელი პირები.

13.3. აპელანტის განმარტებით, ზიანის ანაზღაურებისათვის მოვალის ვალდებულება უნდა იყოს დარღვეული, უნდა ვლინდებოდეს ზიანი, ბრალი და არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასა და შედეგს შორის. ამ ფაქტების დაუდგენლად, მტკიცებულებების არარსებობის ფონზე, მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებსა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

15. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ სწორად შეფასდა მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

15.1. პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა სარჩელზე პასუხისმგებელი პირები და მართებულად მიუთითა, რომ ამხანაგობა დამოუკიდებლად – მისი წევრების გარეშე, პასუხისმგებელი სუბიექტი ვერ იქნება.

15.2. პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა პრეტენზია, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებად. მოსარჩელეს ამხანაგობის დამფუძნებლებისგან განსხვავებული სამართლებრივი კავშირი აქვს ამხანაგობასთან, კერძოდ, მოსარჩელე ერთობლივი საქმიანობის მონაწილე არ გამხდარა, არამედ ელოდებოდა ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ აშენებული საცხოვრებელი ბინიდან განსაზღვრული ფართის მიღებას, შესაბამისი საზღაურის სანაცვლოდ. იგი თავად არ საქმიანობდა, არამედ წინასწარ იხდიდა თანხას კორპუსის მშენებლობის დასრულების შემდგომ კუთვნილი ფართის მისაღებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით. მათ მიუთითეს სააპელაციო საჩივრის იდენტურ პრეტენზიებზე, კერძოდ, კასატორთა ძირითადი პრეტენზია ამხანაგობის წევრთა თავდაპირველ წევრებად და შემკვეთებად (ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) დაყოფას უკავშირდება.

16.1 კასატორები მიიჩნევენ, რომ მათ მოსარჩელის წინაშე პირად პასუხისმგებლობას საფუძველი არ გააჩნია. მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომლის მხარეებიც მოპასუხეები არ არიან. პრაქტიკა, რომელსაც ქვედა ინსტანციის სასამართლოები ამკვიდრებენ, კერძოდ, ნებისმიერი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ურთიერთობისათვის, რომლის პირდაპირი მონაწილეც იგი არ ყოფილა, არასწორია.

16.2. სასამართლომ იმსჯელა, თუ ვის რა ევალებოდა ამხანაგობაში და ამ ფაქტობრივ გარემოებათა დადგენის შემდეგ უსაფუძვლოდ დააკისრა მოპასუხეებს თანხის გადახდა, მით უმეტეს, მეოთხე მოპასუხეს, რომელსაც მხოლოდ შესატანის შეტანა ისევე ევალებოდა ამხანაგობაში, როგორც მოსარჩელეს.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

20. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შემკვეთის მიერ მენარდის მიმართ თანხის დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში). მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობებია: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა, მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა, შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება, ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი, სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადასაცემების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

21. მოცემულ შემთხვევაში, ძირითად ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 6 876 ლარის გადახდის ვალდებულება აღარ არსებობს და ეს თანხა მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს. მოსარჩელის უფლებას, დაიბრუნოს 6 876 ლარი, მოპასუხე არ ედავება. სადავოა ის, თუ ვის მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება ანუ, ვისი ვალდებულებაა თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნება. კასატორთა პრეტენზიის მიხედვით, ისინი არასათანადო მოპასუხეები არიან. პირველი და მე-სამე მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, სათანადო მოპასუხეა ამ-

ხანაგობა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს მისი ყველა წევრით. მეოთხე მოპასუხე მიიჩნევს, რომ ამხანაგობასთან თავად და მოსარჩელის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს შორის სხვაობა არ არსებობს, შესაბამისად, სასამართლოს ან მეოთხე მოპასუხეც შემკვეთად უნდა მიეჩნია, ან მოსარჩელე ამხანაგობის ისეთივე წევრად უნდა განეხილა, როგორც თვითონაა.

22. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი და მესამე მოპასუხის ზემოხსენებულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ამხანაგობის ვალებისათვის მესამე პირების წინაშე ამხანაგობის წევრების სოლიდარული პასუხისმგებლობა სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს (ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირველი და მესამე მოპასუხე ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან, რასაც არც თავად ხდიან სადავოდ. მათი პრეტენზია ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ე.წ. დამფუძნებელი წევრები არიან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, წევრთა დიფერენცირებას არ ახდენს.

ამასთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობაში მხოლოდ იმ მიზნით შევიდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათთვის ბინა აეშენებინა. პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს (შდრ. სუსგ №ას-374-351-2014 6.02.2015წ; №ას-160-156-2016, 29.07.2016წ; №ას-866-808-2017, 17.10.2017წ). შესაბამისად, ხელშეკრულების ტიპის განსაზღვრისათვის იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო თავდაპირველი წევრი და ვინ გახდა შემდგომ, კასატორები სააპელაციო სასამართლოს განმარტებას როგორც ხსნიან, არამედ – ხელშეკრულების შინაარსსა და მხარეთა მიზანს. ამდენად, პირველი და მესამე მოპასუხე, როგორც ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები, რომლებიც ამხანაგობის სახელით ეკონომიკური საქმიანობას ეწეოდნენ, სოლიდარულად აგებენ პასუხს ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის.

აქედან გამომდინარე, პირველი მოპასუხე, ისევე, როგორც მესამე მოპასუხე, სათანადო მხარეა.

23. ქვემოთ მოცემულ მოსაზრებათა გამო, დაუსაბუთებელია, მეოთხე მოპასუხის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ისეთივე სამართლებრივი ურთიერთობა აქვს ამხანაგობასთან, როგორც მოსარჩელეს.

23.1. ერთობლივი საქმიანობის სამართლებრივი ბუნების შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომლის მიზანია კონკრეტული ნაკეთობის დამზადება. როგორც ნარდობის შემთხვევაში, იგი ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ერთ-ერთი წევრი შეიძლება, იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი (ორი ან მეტი) თანხმდება ერთობლივი ძალებით, თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე, ერთმანეთს შორის და, ასევე, მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მონწილეებას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის როგორც ორგანიზაციული, ასევე – ქონებრივი ელემენტები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით (მდრ. სუსგ №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.)

23.2. მოცემულ შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2005 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგანია თბილისში ს-ს ქუჩა №32-ში არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გამოთავისუფლებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობების აშენების მიზნით ერთობლივი საქმიანობის განხორციელება და ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა შორის საცხოვრებელი და (არასაცხოვრებელი) ფართის განაწილება.

ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მეოთხე მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის მონაწილეა. მისი შესატანი ამხანაგობაში მიწის ნაკვეთი იყო, რომელზეც უნდა აშენებულიყო მრავალბინიანი სახლი.

ამავე ხელშეკრულების მიხედვით, პირველი მოპასუხის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის დაპროექტება, პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მოპოვება, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება და ფინანსური უზრუნველყოფა, ხოლო მეოთხე მოპასუხის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. ამდენად, ცალსახაა, რომ მინის ნაკვეთის მესაკუთრემ და კომპანიამ გადაწყვიტეს, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთობლივად აშენება, რისთვისაც დააფუძნეს ამხანაგობა და შესაბამისი შესატანები შეიტანეს ამხანაგობაში (სსკ-ის 930-ე და 932-ე მუხლები).

23.3. საყურადღებოა, რომ მეოთხე მოპასუხის მოვალეობას წარმოადგენდა მშენებლობის წარმოების ხელშეწყობაც (ხელშეკრულების 3.4 პუნქტი). ამდენად, მესაკუთრის ვალდებულება ერთობლივ საქმიანობაში მხოლოდ მინის ნაკვეთის შეტანით არ შემოიფარგლებოდა, რის გამოც პალატა არ იზიარებს მეოთხე მოპასუხის პრეტენზიას, რომ მას, მოსარჩელის მსგავსად, მხოლოდ შენატანის შეტანის ვალდებულება ჰქონდა. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულება, თავისი სამართლებრივი არსით, ამხანაგობისა და არა – წარდობის ხელშეკრულებაა, შესაბამისად, მეოთხე მოპასუხე ამხანაგობის დამფუძნებელი წევრია, რის გამოც, ამხანაგობის სხვა წევრებთან – პირველ და მესამე მოპასუხესთან ერთად, იგი სოლიდარულადაა პასუხისმგებელი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის (სსკ-ის 937.1).

24. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, 2005 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე გაამახვილოს ყურადღება, რამდენადაც მეოთხე მოპასუხე გარკვეულწილად იმაზეც მიუთითებდა, რომ მოსარჩელის მიზანსაც სახლის მშენებლობა წარმოადგენდა და მას ამხანაგობასთან წარდობის ხელშეკრულება არ დაუღია. ამ მიმართებით საკასაციო პალატა მოიხმობს მსგავს საქმეზე საკასაციო სასამართლოს განმარტებას: მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ხელშეკრულება მხარეებმა დაასათაურეს, როგორც „საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ“ ხელშეკრულება, ის ამხანაგობაში მოსარჩელის მიღების საფუძველად ვერ მიიჩნევა, რადგან საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას თავისი სპეციფიკა გააჩნია. სსკ-ის 930-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლი-

ვად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშნდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აზუსტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარი წინაპირობაა, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე (მდრ. სუსგ №ას-630-597-2014, 28.07.2015წ; №ას-866-808-2017, 17.10.2017წ). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან სახელშეკრულებო თვითობჯვის ფარგლებში იკისრა ვალდებულება, ერთობლივად ემოქმედა ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად ამხანაგობის მიზნების მისაღწევად და ამ მიზნების მიღწევისას წარმოშობილ ვალდებულებებზე აიღო პასუხისმგებლობა. 2005 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ამხანაგობას მისთვის ბინა აეშენებინა, განსხვავებით კასატორებისაგან, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ამხანაგობაში წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულებაში, მოსარჩელის მოხსენიება ამხანაგობის წევრად ამ ხელშეკრულებას შინაარსს არ უცვლის და არ ქმნის საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ მოსარჩელე ამხანაგობის მონაწილე წევრად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირად მივიჩნიოთ.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

26. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-სის“, შპს „მ-ესა“ და შ. ბ-დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მესამე პირისთვის წილის გადაცემის დაუშვებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-570-541-2014

31 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა, ამხანაგობის წევრობის შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის (შემდეგში – აღმასრულებელი კომიტეტი) 1985 წლის 25 მაისის №329 გადაწყვეტილებით, №... კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის, ... დასახლებაში, ... ქუჩაზე გამოიყო მიწის ნაკვეთი. ამავე კომიტეტის 1989 წლის 29 ივნისის №410 გადაწყვეტილებით ... ქუჩა №19-ში პედაგოგთა საუნჯე 42-ე საბინაო სამშენებლო კოოპერატივის (შემდეგში – კოოპერატივი) წევრებად დამტკიცდნენ მოქალაქეები თანდართული სიის მიხედვით, სულ 30 წევრი.

2. აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 18 ოქტომბრის №724 გადაწყვეტილებით კოოპერატივის წევრთა სიას დაემატნენ ახალი

წევრები. საბოლოოდ, კოოპერატივი 50 წევრით განისაზღვრა, მათ შორის იყვნენ: ც. კ-ვა, ნ. გ-ძე, ვ. ბ-ძე, ი. გ-ე, ე. ჩ-ძე (შემდეგში – მოსარჩელები).

3. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, კორპუსი ცხრასართულიანი უნდა აშენებულიყო. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ დასრულებულა, აშენდა მხოლოდ ოთხი სართული.

4. 2007 წლის 25 აპრილს ჩატარდა „... საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა საერთო კრება“. კრების №4 ოქმის თანახმად, დაკმაყოფილდა კოოპერატივის 12 წევრის, მათ შორის, ნ. ზ-ძის (შემდეგში – მოთხოვნის ყოფილი მფლობელი ან კოოპერატივის ყოფილი წევრი) განცხადება კოოპერატივის წევრობიდან გასვლის თაობაზე. კრების გადაწყვეტილებითვე დაკმაყოფილდა 12 მოქალაქის, მათ შორის – ი. ბ-ძის (შემდეგში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) განცხადება კოოპერატივის წევრად მიღების თაობაზე. კრების ოქმში მითითებულია, რომ „კოოპერატივის ახალი წევრები ინდივიდუალურად დაუფარავდნენ ბინის მშენებლობისათვის განხორციელებულ შენატანებს კოოპერატივის ყოფილ წევრებს“.

5. 2007 წლის 28 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს №162 განკარგულებით გადაწყდა კოოპერატიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღება, ხოლო 2008 წლის 3 ივლისის ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა (№01-01/21 ბრძანებით) სახლი ექსპლუატაციაში მიიღო. 2008 წლის 19 სექტემბერს მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრში ამხანაგობის საკუთრებად აღირიცხა.

6. 2008 წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ამხანაგობა – ...-მა“ (შემდეგში – ამხანაგობამ), მიიღო წესდება. წესდებაზე თანდართული სიის მიხედვით ამხანაგობა 25 წევრით განისაზღვრა, მათ შორის იყვნენ: ი. ბ-ძე, მ. ქ-ძე, ს. ქ-ძე, რ. ფ-ძე, დ. თ-ძე, ს. ბ-ძე, ი. გ-ძე, ბ. გ-ძე, თ. გ-ძე, გ. დ-ძე, ლ. მ-ძე, ა. ნ-ძე, ნ. ა-ძე და ხ. ი-ძე (შემდეგში – მოპასუხეები).

7. ამხანაგობის საერთო კრებამ 2008 წლის 3 ოქტომბერს (№5 ოქმი) ბინები ამხანაგობის 25 წევრზე გაანაწილა.

8. საერთო კრებამ 2011 წლის მაისში (№16 ოქმი) მოსარჩელები, როგორც კოოპერატივის ყოფილი წევრები, ამხანაგობის წევრებად მიიღო ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული არასაცხოვრებელი ფართისა (241 მ²) და მათ მიერ განხორციელებული შენატანების ფარგლებში.

9. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვეს:

– 2007 წლის 25 აპრილის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნო-

ბა;

– მოპასუხეთათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტა.

10. მოსარჩელეთა მტკიცებით, მოპასუხეები ამხანაგობის წევრები გახდნენ თვითნებურად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მათ ფულადი შენატანი კოოპერატივში არ შეუტანიათ და არც რაიმე საბუთით არ დასტურდება მათი წევრობა ამხანაგობაში.

11. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე – მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ კოოპერატივის წევრებმა, რომლებმაც თავის დროზე (1989-92 წლებში) შეიტანეს შენატანები ბინათმშენებლობისათვის (პაი), 1993-98 წლებში ცხოვრება დაიწყეს მშენებლობამიტოვებულ სახლში. შემდგომ თავიანთი უფლებები დაუთმეს მოპასუხეებს, შესაბამისად, ამხანაგობის წევრობის უფლება მოპასუხეებმა შეიძინეს. ამასთან, მოსარჩელებმა გაუშვეს მოთხოვნის ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა. ამხანაგობამ ისინი წევრებად 2011 წელს მიიღო და არც ამხანაგობის დაფუძნებაზე და არც მოპასუხეთა წევრობაზე აქამდე არ შესდავებია. რაც შეეხება კრებას, კოოპერატივის ყოფილი წევრები უფლებასილი იყვნენ, ჩაეტარებინათ კრება იმ შემადგენლობით, რომლებიც ფაქტობრივად ფლობდნენ და სარგებლობდნენ საცხოვრებელი ფართით. იმ პირებს, რომლებმაც სადავო კრება მოიწვიეს 1993-1998 წლიდან, ინდივიდუალურ საკუთრებასა და მფლობელობაში ჰქონდათ სადავო ბინები, ამასთან, ისინი იყვნენ მეპაიეები, რომელთაც შენატანების შესაბამისად დაიწყეს ცხოვრება სადავო სახლში, რომლის მხოლოდ 4 სართული იყო აშენებული, ისიც კონსტრუქციის დონეზე. მათ განიეს უამრავი ხარჯი, რომ საცხოვრებელი პირობები შეექმნათ. ყოფილი კოოპერატივის დანარჩენმა წევრებმა ინტერესი დაკარგეს სადავო ბინის მიმართ. ეს ინტერესი მათ 2010 წელს გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც ამხანაგობამ მიიღო გადაწყვეტილება, ინვესტორს დაესრულებინა მშენებლობა.

12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

– სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 25 აპრილის კოოპერატივის წევრთა საერთო კრების №4 ოქმი და მოპასუხეებს ამხანაგობის წევრობა შეუწყდათ.

13. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 50-ე, 54-ე, 59-ე, 208-ე-232-ე, 1512-ე მუხლები, სსრ-ის საბინაო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი აბზაცი და დაასკვნა, რომ მოსარჩელები, საპაიო შენატანის სანაცვლოდ, საბინაო-სამშენებლო კო-

ოპერატივის წევრები გახდნენ, კოოპერატივის უფლებამონაცვლეა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ხოლო გასაჩივრებული ოქმი, თავისი შინაარსით – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი.

13.1. სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა, მოითხოვდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის ინფორმირებას კრების ჩატარებასა და მასზე გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, ყოფილი კოოპერატივის წევრთა ცვლილება, გასვლა და ახალი წევრების უკვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრად მიღება, რომელიც იმავდროულად ამხანაგობის საერთო ქონების მესაკუთრე ხდებოდა, ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას საჭიროებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილი წესი დაცული არ იყო.

13.2. ბინათმშენებლობის ამხანაგობაში წევრად მიღებას სხვადასხვა წინაპირობები აქვს. ამხანაგობის წევრი საბოლოოდ ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ქონების თანამესაკუთრე ხდება, მაგრამ ამ უფლების მოსაპოვებლად ამხანაგობის წევრებს გარკვეული ვალდებულებები აქვთ, რომელთა შესრულებაც, კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხებმა ვერ დაადასტურეს.

13.3. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მტკიცება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ მოპასუხეთა წევრობის შესახებ მოსარჩელეთათვის ცნობილი გახდა ამხანაგობის წევრად აღდგენის შემდეგ – 2011 წელს, ხოლო 2007 წლის 25 აპრილს ჩატარებული კრების შესახებ მათთვის უცნობი იყო.

13.4. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეების – რ. ფ-ძის, ს. ბ-ძისა და ბ. გ-ის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტაზე არ იმსჯელებდა, რამდენადაც ისინი 25.04.2007 წლის კრების ოქმში მითითებული არ იყვნენ, ხოლო ის გადაწყვეტილება, რომლითაც ისინი ამხანაგობის წევრები გახდნენ მხარეებს არ წარუდგენიათ.

14. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეთა ნაწილმა – ი. ბ-ძემ, ს. ქ-ძემ, რ. ფ-ძემ, დ. თ-ძემ, ი. გ-ძემ, თ. გ-ძემ, ლ. მ-ძემ, ა. ნ-ძემ და ხ. ი-ძემ (შემდეგში – აპელანტები) სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

14.1. სასამართლომ არ შეაფასა გარემოებები, რომლებიც მოსარჩელეთა მიერ მითითებულის საპირისპიროს ადასტურებდა, კერძოდ, საქმეში განთავსებულია ყოფილი კოოპერატივის წევრე-

ბის მიერ, რომლებმაც კოოპერატივის წევრობის უფლება დაუთმეს აპელანტებს, კოოპერატივში პაის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

14.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა გასაჩივრებული კრების ოქმი. რეალურად 2007 წლის 25 აპრილს, სადავო უძრავ ქონებაში ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები შეიკრიბნენ და კრების ოქმით ის ფაქტი დაადასტურეს, რომ სადავო ბინაში მცხოვრები მოქალაქეები, ყოფილი კოოპერატივის წევრებისაგან მიღებული უფლებების საფუძველზე, ნამდვილად არიან იმავე უფლებით აღჭურვილი, რაც მათ წინამორბედებს ჰქონდათ. აპელანტთა განმარტებით, მათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა შეიძინეს არა 2007 წლის 25 აპრილის №4 კრების ოქმით, არამედ ყოფილი კოოპერატივის წევრების მიერ გამოხატული ნებით, მათ გარიგების საფუძველზე მიღებული უფლება გადასცეს აპელანტებს.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით:

– აპელანტთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

– გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება აპელანტთათვის (გარდა კასატორისა) ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

– სარჩელი აპელანტთათვის (გარდა კასატორისა) ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა;

– 2007 წლის 25 აპრილის კოოპერატივის წევრთა საერთო კრების №4 ოქმის ბათილად ცნობისა და კასატორის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15.1. სააპელაციო პალატამ განიხილა თითოეული აპელანტის ამხანაგობის წევრად მიღების საკითხი და დაადგინა, რომ ისინი კანონშესაბამისად გახდნენ ამხანაგობის წევრები, კერძოდ, ამხანაგობის წევრობა კოოპერატივის წევრებისაგან (რომელთა კოოპერატივის წევრობა, თავის მხრივ, სათანადო მტკიცებულებებით დასტურდებოდა) მოთხოვნის დათმობის გზით შეიძინეს და მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

15.2. რაც შეეხება კასატორის ამხანაგობის წევრობას, პალატამ მიუთითა, რომ თავად კასატორის განმარტებით, მას მოთხოვნა დაუთმო ამხანაგობის წევრმა ა. ზ-ის მეუღლემ – ნ. ბ-ქემ. უფლების დათმობის თაობაზე განცხადება მართლაც იყო წარმოდგენილი საქმეში, თუმცა თავად მოთხოვნის მფლობელის წევრობა და მის მიერ საპაიო შენატანის შეტანა ამხანაგობაში საქმეში განთავსე-

ბული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა, კერძოდ, იგი არ იყო მოხსენიებული არც თავდაპირველად გამოქვეყნებულ საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის წევრთა სიაში და არც შემდგომ კორექტირებულ სიაში. ამასთან, საქმეში არ მოიპოვებოდა გადახდის ქვითარი, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ კოოპერატივში თანხის შეტანა. ამდენად, კასატორის ამხანაგობაში განწევრების საფუძველი გახდა მოთხოვნის დათმობა, რომელიც სააპელაციო პალატამ არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულად მიიჩნია, რადგან არ დგინდებოდა მოთხოვნის არსებობის სამართლებრივი საფუძველი.

15.3. რაც შეეხება ამხანაგობის წევრთა 2007 წლის 25 აპრილის საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობას, ამ ნაწილში სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოება, რომ ამხანაგობამ კრების მოწვევისა და ჩატარების კანონით გათვალისწინებული წესი დაარღვია, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო კრების ოქმის ბათილობა აპელანტთა ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის საფუძველი ვერ გახდებოდა, რამდენადაც ისინი ამხანაგობაში ნამდვილი სამოქალაქო გარიგებების საფუძველზე შევიდნენ.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კასატორმა (მოპასუხემ) საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით მის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

16.1. სასამართლომ ისე წარმოადგინა, თითქოს, კოოპერატივის წევრთა სია 1989 წლის შემდეგ აღარ შეცვლილა. მოთხოვნის ყოფილი მფლობელი მეუღლესა და შვილებთან ერთად კოოპერატივის წევრი 1992 წლიდანაა, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის 7 ივლისის №544 გადაწყვეტილება;

– მოთხოვნის ყოფილი მფლობელისა და მისი ოჯახის მიერ კოოპერატივში სანევროს – პაის შეტანას ადასტურებს ყოფილი კოოპერატივის თავმჯდომარისა და ხაზინადრის მიერ გაცემული ცნობა 1992 წლის ივლისსა და აგვისტოში 6000 და 6500 რუსული მანეთის გადახდის შესახებ;

– სალაროს წიგნაკის ჩანაწერის მიხედვით, სადაც აღნიშნულია ანაბრის მოძრაობა, 1992 წელს თანხა ჩამოჭრილია კოოპერატივში გადარიცხვის გამო.

16.2. სასამართლომ კოოპერატივის ყოფილი წევრის მეუღლე არაუფლებამოსილ პირად მიიჩნია, მაშინ, როდესაც იგი მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია, როგორც გასაწევრებელი ოჯახის წევრი. სასამართლომ არც ის გარემოება არ გაითვალისწინა, რომ კოოპერატივის ყოფილი წევრი, რომელიც აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო სამსახურში მუშაობდა, ტრაგიკულად დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. მისმა მეუღლემ ვერ აღმოაჩინა მეუღლის მიერ საპაიო შენატანის გადახდის ქვითარი და გადახდის ფაქტი დაადასტურებინა ყოფილი კოოპერატივის თავმჯდომარესა და ხაზინადარს. კოოპერატივის მიმართ დარჩენილი ვალდებულების შესრულება მცირეწლოვან შვილებთან ერთად დარჩენილ მარტოხელა მეუღლეს აღარ შეეძლო და ეს უფლება კასატორს მიჰყიდა. ამასთან, მოთხოვნის ყოფილი მფლობელის ამხანაგობაში განწევრებით კოოპერატივის სიის კორექტირება არ დასრულებულა, მაგალითად, ერთ-ერთი წევრი №153 გადაწყვეტილებით 1999 წელს გახდა წევრი, ხოლო მეორე, №13 გადაწყვეტილებით – 2000 წელს და ა.შ.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ხელახალი განხილვის მიზნით, საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია

(შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-ალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

19. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადან-ყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენე-ბინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი (სსსკ-ის 393.2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-ორე ნაწილი), რისი შედეგიცაა ფაქტობრივად და სამართლებრი-ვად დაუსაბუთებელი გადანყვეტილება.

20. საკასაციო პალატა, უპირველესად, იმ სამართლებრივ ნორ-მებზე გაამახვილებს ყურადღებას, რომლითაც სააპელაციო სასა-მართლომ დავის გადანყვეტისას იხელმძღვანელა. სააპელაციო სა-სამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა კრების ოქმის ბათილად ცნობისა და კასატორისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის თაობაზე სსკ-ის 208-ე-232-ე მუხლებიდან (1997-2007 წლებში მოქმედი რედაქციით) გამომდინარეობდა. ასეთი დასკვნა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 1512-ე მუხლის შინაარსიდან (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იუ-რიდიული პირები, ჩაითვალონ გაუქმებულად 1997 წლის 25 ნოემ-ბრიდან. მათ უფლებამონაცვლეებად მიჩნეულ იქნენ ბინის მესა-კუთრეთა ამხანაგობები ამ კოდექსის 208-ე-232-ე მუხლების მი-ხედვით) გამომდინარეობს, რაკი ამ ნორმის მიხედვით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების უფლებამონაცვლეებად ბინის მე-საკუთრეთა ამხანაგობები იქნენ მიჩნეული.

21. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ მითითებული ნორმები არ ადგენს მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახ-ლის მენაშენეთა (ამხანაგობის წევრთა) უფლება-მოვალეობებს, არამედ უკვე აშენებული (ექსპლუატაციაში მიღებული) სახლის მე-საკუთრეთა სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამდე-ნად, სსკ-ის 1512-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, რომ-ლებიც ეხება დასრულებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში არსებული ბინების მესაკუთრეთა შორის წარმოშობილ უფლება-ვალდებულებებს (შდრ.: იხ. სუსგ №ას-666-887-08, 31.01.2009წ; სუსგ №ას-584-553-2014, 17.12.2015წ.).

22. ნინა პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, რაკი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, 1997 წლის 25 ნოემბრიდან გაუქმდა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად შექმნილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ყოფილ წევრთა უფლება-მოვალეობები, რომლის მშენებლობაც 1997 წლის 25 ნოემბრისათვის დასრულებული არ იყო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეხუთე თავის (ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) დადგენილი ნორმების (სსკ-ის 930-ე-940-ე მუხლები) მიხედვით უნდა მოწესრიგდეს. ეს დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან (იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ). მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სწორედ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ კოოპერატივის ყოფილ წევრსა და მოპასუხეს (კასატორს) შორის წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები, ამიტომ მათ მიმართ ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები უნდა გამოვიყენოთ.

23. საკასაციო პალატა, ვიდრე მხარეთა უფლება-მოვალეობებს ამხანაგობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით შეამოწმებდეს, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობისა და კასატორისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის თაობაზე. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები მოცემულია სსსკ-ის 180-ე მუხლში. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ მომავალში დარღვევის ვარაუდი, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელეს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხებულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. ამდენად, თუ აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე სასამართლო გამოარკვევს, რომ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებელია, სასამართლომ აღიარებითი სარჩელი წარმოებაში არ უნდა მი-

ილოს და არ უნდა განიხილოს.

24. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე არ უთითებს აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესზე (რაც ასეთი სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სსსკ-ის 178.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით). შესაბამისად, გამოსარჩევია მოსარჩელის იურიდიული ინტერესი აღიარებითი მოთხოვნის მიმართ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, უპირველესად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა უნდა შეამოწმოს, კერძოდ, ამხანაგობის კრების 2008 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ამხანაგობის კუთვნილ კორპუსში არსებული ოცდახუთივე ბინა განაწილებულია, მათ შორის, კასატორსაც გადაეცა საკუთრებაში ერთ-ერთი ბინა. მართალია, ამხანაგობის ხსენებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ამხანაგობის 2007 წლის 25 აპრილის საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებაც, მაგრამ ამ უკანასკნელის ბათილად ცნობით, ისევე, როგორც კასატორისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტით, ავტომატურად ვერ გაუქმდება ამხანაგობის 03.10.2008 წლის გადაწყვეტილება ამხანაგობის საკუთრებაში არსებული ბინების ამხანაგობის წევრებისათვის (მათ შორის, კასატორისათვის) განაწილების თაობაზე და ეს ქონება ამხანაგობას ვერ დაუბრუნდება და ვერც მოსარჩელებს ვერ გადაეცემათ საკუთრებაში. შესაბამისად, გასარჩევია, რისი მიღწევა სურთ მოსარჩელებს აღიარებითი სარჩელით, კერძოდ, თუ ისინი ფაქტობრივად ამხანაგობის 03.10.2008 წლის გადაწყვეტილებით მიღებულ შედეგს ედავებიან, მაშინ დასადგენია, მიაღწევენ თუ არა ამ მიზანს წარმოდგენილი აღიარებითი სარჩელით, თუ ამისათვის მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა დასჭირდებათ.

25. თუ, ზემოხსენებულ პუნქტში მითითებული გარემოებების გამორკვევის შემდეგ, სასამართლო აღიარებით სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, მაშინ მან უნდა შეამოწმოს კასატორის ამხანაგობაში წევრად მიღების კანონიერება. კასატორის მტკიცებით, კოოპერატივის ყოფილ წევრს, რომლის ნაცვლადაც იგი ამხანაგობაში შევიდა, საპაიო შესატანის შესაბამისი წილის (ქონებრივი უფლების) მოთხოვნის უფლება გააჩნდა ამხანაგობის მიმართ და მან კოოპერატივის ყოფილი წევრისგან სწორედ ეს მოთხოვნის უფლება შეიძინა.

26. მოთხოვნის უფლების შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 198.1 მუხლი (მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ), ხოლო სსკ-ის 199.1 მუხლი

ადგენს იმ გამონაკლისებს, რა დროსაც მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია (მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ის არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). სსკ-ის 198.2 მუხლის (მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი) შესაბამისად, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია კრედიტორის ცვლილება, კერძოდ, თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებს ახალი კრედიტორი.

27. ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია კასატორის მიერ კოოპერატივის ყოფილი წევრისგან მოთხოვნის უფლების შექცევა, თუმცა ამისათვის უნდა არსებობდეს მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, მათ შორის, მოთხოვნის დამთმობი ამ მოთხოვნის მფლობელი უნდა იყოს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კასატორს მოთხოვნის უფლება არ შეუქცენია, ვინაიდან თავად მოთხოვნის დამთმობს (კოოპერატივის ყოფილ წევრს) არ გააჩნდა ეს უფლება, კერძოდ, კასატორმა ვერ დაამტკიცა ის გარემოება, რომ მოთხოვნის დამთმობი კოოპერატივის წევრი იყო და მან კოოპერატივში საპაიო შესატანი შეიტანა.

28. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მითითებული დასკვნა ისე გამოიტანა, რომ კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საერთოდ არ შეაფასა, კერძოდ, არ გამოიკვლია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის 7 ივლისის №544 გადაწყვეტილება, რომლითაც მოთხოვნის მფლობელსა და მის ოჯახს კოოპერატივის წევრობის რეკომენდაცია მიეცა, ასევე, არ შეაფასა კოოპერატივის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ მოთხოვნის მფლობელი, ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კოოპერატივის წევრი გახდა. სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა მოთხოვნის მფლობელის (კოოპერატივის ყოფილი წევრის) მიერ კოოპერატივის წინაშე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის, პაის გადაუხდელობის ფაქტი, რომ არ გამოიკვლია კოოპერატივის ყოფილი თავმჯდომარისა და ხაზინადარის მიერ გაცემული ცნობა მის მიერ კოოპერატივში თანხის შეტანის შესახებ.

29. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს

მსჯელობას მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შესახებ, რითაც დაირღვა სსსკ-ის 105-ე მუხლის (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში) მოთხოვნა, რამაც, თავის მხრივ, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

30. გასათვალისწინებელია, რომ კოოპერატივის ყოფილმა წევრმა მოთხოვნის უფლების დათმობით, ფაქტობრივად, თავისი წილი განკარგა ამხანაგობაში. ეს დასკვნა გამომდინარეობს ამხანაგობის კრების სადავო გადაწყვეტილების შინაარსიდან, რომლის მიხედვით, ამხანაგობის ყოფილი წევრი (მოთხოვნის დამთმობი) ახალმა წევრმა (მოთხოვნის მიმღებმა) ჩაანაცვლა ამხანაგობაში. ამხანაგობის წევრის მიერ წილის გადაცემის შესაძლებლობა აღიარებულია კანონით, თუმცა მისი ნამდვილობა ამხანაგობის წევრთა თანხმობაზეა დამოკიდებული. სწორედ ასეთ წესს ადგენს სსკ-ის 933.1 მუხლი (წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსაადები მიზეზის არსებობისას). ამდენად, ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე დადებული წილის გასხვისების ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, იგი მერყევად ბათილია. შესაბამისად, წილის გადაცემა ნამდვილი გახდება, თუ ამხანაგობის წევრები, რომელთაც თავიდან არ გაუციათ თანხმობა, შემდეგში განაცხადებენ თანხმობას, ანუ მოიწონებენ ხელშეკრულებას (სსკ-ის 101-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა განმარტებით ირკვევა, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ამხანაგობის კრების მუშაობაში და, შესაბამისად, არც თანხმობა არ გაუციათ ამხანაგობის ყოფილი წევრის მიერ წილის გასხვისებაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ გარიგების ნამდვილობის დასადგენად საკმარისი არაა მხოლოდ იმ ფაქტის არსებობა, რომ მოსარჩეულებს გარიგების დასადებად თანხმობა არ გაუციათ. ამხანაგობის წევრები, როგორც წესი, ამხანაგობის წევრის ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე, ვალდებული არიან, გასცენ თანხმობა ამხანაგობის წევრის მიერ თავისი წილის გასხვისებაზე. ამ ვალდებულებისაგან ისინი თავისუფლდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პატივსაადები მიზეზი. კანონმდებელი არ აზუს-

ტებს, თუ რა მიიჩნევა პატივსადებ მიზეზად, თუმცა, რაკი ამხანაგობა პერსონალური საზოგადოებაა, რომელშიც წევრთა გაერთიანება ძირითადად თითოეული წევრის თვისებებით, ცოდნითა და გამოცდილებით, ინტერესთა ერთიანობით და ა.შ. არის განპირობებული, შესაძლებელია, პატივსადები მიზეზი შემძენის პიროვნებიდან გამომდინარეობდეს, რომელთან ერთადაც ამხანაგობის საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელია. პატივსადები მიზეზის არსებობის დასადგენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უნდა შეფასდეს მხარეთა განმარტებები და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ამასთან, რაკი ამხანაგობის წევრი ვალდებულია, გასცეს თანხმობა წილის გასხვისებაზე, სწორედ მან უნდა ამტკიცოს ასეთი თანხმობის გაცემაზე უარის თქმის პატივსადები მიზეზის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან წილის გასხვისების ნადვილობის საკითხი, რაც უნდა შეასრულოს საქმის ხელახლა განხილვისას, ვინაიდან სწორედ წილის გასხვისების ნამდვილობაზე დამოკიდებული კასაციონის ამხანაგობის წევრობა.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, პირველ რიგში, მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი უნდა შეამომწოს აღიარებითი სარჩელის მიმართ. თუკი გამოვლინდება, რომ მათ არ გააჩნიათ იურიდიული ინტერესი ასეთი სარჩელის მიმართ ან მათ მიერ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებელი, მაშინ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო აღიარებით სარჩელს დასაშვებად მიიჩნევს, წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, პალატამ უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ისე მიიღოს გადანყვეტილება.

32. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონ-

მება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ამიტომ საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ი. ბ-ძისათვის ამხანაგობა ...-ს წევრობის შეწყვეტის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეების ერთობლივად გაქროლის ვალდებულება

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1070-2018

17 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. ძლიერიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბ-ა“ (შემ-

დეგში: ამხანაგობა) დაფუძნდა 2006 წლის 21 აგვისტოს. მისი მიზანი ქ. თბილისში, ..., ბ-ის ქუჩაზე 50/18 სახლის აშენება და მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამ შენობის, როგორც „ამხანაგობის“ ნევრთა ნილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა იყო (იხ. ხელშეკრულება ამხანაგობის დაფუძნების).

2. დამფუძნებელმა ნევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. კ-ა (შემდეგში: ყოფილი თავმჯდომარე), ხოლო თანათავმჯდომარედ – კ. კ-ა (შემდეგში: თანათავმჯდომარე).

3. ამხანაგობის დაფუძნების შესახებ საანოტარო აქტის 5.1 ქვეპუნქტით განისაზღვრა ამხანაგობის მმართველობის ორგანოები: დამფუძნებელ ნევრთა კრება, ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე.

4. ამხანაგობის დაფუძნების შესახებ საანოტარო აქტის 5.3 ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ამხანაგობას, მესამე პირებთან ურთიერთობასა და სასამართლოში, ერთობლივად წარმოადგენენ, ამხანაგობის სახელით გარიგებებს დადებენ, ხოლო 5.4 ქვეპუნქტით – ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება საჭიროებისამებრ მოინვევა, ამხანაგობის თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის ან ამხანაგობის რომელიმე დამფუძნებელი ნევრის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია, კრების ჩატარების შესახებ, ერთი კვირით ადრე მაინც, ამხანაგობის დამფუძნებლებს დაზღვეული წერილით შეატყობინოს, სადაც კრების ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი საკითხი უნდა იყოს აღნიშნული. კრება უფლებამოსილია, თუ მას ყველა დამფუძნებელი ესწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრება განმეორებით იმავე წესით მოიწვევა და გადაწყვეტილება უნარიანი იქნება, მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად. თითოეულ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება, მიუხედავად მათი წილისა. კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილება. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტია ამხანაგობის თავმჯდომარის ხმა. ამხანაგობის ჩვეულებრივი ნევრები ხმის უფლებით არ სარგებლობენ. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ხელშეკრულებით არ წესრიგდება და რომლის მნიშვნელობაც სცილდება ყოველდღიურ სამეურნეო პროცესს, ნევრთა კრების მიერ გადაწყვეტილებას საჭიროებს.

5. ამხანაგობის 2006 წლის 4 ოქტომბრის დამფუძნებელ ნევრთა კრების ოქმის მიხედვით კრებამ თავისი გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩია გ. მ-ძე (შემდეგში: თავმჯდომარე), ხოლო გამგეობის ნევრებად – გ. ჭ-ა, გ. ლ-ი და ნ. ო-ძე (შემდეგში: გამგეობის ნევრები).

6. სს „პ. ბ. კ-ას“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე, სააქციო საზოგადოება, კორპორაცია) და ამხანაგობას (წარმოდგენილი თავმჯდომარის სახით) შორის, 2011 წლის 5 მაისს, გაფორმდა მემორანდუმი-ჩარჩო ხელშეკრულება ბიზნესთანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კორპორაციისა და ბიზნესპარტნიორის შეთანხმება ბიზნესთანამშრომლობაზე, მათ შორის, ინვესტიციების მოზიდვა, განხორციელება, ინვესტიციების ვარგისიანობის, საბაზრო პირობებში ფასის დადგენა, ანალიზი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულებათა სამართლებრივი და ფინანსური ურთიერთობების შეფასება და სხვა (იხ. ხელშეკრულება).

7. სააქციო საზოგადოებასა და ამხანაგობას (წარმოდგენილი თავმჯდომარის, თანათავმჯდომარისა და გამგეობის წევრების სახით) შორის, 2011 წლის 2 ნოემბერს, გაფორმდა დავალების ხელშეკრულება საინვესტიციო-წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზეც, სააქციო საზოგადოება კისრულობდა ვალდებულებას და უფლებამოსილი იყო, სათანადო ანაზღაურების საფასურად, ამხანაგობის უფლებების დაცვისა და ინტერესების გათვალისწინებით, კორპორაციული, საინვესტიციო-წარმომადგენლობითი მომსახურება უზრუნველყო, მათ შორის: ფულადი სახსრების მოზიდვა, ხელშეკრულებით დადგენილი მიზნობრიობით წარედგინა დამკვეთი მესამე პირებთან ურთიერთობებში, ემოქმედა და წარემართა მოლაპარაკებები დამკვეთთან ერთად ან მის გარეშე, დაედო ხელშეკრულებები, შეესრულებინა ხელშეკრულებით დადგენილი ადმინისტრაციულ-ფინანსური ოპერაციები, ასევე – მენეჯმენტისა და ფულადი სახსრების შეუზღუდავი მართვა, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დადგენილი უზრუნველყოფების მართვა და სხვა (იხ. ხელშეკრულება).

8. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებულ მხარეებს შორის (ამხანაგობას წარმოადგენდნენ თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე), 2011 წლის 2 ნოემბერს, გაფორმდა დავალების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, ამხანაგობამ სააქციო საზოგადოებას უფლებამოსილებები მიანიჭა, მათ შორის: აქტივების/ქონების შეუზღუდავი მართვა და განკარგვა, ასევე, სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება და დარეგისტრირება (იხ. ხელშეკრულება).

9. ერთი მხრივ, შპს „B.G.C.a.I.C.“ (შემდეგში: მეორე მოპასუხე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შპს) და შპს „ბ. თ. ს.“ (შემდეგში: მესამე მოპასუხე) და, მეორე მხრივ, ამხანაგობას (წარმოდგენილი თავმჯდომარის სახით) შორის, 2012 წლის 24 მა-

ის, გაფორმდა მემორანდუმი-ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამხანაგობის თავმჯდომარემ იკისრა ვალდებულება, მეორე მოპასუხესთან, 2012 წლის 30 ივნისს, გაეფორმებინა ხელშეკრულება, პირველ მოპასუხესა და ამხანაგობას შორის, 2011 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ანალოგიური პირობებით.

10. მეორე მოპასუხესა და ამხანაგობას შორის (ნარმოდგენილი თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის და გამგეობის წევრების სახით), 2012 წლის 30 ივნისს, გაფორმდა დავალების ხელშეკრულება საინვესტიციო-ნარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ, ამხანაგობასა და პირველ მოპასუხეს შორის, 2011 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ანალოგიური პირობებით.

11. 2012 წლის 14 სექტემბერს გაიმართა ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება. კრებამ თავისი გადაწყვეტილებით თავმჯდომარეს, თანათავმჯდომარეს და გამგეობის ყველა წევრს უფლებამოსილება შეუწყვიტა და გადააყენა, ასევე, დაადგინა, 2006 წლის 21 აგვისტოს დადებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის დაფუძნების შესახებ) ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. კრება გადაიდო და ჩაინიშნა 2012 წლის 28 სექტემბერს;

12. ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება 2012 წლის 28 სექტემბერს გაიმართა, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებით ამხანაგობის გამგეობის წევრებად მ. გ-ძე, ა. ლ-ძე, მ. ა-ი, ლ. ა-ი და ც. ა-ძე (შემდეგში: პირველი მოსარჩელე) აირჩია;

13. ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება შედგა, ასევე, 2013 წლის 25 იანვარს, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, 2012 წლის 14 სექტემბერის დამფუძნებელთა კრების №2 ოქმი დანართთან ერთად და იმავე წლის 28 სექტემბერის დამფუძნებელთა განმეორებითი კრების ოქმი ბათილად გამოცხადდა. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები პირველი მოსარჩელე და მ. მ-ძე (შემდეგში: მეორე მოსარჩელე) ამხანაგობის წევრობიდან გაირიცხნენ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის სტატუსი გაუქმდა.

14. სარჩელის საფუძვლები

14.1 პირველმა მოსარჩელემ, მეორე მოსარჩელემ, გ. ლ-ძემ, ა. ლ-ძემ, მ. ა-მა, ნ. ო-მა, მ. გ-ძემ, დ. ნ-მა, ლ. ა-მა, კ. ი-მა, რ. ტ-მა, ნ. ხ-ძემ, ი. რ-მა, დ. უ-მა, ი. ხ-მა, გ. ხ-ძემ, ლ. ა-მა, მ. დ-მა, ჯ. დ-მა, ბ. დ-მა, რ. ჩ-მა და ნ. ფ-მა (შემდეგში: მოსარჩელები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის, გამგეობის წევრების, ე. ს-იას (შემდეგში: მეოთხე მოპასუხე, კასატორი), ლ. ჭ-ას (შემდეგში: მეხუთე მოპასუხე; მოპასუხე ფიზიკური პირები), სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგა-

დოების და მესამე მოპასუხის მიმართ და მოითხოვეს, ბათილად იქნეს ცნობილი: ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობასა და კორპორაციას შორის 2011 წლის 5 მაისს გაფორმებული მემორანდუმი-ჩარჩო ხელშეკრულება ბიზნესთანამშრომლობისა და 2011 წლის 2 ნოემბერს დადებული დავალების ხელშეკრულება საინვესტიციო წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ; ამავე მხარეებს შორის გაფორმებული დავალების ხელშეკრულება; 2012 წლის 30 ივნისს ამავე ამხანაგობასა და მეორე მოპასუხეს შორის დადებული დავალების ხელშეკრულება საინვესტიციო-წარმომადგენლობითი მომსახურებისა და მშენებლობის წარმოების შესახებ; ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მოპასუხესა და ამხანაგობას შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული მემორანდუმი და 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების ოქმი; აეკრძალოთ მოპასუხე ფიზიკურ პირებს, ამხანაგობის წარმომადგენლობითი და მმართველობის ფუნქციის განხორციელება ამხანაგობის არსებობის მანძილზე.

14.2 მოსარჩელებმა, წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითეს და დამატებით განმარტეს, რომ ქ. თბილისში 11987 კვ.მ მიწის ნაკვეთი ამხანაგობის საკუთრებაა. მოსარჩელები წარმოადგენენ ამხანაგობის წევრებს, რაც დასტურდება ამხანაგობის 2006 წლის 21 აგვისტოს სადამფუძნებლო ხელშეკრულებითა და წილის ნასყიდობის ხელშეკრულებებით.

14.3 მოსარჩელებმა სადამფუძნებლო ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტზე (დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში) და 5.2 ქვეპუნქტზე „ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ერთობლივად წარმოადგენენ ამხანაგობას“ მითითებით განმარტეს, რომ წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ხელშეკრულება ბათილია, რადგან სადავო მემორანდუმზე ხელს აწერს მხოლოდ ერთი თავმჯდომარე. შესაბამისად, ხელშეკრულება ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. გარდა აღნიშნულისა, მემორანდუმი გაფორმებულია ამხანაგობის წევრების ყოველგვარი ნებართვის გარეშე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) მე-10 მუხლის მესამე ნაწილი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს იცავს უფლების ბოროტად გამოყენებისგან. სადავო გარიგება სსკ-ის 54-ე, და 59-ე მუხლების საფუძველზეც ბათილია.

14.4 წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში მითითებული ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობის სახელით მოქმედმა პირებმა მოპასუხე სააქციო საზოგადოებას მისცეს უფლებები, ემოქმედა ამხანაგობის სახელით, მათ შორის – ამხანაგობის საერთო საკუთ-

რებაში არსებული ქონების განკარგვის უფლებამოსილება, რისი უფლებაც არ გააჩნდათ. მოსარჩელებმა მოითხოვეს აღნიშნული გარიგების ბათილად ცნობა სსკ-ის 935-ე, 712-ე, 714-ე, 932-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად.

14.5 წინამდებარე განჩინების მე-9 და მე-10 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებების თანახმად, ამხანაგობის სახელით მოქმედმა პირებმა მოპასუხე შპს-ებს მისცეს უფლებები, ემოქმედათ ამხანაგობის სახელით, მათ შორის, მიანიჭეს ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლებამოსილება, რისი უფლებაც არ გააჩნდათ. მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული გარიგება ბათილია სსკ-ის 935-ე, 712-ე, 714-ე, 932-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ასევე, 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის დამფუძნებელი კრების ოქმიც ბათილია, რადგან ამხანაგობის წევრები არ იყვნენ გაფრთხილებული სათანადო წესით, არ შემოწმდა კრების უფლებამოსილება, კრების ოქმს ხელს აწერენ არადამფუძნებელი წევრები და ის ადამიანებიც, რომლებიც არ არიან ამხანაგობის წევრები. კრების ოქმით საკუთრების უფლება გაუუქმდათ ამხანაგობის ორ წევრ მოსარჩელეს, რაც კანონსაწინააღმდეგოა.

14.6 მოსარჩელეთა მოსაზრებით, მოპასუხე ფიზიკურ პირებს ამხანაგობის წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფუნქციის განხორციელება ამხანაგობის მოქმედების ვადაში უნდა აეკრძალოთ, რადგან მათ არაერთხელ დაარღვიეს ამხანაგობის წევრების უფლებები და საკუთარი გადაწყვეტილებებით ზიანი მიაყენეს ამხანაგობას.

15. მოპასუხის შესაგებელი

15.1 მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ (მეორე მოპასუხემ) წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო ხელშეკრულებები დადებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულებების შესახებ ამხანაგობის წევრებმა იცოდნენ. ამასთან, სააქციო საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები ამხანაგობის გამგეობისა და სააქციო საზოგადოების ორმხრივი შეთანხმებით გაუქმდა.

15.2 ამხანაგობის გამგეობის წევრებს, ხელშეკრულების გაფორმების სრული უფლებამოსილება ჰქონდათ, ამ ტიპის გარიგების დადებისათვის, ამხანაგობის წევრების თანხმობა არ სჭირდებოდათ. გამგეობის წევრები ამხანაგობას კეთილსინდისიერად და კანონის მოთხოვნათა დაცვით ხელმძღვანელობდნენ. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, მოპასუხეთა მხრიდან ამხანაგობისათვის საზიანო ქმედებებს.

15.3 2013 წლის 25 იანვრის კრება მოწვეულ იქნა და ჩატარდა დადგენილი წესების შესაბამისად. ამხანაგობის წევრებს შესაბამისი მოსაწვევები გაეგზავნათ და კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები ამხანაგობის ნებას წარმოადგენს.

15.4 სააქციო საზოგადოებამ (კორპორაცია) წარდგენილი შესაგებლით განმარტა, რომ მხოლოდ გამგეობის წერილობითი და საწარმოო წესით დამონებული თანხმობითა და დასაშვები ამხანაგობის ქონების განკარგვა. სააქციო საზოგადოებას ხელშეკრულება ამხანაგობის უფლებამოსილ პირებთან აქვს გაფორმებული. მათ გააჩნიათ აბსოლუტური შეუზღუდავი უფლებამოსილება გენერალური მინდობილობის სახით, თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ დარღვეულა. ინვესტორებისათვის ხელისშემშლელი რომ არ ყოფილიყო ქონების მოცულობის ცვალებადობა, გენერალური მინდობილობა გაფორმდა, რომლის საფუძველზეც სააქციო საზოგადოებამ პასუხისმგებლობა იკისრა, არ დაეშვა ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება თუ შემცირება.

15.5 ამხანაგობასა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სააქციო საზოგადოების (კორპორაციის) მომზადებული დოკუმენტია და მათ მიერ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის მოქმედი.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

16.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხე ფიზიკური პირებისათვის ამხანაგობის არსებობის მანძილზე წარმომადგენლობითი და მმართველობის ფუნქციის განხორციელების აკრძალვის შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობასა და პირველ მოპასუხეს (სააქციო საზოგადოებას) შორის წინამდებარე განჩინების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებები. ასევე, ერთი მხრივ, ამხანაგობასა და, მეორე მხრივ, მეორე მოპასუხეს (შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებას) და მესამე მოპასუხეს შორის, 2012 წლის 24 მაისს, გაფორმებული მემორანდუმი-ხელშეკრულება და ამხანაგობასა და მეორე მოპასუხეს შორის, წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული დავალების ხელშეკრულება. ბათილად იქნა ცნობილი, ამხანაგობის 2013 წლის 25 იანვრის დამფუძნებელთა კრების ოქმიც.

16.2 საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 59-ე, 930-ე, 932-ე, 934-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე, ამხანაგობის მიზანს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა წარმოადგენდა, რომლის მისაღ-

წევად წევრებმა ამხანაგობაში შენატანები განახორციელეს. საქალაქო სასამართლომ სადამფუძნებლო ხელშეკრულების 5.1 და 5.3 ქვეპუნქტებზე (5.1 და 5.3 ქვეპუნქტების დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 და მე-4 პუნქტებში) მითითებით განმარტა, რომ სადავო ხელშეკრულებები წარმოადგენს დავალების ხელშეკრულებებს, რომლის თანახმად, ამხანაგობის სახელით მოქმედმა პირებმა ხელშეკრულებების მონაწილე მოპასუხეებს გარკვეული დავალებები მისცეს. ამხანაგობის სახელით მოქმედებისას, მათი უფლებამოსილება იმ ფარგლებით განისაზღვრება, რაც ამხანაგობის დამფუძნებლებმა მიაწიეს. არც ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებით და არც 2006 წლის 4 ოქტომბრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების ოქმით, ამხანაგობის თავმჯდომარეს, ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლებამოსილება არ მინიჭებია, მით უფრო – ამ უფლების სხვისთვის გადანდობა.

16.3 საქალაქო სასამართლომ, სსკ-ის 934-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, 932-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 712-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სადამფუძნებლო ხელშეკრულების 5.4 (ბოლო აბზაცი) და 3.3 ქვეპუნქტებზე მითითებით „ამხანაგობაში ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად (934 მუხლი). რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები (712-ე მუხლი). თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას (932-ე მუხლი). ყოველი შენატანი წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას (დამფუძნებელი ხელშეკრულების 3.3 ქვეპუნქტი; იმავე ხელშეკრულების 5.4 ქვეპუნქტის ბოლო აბზაცის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტში)“ განმარტა, რომ ასეთი თანხმობა ამხანაგობის წევრების საერთო კრებას არ გაუცია. სასამართლომ სსკ-ის 59-ე მუხლზე მითითებით „ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილების უფლება გააჩნია დაინტერესებულ პირსაც“ აღნიშნა, რომ მოსარჩევეები ამხანაგობის წევრებს წარმოადგენენ, შესაბამისად, გაფორმებული სადავო გარიგებები მათ უფლებებსაც პირდაპირ ეხება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში საფუძვლიანი იყო.

16.4 საქალაქო სასამართლომ ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების 5.4 ქვეპუნქტზე მითითებით განმარტა, რომ სადა-

ვო შემთხვევაში 2013 წლის 25 იანვრის კრებაზე ყველა დამფუძნებელი წევრი ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის (არ გაეგზავნათ წერილი კრების ჩატარების დროის, ადგილისა და განსახილველი საკითხების მითითებით) შესაბამისად არ ყოფილა მონაწილე, კრებას ყველა დამფუძნებელი წევრი არ ესწრებოდა. იგი არ იყო უფლებამოსილი და გადანაცვლებიდან უნარიანი, მიუხედავად გადანაცვლებების, რაც მისი ბათილობის საფუძველს წარმოადგენდა.

17. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

17.1 აღნიშნულ გადანაცვლებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა, 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში, გასაჩივრებული გადანაცვლებების გაუქმება და, ახალი გადანაცვლებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

17.2 აპელანტების განმარტებით, სასამართლომ მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ გაითვალისწინა, რომლითაც დასტურდება, რომ ამხანაგობის კრებაზე ყველა წევრი, ამხანაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა სრული დაცვით იყო მინვეული.

17.3 2013 წლის 25 იანვრის კრება იყო განმეორებითი, რომელზეც, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების პირობების თანახმად, დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად, მიიღება გადანაცვლება. პირველი კრება, 2012 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა, რა დროსაც ამხანაგობის ყველა დამფუძნებელი წევრი (მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი მონაწილე იყო ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით) არ გამოცხადდა. შესაბამისად, რამდენადაც კრება გადანაცვლებიდან უნარიანი იყო, ხელშეკრულების პირობების დაცვით, განმეორებით იქნა მონაწილე, რომელიც 2013 წლის 25 იანვარს ჩატარდა და გადანაცვლებები დამსწრეთა უმრავლესობით მიიღო.

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

18.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით მოპასუხე ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

18.2 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390.3 მუხლი).

18.3 სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ხაზი გაესვა მტკიცების ტვირთზე და განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების

ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი – ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება.

18.4 სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრებაზე, უფლებამოსილი პირები (დამფუძნებელი წევრები) მიწვეული იყვნენ საქმიანობის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, აპელანტებზე უნდა გადაანაწილებულიყო, რაც მათ ვერ დასძლიეს.

18.5 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმად, 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრებაზე ყველა „დამფუძნებელი“ წევრი ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით (არ გაეგზავნათ წერილი კრების ჩატარების დროის, ადგილისა და განსახილველი საკითხის შესახებ) არ ყოფილა მიწვეული. ამ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ კრება უფლებამოსილი და გადაწყვეტილებაუნარიანი არ იყო, რაც, თავის მხრივ, სსკ-ის 54 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ამ კრებაზე ამხანაგობის წევრთა სახელით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უდავო საფუძველს წარმოადგენდა.

19. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

19.1 სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეოთხე მოპასუხემ და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა 2013 წლის 25 იანვრის ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში.

19.2 კასატორის განმარტებით, სასამართლოს არც ერთ სხდომას მისი, გამგეობის წევრებისა და მეხუთე მოპასუხის წარმომადგენელი არ ესწრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარმომადგენელს სასამართლოში რწმუნებულება ჰქონდა წარდგენილი. სასამართლომ აღნიშნულ მოპასუხეებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმის უფლება არ მისცა, რითაც სამართლიანი სასამართლოს და შეჯიბრობითობის ფუნდამენტური უფლება დაირღვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად

მიიჩნევს, რომ მეოთხე მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

20. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

21. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებელი თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამხანაგობა (საერთო საქმიანობა) მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ურთიერთობაა და ის მოითხოვს მისი მონაწილეებისაგან ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო მიზნის რეალიზაციას (სსკ-ის 930-ე მუხლი), აქედან გამომდინარე, ის, როგორც მრავალმხრივი გარიგება, წარმოადგენს რთულ სამართლებრივ კონსტრუქციას. საერთო მიზანი ლეგიტიმური და მიღწევადი უნდა იყოს (შდრ. სუსგ №ას-1231-1154-2015, 31.05.16 წ.). „ამხანაგობის ხელშეკრულება, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა და იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვით (სკ-ის 327.1 მუხლი).

მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც სამართალსუბიექტებს არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ ამ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის დისკრეციას ანიჭებს, თუმცა ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და იგი ლეგიტიმურ ბოჭვას სწორედ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაში ჰპოვებს, კერძოდ, ხელშეკრულება კანონის ფარგლებში უნდა იყოს დადებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. სახელშეკრულებო დავის განხილვისას სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულებაში გადმოცემული მხარეთა რეალური ნების დადგენა, მისი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან და სწორედ ამ გზით უნდა დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძლიანობა“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1003-964-2014, 17 დეკემბერი 2015 წელი).

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის პრეტენზია ამხანაგობის 2013 წლის 25 იანვრის კრების ოქმის ბათილად ცნობას შეეხება. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს, რომ ამხანაგობის წევრები კანონით დადგენილი წესით არ იყვნენ მოწვეული კრებაზე, გადაწყვეტილება კი სსკ-ის 934-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით იქნა მიღებული, რამაც მისი ბათილობა განაპირობა (სსკ-ის 54-ე, 934-ე მუხლები; იხ. ამ განჩინების 13, 16.4, 18.3-18.5 პუნქტები).

25. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

26. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლივად, რომელთა ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა.

27. კასატორის პრეტენზია შეეხება იმას, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვას არ ესწრებოდა აპელანტთა წარმომადგენელი, რომლის რწმუნებულებაც საქმეში იყო წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე თავად აპელანტებს ეცნობათ. 2017 წლის 2 მაისის სხდომაზე მხოლოდ ორი აპელანტი გამოცხადდა, მათ შორის – მეოთხე მოპასუხე. მომდევნო სხდომის თაობაზეც პირადად აპელანტებს ეცნობათ. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის სხდომაზე ერთ-ერთი აპელანტი გამოცხადდა. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველ ნაწილს მოიხმობს და განმარტავს, რომ მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საპროცესო კანონმდებობის დაცვით იყვნენ მინვეული მხარეები სხდომაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ წარმომადგენლის ყოლის შემთხვევაში, მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა (გამოცხადება), თავად აპელანტებს უნდა უზრუნველყოთ.

28. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია გასაჩივრებული განჩინების საწინააღმდეგოდ, რაც საკასაციო საჩივრის უარყოფის საფუძველია.

29. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

30. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ე. ს-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge